იამზე გაგუა

ომი და მშვიდობა
რომაულ პოეზიაში

თბილისი
2006

რედაქტორი ნ. ტონია

რეცენზენტები: ქ. გარდაფხაძე
დ. ხუროშვილი

© იამზე გაგუა, 2006
© პროგრამა „ლოგოსი“, 2006

ISBN 99940-31-63-5

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

კვინტუს ენიუსი 6

ლუკრეციუსი 8

ვერგილიუსი 13

ჰორაციუსი 31

ტიბულუსი 46

პროპერციუსი 55

ოვიდიუსი 67

სენეკა 78

ლუკანუსი 86

პეტრონიუსი 95

ვალერიუს ფლაკუსი 103

სტაციუსი 106

სილიუს იტალიკუსი 110

იუვენალისი 114

კლავდიუს კლავდიანუსი 116

რომაელ პოეტთა კონცეფცია ომისა და მშვიდობის
თემაზე 120

გამოყენებული ლიტერატურა 127

წინასიტყვაობა

ომი და მშვიდობა – ამ დაპირისპირებულ ცნებათა გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაცობრიობის ისტორია. როგორც წმინდა წიგნები გვასწავლიან,"ომი არის კაცობრიობის ფარულ სნეულებათა ფიზიკური გამოვლინება ძმათამჟლეტელი სიძულვილისა" (შეს.4,3-12), და "იგი თან სდევს ადამიანებს მათი დაცემის დღიდან" (მარკ.13,7).

ნანატრი მშვიდობა, რომელსაც ზოგჯერ ათეული წლების მანძილზე ელის ესა თუ ის ქვეყანა, ძირითადად და უმეტესად ომის გზით მიიღწევა. ცნობილი ლათინური სენტენცია Si vis pacem para bellum – თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის – იყო რომაელთა ერთ-ერთი ძირითადი დევიზი. ფლუვიუს ვეგეტიუს რენატუსი "სამხედრო საქმის მოკლე ცნობარში" წერს: qui desiderat pacem, praeparet bellum –" ვისაც მშვიდობა უნდა, ომისთვის უნდა ემზადოს". იგივე აზრი უფრო ადრე გამოუთქვამს კორნელიუს ნეპოტს ("რჩეულ ვაჟკაცთა შესახებ", V,4) . Paritur pax bello -" მშვიდობა ომით იბადება" – და ციცერონს: Si pace frui volumus, bellum gerendum est ("ფილიპიკები", VII, 6, 19). " თუ გვსურს დავტკბეთ მშვიდობით, უნდა ვიომოთ."

ომში გამოვლენილი გმირობა და სიმამაცე მუდამ იყო და არის მწერლობის თემა, ისევე როგორც მშვიდობისათვის ხოტბის შესხმა. რომაელები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ომის დასრულებისა და მშვიდობის დადგომის პერიოდს, რაც გამოიხატებოდა იანუსის ტაძრის კარების დახშვაში. რომის პირველი იმპერატორი ავგუსტუსი თავისი ღვაწლის შეფასებისას ხაზგასმითა და დაუფარავი სიამაყით მიუთითებს, რომ მან სამჯერ დაკეტა იანუსის ტაძრის კარები (RG, 13).

ომისა და მშვიდობის თემა რომაულ პოეზიაში მუდამ აქტუალური იყო. პოეტების დამოკიდებულება ამ საკითხებთან მიმართებაში ხშირად არაერთგვაროვანია. რომის სახელმწიფომ თა-

ვისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალი ომი გადაიტანა: სამამულო, სამოქალაქო, დაპყრობითი. რა მოუტანა ამ ომებმა რომაელ ხალხს და როგორ აისახა ყოველივე რომაულ პოეზიაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა თვალი გადავავლოთ რომაულ მწერლობას უძველესი პერიოდიდან მოყოლებული გვიანკლასიკურ ხანამდე (ძვ. წ. III ს. – ახ.წ. IV ს.)

ყოველ ომს თავისი მიზნები და მიზეზები აქვს. სამშობლოს დასაცავად წარმოებული ომი ყველაზე წმინდა, აუცილებელი და გამართლებულია. დაპყრობითი ომი ძალიან ხშირად შეფარული ლოზუნგებით იწყება, ნამდვილი მიზანი ომისა კი შენიღბულია. ასეთი ომი რეალურად ტერიტორიის განვრცობას, სიმდიდრის მოხვეჭას, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას და სხვ. ისახავს მიზნად. რელიგიური ომებიც კი უმეტესად პოლიტიკური მოტივებითაა ნაკარნახევი.

ცხადია, ისტორიკოსთა შრომებში ომის თემა გაცილებით ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე პოეტთა თხზულებებში. ისტორიკოსს ძირითადად აინტერესებს: ომის წარმოშობის, გამარჯვებისა და დამარცხების მიზეზების კვლევა, ომის შედეგები და მისი გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკის განვითარებაზე, პოლიტიკური პარტიების ბრძოლა და ა.შ. პოეტის მიზანი კი ყოველთვის განსხვავდება ისტორიკოსის ამოცანისაგან. მას შეუძლია სულ სხვა კუთხით დაინახოს ომთან დაკავშირებული პრობლემები, წარმოაჩინოს ისინი ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ ასპექტში.

საგმირო თემაზე შექმნილ პოემებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომაულ პოეზიაში. რომის ლეგენდარული ისტორიის, მისი გმირული წარსულის ამსახველ ნაწარმოებებს, გარდა მხატვრული ღირებულებისა, სხვა ფუნქციაც ჰქონდა. ისინი მმართველი კლასის იდეოლოგიის დასაყრდენსა და საფუძველს წარმოადგენდა.

ლეგენდარული ტროელი გმირის, ენეასის თავგადასავალი, რომის დაარსების ისტორია, რომაელთა ბრძოლები გარეშე მტერთა წინააღმდეგ, რომის სამხედრო დიდება, იმპერატორთა პომპეზური ტრიუმფები მუდამ იყო რომაელთა სიამაყის მიზეზი და სასახლის კარის პოეტთა შემოქმედების ძირითადი თემა.

ცნობილი რომაელი პოეტები ცდილობდნენ განემტკიცებინათ ის აზრი, რომ რომი იმთავითვე იყო მოწოდებული მსოფლიოს ხალხთა ბატონობისათვის, ეს იყო კანონზომიერი აქტი, რომაელთა მისია, რომელიც მითოლოგიურ საფუძველს ემყარებოდა.

ომისა და მშვიდობის თემა, ცხადია, ყველაზე მასშტაბურად საგმირო ეპოსში პოვებს ასახვას. რომის უძველესი პოეტების: ლივიუს ანდრონიკუსის, გნეუს ნევიუსისა და კვინტუს ენიუსის თხზულებებში ეს მარადიული თემები იყო დამუშავებული. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია კონკრეტულად საუბარი იმაზე, თუ როგორ იწყებდა განვითარებას რომაული ნაციონალური ეპოსი, როგორი იყო ლათინური ჰეგზამეტრით გამართული პირველი პოემა, რა ნიშნებით ხასიათდებოდა პირველი საგმირო ეპოსი, რადგან ჩვენამდე მოღწეული უმნიშვნელო ფრაგმენტები უძველეს რომაელ ავტორთა თხზულებებისა ამ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა.

კვინტუს ენიუსი

II პუნიკურ ომში კართაგენზე გამარჯვება მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა რომაელთა ცხოვრებაში. დაიწყო რომის კულტურული და ეკონომიური აღმავლობა, ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარება. თუ ადრე რომაული მწერლობა სტიქიურად ვითარდებოდა, ახლა შეიქნა მცდელობა, მას განსაზღვრული მიმართულება მისცემოდა. პუნიკური ომების გმირი სციპიონ აფრიკელი (უფროსი) არა მარტო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და გამოჩენილი სარდალი იყო, არამედ უაღრესად განათლებული პიროვნება, რომელმაც შემოიკრიბა ლათინურენოვანი მწერლები და მათს შემოქმედებას პოლიტიკური მიმართულება მისცა. სციპიონთან იყო დაახლოვებული კალაბრიული წარმოშობის პოეტი კვინტუს ენიუსი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული ენა და კულტურა, ფილოსოფია, გატაცებული იყო პითაგორას მოძღვრებით. II პუნიკური ომის დროს იგი რომის ლაშქარში იბრძოდა. მას ეკუთვნის ისტორიული ეპოსი "ანა-

ლები" – 18 წიგნისაგან შემდგარი ისტორია, სადაც გადმოცემული იყო რომის ისტორია, დაწყებული ენეასის ტროიდან გადმოხვეწიდან პოეტის თანამედროვე ხანამდე. კვინტუს ენიუსის შემოქმედებამ ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე. მისი დამსახურებაა ძველი ლათინური სატურნული ლექსის ნაცვლად ჰეგზამეტრის შემოღება. ენიუსის პოემის მთავარი მიზანი რომის ექსპანსიური პოლიტიკისათვის მხარდაჭერა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში ჩანს პოეტის ნეგატიური დამოკიდებულება ომისადმი, თუ როგორ ამსხვრევს იგი მშვიდობიანი ცხოვრების წესს და როგორ ამეფებს ძალადობას.

რკინის კარები როცა ომის დაიმსხვრა მძლავრად,
ქიშპი და მტრობა გადაიქცა აშკარა ბრძოლად,
გაქრა გონება, ძალადობა მართავს ყველაფერს,
სძულთ ორატორი, აფასებენ მრისხანე მებრძოლთ,
ავსიტყვაობენ, ვილას ახსოვს მჭევრმეტყველება,
მოჰკიდებიან მტრად ერთმანეთს და კინკლაობენ,
სამართლის ნაცვლად იარაღი წყვეტს ყოველ დავას,
ძალით სურთ საქმის მოგვარება, ტახტის მიღება.

ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს მშვიდობიანი ცხოვრებიდან ომზე გადასვლის პერიოდის ცვლილებანი. საომარი პათოსი აქ არ არის. არის გზა წესრიგიდან ქაოსისაკენ, როცა ფასეულობანი მკვეთრად იცვლება. რა ნიშნებით არის გამოხატული ეს ცვლილება? იწყება მშვიდობის კადენცია: აღარ ფასობს გონიერება, სამართლიანობა, ორატორობა. იწყება: უთანხმოება, კინკლაობა, აშკარა კონფლიქტი, ძალადობა, მტრობა, რაც ადამიანებს საბოლოოდ ომში ითრევს, იგი ხდება პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება.

ლუკრეციუსი

ძვ.წ. I ს. პოეტი და ფილოსოფოსი (94-55), თავის პოემაში "საგანთა ბუნებისათვის" ცდილობს ახსნას მიზეზი საგანთა ცვლილებისა. ლუკრეციუსი ამ პოემაში ეხება ასტრონომიის, გეოლოგიის, ბუნების მოვლენების, კულტურის ისტორიის საკითხებს. პოეტი სხვა პრობლემებთან ერთად ომის თაობაზეც მსჯელობს. იგი საუბრობს იმ უგუნურებაზე, რასაც ეწოდება ადამიანთა ლტოლვა ომისაკენ, ლუკრეციუსის აზრით, მხოლოდ სიყვარულის ქალღმერთს შეუძლია მოულბოს გული ომის ღმერთს, რათა შეაჩეროს საომარი ქმედებანი. ამიტომ, პოეტი თხოვნით მიმართავს ვენუსს, მოხიბლოს მარსი და განაიარაღოს იგი.

და ამავე დროს მღელვარება სასტიკ ომისა,
ზღვასა და ხმელ'ზე გევედრები, სრულად შეწყვიტე,
შენ ძალგიძს მხოლოდ ამო ზავით ანებივრებდე
მოკვდავთა მოდგმას. ომის საქმეს აბჯარასხმული
განაგებს მარსი, შენს წიაღში ბინის მძებნელი,
მარად ვნებული უკურნებელ ტრფობის ჭრილობით,
შენკენ, ღვთაებავ, მობრუნებულს ყელმოღერებით
და განმზადებულს დასათქმელად შენი სულთქმისა,
ასე, ამრიგად წამონოლილს, წმინდა სხეულით
გარს შემოეჭდე, უტკბეს სიტყვებს წასჩურჩულებდე,
სთხოვდე, დიადო, ზავს სანუკვარს რომაელთათვის,
რადგან სამშობლოს განსაცდელის მძიმე დრო-ჟამსა,
მშვიდ მუშაობას ჩვენც ვერ შევძლებთ, ვერც მემიუსის
ძე სასახელო, ქვეყნის საქმეს ვერ ულალატებს.

საგანთა ბუნებისათვის I, 29-43

ლუკრეციუსს ცხოვრება მოუხდა რომში გამწვავებული პოლიტიკური ვითარების დროს. ეს იყო სულას ეპოქა, მონათა აჯანყება, კატილინას შეთქმულება.ყოველივე ეს პოეტს ადამიანთა უბადრუკ და ამაო საქმიანობად ეჩვენება. იგი ხატოვნად წარმოაჩენს ომის სურათს, მეომართა ომახიან ყიჟინას, იარაღის ჟღარუნს და იქვე შენიშნავს, რომ ეს, ერთი შეხედვით, შორიდან უძრავ ფერად მასად შეიძლება აღიქვას კაცის თვალმა.

ან როს სირბილით შეიყრება ლეგიონები
და მოედანზე გაიშლება სურათი ბრძოლის,
მათი საჭურვლის ელვარება თვით ცამდე აღწევს,
სპილენძი ბრწყინავს მოედანზე, ქვეითი ჯარის
ფეხის ხმა ისმის, მთებსაც შესძრავს ბრძოლის ყიჟინი,
გამოძახილი ავარდება ვარსკვლავებამდე,
მხედარნი ჰქრიან აქეთ-იქით ვრცელ ბრძოლის ველზე,
მათი თქარუნით შეირყევა გარემო სრულად,
მაგრამ მაინც კი იპოვება მთებზე მწვერვალი,
სადით ყოველი უძრავ შუქად მოგვეჩვენება.

საგანთა ბუნებისათვის II, 323-332

მართალია, ეს ადგილი პოეტს ფარული მოძრაობის საილუსტრაციოდ მოჰყავს, რათა დაგვარწმუნოს, რომ თვალისათვის ყველაფერი როდია ხილული. მაგრამ ამასთანავე ლუკრეციუსი ამით მიგვანიშნებს, თუ რა ამაოა ადამიანთა წადილი, შეძრან ქვეყანა თავიანთი ძალით. პოეტი აღწერს, თუ როგორ იხვენებოდა და ვითარდებოდა საომარი ხელოვნება, რამაც ომის საშინელება კიდევ უფრო გაამძაფრა. ადამიანმა ისწავლა ბრძოლაში ეტლით ჩაბმა, ცხენის გარდა სხვა ცხოველების საომრად გამოყენება.

წინათ მებრძოლი შეჭურვილი, ცხენზე მჯდომარე,
თან ცხენს მართავდა, თან მარჯვენით ებრძოდა მტერსა,
შემდეგ ორცხენად შებმულ ეტლზე მდგომი იბრძოდნენ,
კვლავაც იმ წყვილსა სხვა ახალი წყვილიც მიუბეს,
რათა ებრძოლა ეტლს აღჭურვილს ბასრი ცელებით,
ლუკანთ ხარებსაც საშიშ-საზართ, გველხელიანთა
კოშკის მტვირთველთა ჰუნთ ასწავლეს წყლულთა დათმენა
მარსის დიდ რაზმთა უმოწყალოდ დასარბეველად.
ასე, ერთი რამ კვლავ მეორეს ქმნიდა შფოთს,დავას
და კაცთა მოდგმას სცემდა თავზარს ომის ფეთება,
დღითიდღე მზრდელი ომის ახალ საშინელების,

საგანთა ბუნებისათვის V, 1297-1307.

პოეტი ხატოვნად აღწერს უჩეულო ბრძოლის სურათს, როცა ადამიანები ერთმანეთს ცხოველების დახმარებით ეომებიან. ომის საშინელება არა მარტო ადამიანებს უბნევს გზა-კვალს, არამედ მათ მიერ საგანგებოდ გაწვრთნილ ცხოველებსაც.

ომის საქმეში ზოგჯერ ხართა ჩაბმასაც ცდილან,
ველურ ტახებსაც გამძვინვარებულს მტერს მიუსევდნენ,
ხან ძლიერ ლომებს შეტევის დროს წაიმძღვარებდნენ,
უკანაც მწვრთვნელნი შეჭურვილნი მისდევდნენ მხლებლად,
რომ წარემართათ მათი რისხვა ჯაჭვის მპყრობელთა,
მაგრამ ამაოდ, ხოცვა-ყლეტით გაცოფებულნი
გაურჩეველად ყველას ერთად დაერეოდნენ,
თავ ზარდამცემად აქეთ-იქით იქნევდნენ თავებს,
ღმუილით დამფრთხალ ცხენთ მხედარნი ვერ იმაგრებდნენ,
ვერ ახერხებდნენ მათ მიგდებას მტრის წინააღმდეგ.
გაშმაგებულნი ყოველ მხარეს დაძრწოდნენ ლომნი.
ვინც წინ ხვდებოდათ, ყელში იმათ ეძგერებოდნენ,
ზოგსაც უკნიდან თავს ესხმოდნენ მოულოდნელად,
დაჭრილთაც უმალ დედამიწას დაანარცხებდნენ,
უწყალოდ ჰკბენდნენ, დაფატრავდნენ ბასრი კლანჭებით,
ხარებიც ზოგჯერ მისიანებს ფეხით ქელავდნენ,
წვეტიან რქებით ულადრავდნენ ცხენს გვერდს და მუცელს.
და მიწას ბდღვნიდნენ სიბრაზისგან გახელებულნი,
ბასრი ეშვებით გლეჯდნენ ცხენნი თავისიანებს,
საკუთარ სისხლით ღებდნენ შმაგნი ისართ ნამსხვრევებს,
გაცოფებულნი არ ზოგავდნენ ქვეითს და მხედარს,
განზე ხტებოდნენ ცხენნი საშიშ კბილთა ამრიდე,
მაგრამ ამაოდ, ჩანს კბილებით ძარღვმოკვეთილნი
უმალვე მიწას რაც სიმძიმით ენარცხებოდნენ,
წინათ რომ თვლიდნენ შინაურად და თვინიერად,
ჰკარგავდნენ გონსა, შმაგდებოდნენ ომის სიმძაფრით,
ზათქით, ღრიალით, ჭრილობებით ზარდაცემულნი,
ვერვინ შეძლებდა ოდნავ მაინც მათ დაოკებას,
აღმა და დაღმა მიმორბოდა ცხოველთ სიმრავლე,

ვით ცუდად დაკლულ ლიკელთ ხარნი გამძვინებულნი
დაჰქრიან ხელნი, უმალ სთელენ თავისიანებს.

საგანთა ბუნებისათვის V, 1308 - 1340

ლუკრეციუსი კონკრეტულად არ ასახელებს ომებს, რომლებიც რომაელებმა აწარმოეს გარეშე ქვეყნების დასაპყრობად, რამაც ხელი შეუწყო რომის მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. რომის ექსპანსიურ პოლიტიკას თითქმის ყველა ურთიერთდაპირისპირებული კლასი უჭერდა მხარს. მწერლებისა და ფილოსოფოსების ნაწილი ცდილობდა გაემართლებინა რომის მიერ სხვადასხვა ტერიტორიის შემოერთება, რადგან მისი მისია მსოფლიო ქვეყნებზე ბატონობა იყო. ვისთვისაც ეს გზა მიუღებელი იყო, ის ცდილობდა საზოგადოების ყურადღება გადაეტანა პოლიტიკიდან მშვიდი, წყნარი ცხოვრებისაკენ.

ომის ძაგებით, საომარი ქმედებების საშინელი სურათების დახატვით ლუკრეციუსი ცდილობს ადამიანებს ჩააგონოს, რომ ომი ყველაზე დიდი უბედურება და ბოროტებაა (III, 62-63), რისკენაც ისინი თავად ისწრაფვიან.

იტყვიან ხოლმე, ჰკვეთსო სხეულს მცელავი ეტლი,
როცა იწყება მწვავე ბრძოლა და შეტაკება,
ესდენ სისწრაფით, რომ მოკვეთილ ასოთ ნაწილნი
მიწაზე ფეთქს და კაცის აზრს კი ვერ მოუსწრია
ტკივილის განცდა, სწრაფი დარტყმით მიყენებული.
რა შეპყრობილა ყველას აზრი ბრძოლაზე ფიქრით,
დაჭრილ-კოდილნი ბრძოლასა და ომში ისწრაფენ,
ველარასა გრძნობს დამკარგველი მარცხენა ხელის,
მას, ფარის მჭერელს, ათრევს ცხენი ბორბალ-ცელებში,
ის - ზემოთ უტევს ვერმგრძნობელი მოჭრილ მარჯვენის,
აგერ, ეს ლამობს, რომ დაეყრდნოს მოკვეთილ ფეხსა,
რომლის თითები სიკვდილის წინ კვლავ მოძრაობენ.
თავი მოჭრილი თბილ სხეულით, მიწას გდებული
კვლავ იყურება, ინარჩუნებს სიცოცხლის ნიშატს,
ვიდრეღა გონის შერჩებოდეს რამე ნასახი.

საგანთა ბუნებისათვის III, 642- 656

ლუკრეციუსის მიერ დახატული სამოქალაქო ომის სურათები ძალიან ჰგავს სულას პერიოდის პროსკროპციების საშინელებებს. რა არის მიზეზი ძმათამჟლეტელი ომებისა და საერთოდ ომების? ლუკრეციუსი მიიჩნევს, რომ ადამიანების განუზომელი ლტოლვა ძალაუფლებისაკენ, სიმდიდრისაკენ იწვევს ურთიერთდაპირისპირებებს, ბრძოლასა და ომებს (II, 22-28).

ბოლოს სიხარბე და დიდების ბრმა ტრფიალება
საბრალო მოკვდავთ ყოველ სა ზღვართ რომ გადააცდენს
და გახდის მონად ენით უთქმელ ბოროტებათა.
III, 59-61

ცდომით, ტორტმანით, ვით ეძებენ ცხოვრების სწორ გ ზას,
სურთ ერთ-ურთს სძლიონ ნიჭითა თუ გვარიშვილობით,
დღისით და ღამით უწყვეტ შრომით ვითარ ილტვიან,
რომ მიაღწიონ ზღვა სიმდიდრეს, მაღალ უფლების.
II, 10-14

მიტომაცაა, მოძმეთ სისხლით ხვეჭენ სიმდიდრეს,
ხარბად ნაჰგლეჯენ, დაურთავენ სიკვდილ ზე სიკვდილს,
ღვიძლი ძმის კუბოს ბოროტეულ სიამით სდევენ,
თვისთა ნათესავთ ტაბლად ჯდომას დანარცხებულნი.
საგანთა ბუნებისათვის III,70-73

.

ლუკრეციუსთან ვერ ვიპოვით გმირობის, მამაცური ბრძოლების ამსახველ სურათებს. ომი მისთვის მხოლოდ საშინელება და ბოროტებაა, რომელსაც უნდა განერიდოს გონიერი ადამიანი. არც ძალაუფლებას, რომელიც ხშირად ომის გზით მიიღწევა, არც სიმდიდრეს, რომელსაც მუდამ ესწრაფვიან მოკვდავნი, არ მოაქვს ბედნიერება, სულის სიმშვიდის მოპოვება უნდა იყოს ადამიანის უმთავრესი მიზანი (II, 37- 61). მშვიდობიან, უშფოთველ ცხოვრებას, რაგინდ ღარიბულიც არ უნდა იყოს იგი, ძალუძს სიამოვნება მიანიჭოს ადამიანს – (II, 22-33). საგანთა არსის წვდომის სურვილი, ფილოსოფიური ჭვრეტის უნარი, განა-

შორებს მოკვდავთ იმ უბედურებათაგან, რომლებიც მათთვის სიხარბეს, ბრძოლებს, დაპირისპირებასა და მტრობას მოაქვს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება, ლუკრეციუსის თვალსაზრისით, ომის სისასტიკისა და საშინელებების აცილება.

ვერგილიუსი

ხანგრძლივი სამოქალაქო ომების საშინელებების მომსწრე რომაელებისათვის ბოლოსდაბოლოს დადგა ნანატრი მშვიდობა, რომელიც მათ რომის პირველმა იმპერატორმა ოქტავიანუს ავგუსტუსმა მოუტანა. როგორ აღიქვამდა ე.წ. Pax Augusta-ს რომის იმდროინდელი საზოგადოება, მწერლები, პოეტები? მშვიდობის ქება ავგუსტუსის იდეოლოგიისათვის ხოტბის შესხმას უდრიდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ავგუსტუსის მიერ დამყარებული რეჟიმის განმტკიცებისათვის. ეს კარგად ესმოდა პრინცეპსს. ამიტომაც იყო, რომ ნიჭიერ პოეტებს განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა, რათა მათ თავიანთი შემოქმედებით განედიდებინათ ავგუსტუსის ხანა. პრინცეპსის იდეოლოგიის მხარდამჭერ პოეტებს შორის იყვნენ რომაული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ვერგილიუსი და ჰორაციუსი, თუმცა ყველა ერთნაირად როდი აფასებდა ამ მშვიდობიან ხანას. რომის არისტოკრატიის ნაწილი მისტიროდა ძველ დროს, რესპუბლიკის პერიოდს და ხანგრძლივ მშვიდობას თავისუფლების დაკარგვასთან აიგივებდა.

რომის ლეგენდარული ისტორია, მისი გმირული წარსული აისახა პოემა "ენეიდაში", რომელიც ვერგილიუსმა ავგუსტუსის დაკვეთით შეთხზა. 12 წიგნისაგან შემდგარ პოემაში მოთხრობილია ალმოდებული ტროიდან გადმოხვეწილი ენეასის თავგადასავალი (1-6 წიგნები) და შემდეგ კი (7-12) ენეასის ბრძოლები იტალიის მიწაზე დასამკვიდრებლად. სწორედ ეს ბოლო წიგნები იპყრობს ჩვენს ყურადღებას, სადაც გადმოცემულია ომის ეპიზოდები.

ვერგილიუსის მიერ აღწერილ საბრძოლო ბატალიებში ნაჩვენებია ის სამხედრო ტექნიკა და ხერხები, რომელთაც იყენებენ როგორც რომაელები, ასევე ელინები და ტროელები.

ენეასი იგონებს, როგორ უტევდნენ დანაელები ტროის ციხესიმაგრეს.

იქ საშინელი ბრძოლა ვნახეთ, თითქოს ქალაქში
სხვაგან არცა ვის უბრძოლია და მომკვდარაო,
დაუოკველნი დანაელნი სართულს უტევდნენ,
ალყა დაურტყამთ ზღურბლისათვის კუს საფარველით,
სახლზე მიუდგამთ კიბეები, საფეხურებზე
ზედ ასულიყვნენ და მტრის ისრებს ფარს აგებებდნენ
მარჯვენით, ხოლო მარცხენა ხელს სართულს ავლებდნენ.

ენეიდა II, 438-444

ასეთსავე სამხედრო ტექნიკას იყენებენ ვოლსკებიც ტროელებთან საომრად.

ატყდა ყიჟინა და ათრთოლდა ზეცის თავანი,
კუს საფარველით მოდიოდნენ სწრაფად ვოლსკები,

ენეიდა IX, 505 – 506

ვერგილიუსი ხატოვნად აღწერს ენეასის სიქველეს, ტროელთა სიმამაცეს, ამასთანავე, ტურნუსისა და მისი თანამებრძოლების ვაჟკაცობასაც წარმოაჩენს. ენეასი თუ ღვთის ნებას მიჰყვება და მისი კარნახით მოქმედებს, ებრძვის ლატინთა იმ ლაშქარს, ვინც მის იტალიაში დამკვიდრებას ხელს უშლის, ტურნუსი მოსული უცხოელის დამარცხებით ცდილობს სამშობლოს ხსნას.

ომის სადავე ჩვენს ხელთ არის, მოვიგონებდეთ
ცოლ-შვილს და წარსულს სახელოვანს, გმირთა დიდებას,
წინაპართ საქმეს, და საომრად ზღვას ვესწრაფოდეთ!
მტერი ჯერ კიდევ ფუსფუსებს და ნაპირს ვერ აღწევს,
მამაცთა შემწე ფორტუნაა.

ენეიდა X, 280 -284

მებრძოლთა უპირველესი საზრუნავი სამშობლოს დაცვა და სახელის მოხვეჭაა. მხედარმთავრის მოვალეობაა, გაამხნევოს სულით დაცემულნი მეომარნი. იუპიტერი ასე მიმართავს მავედრებელ პალანტს:

დღე დაუდგება ყველას თვისი, წარმავალია
წუთისოფელი. . . მოპოვება სახელ-დიდების -
აი, გმირების საზრუნავი!

ენეიდა X, 466- 468

არკადიელი გმირი პალანტი თავისი სასოწარკვეთილი თანამებრძოლების გამხნევებას საყვედურით ცდილობს, სურს ჩააგონოს მათ, რომ უკანდახევა სიკვდილის ტოლფასია:

ძმანო, გაფიცებთ მამაცობას, მეფე ევანდერს,
ბრძოლებში წარსულ გამარჯვებებს და ჩემს მომავალ
სახელ-დიდებას, მამისეულს რომ უტოლდება,
ლტოლვის იმედი ნუ გექნებათ, რკინითა გვმართებს
გზა გავიკვლიოთ, სადაც უფრო მჭიდროდ დგას მტერი,
ამას გვავალებს ჩვენ სამშობლო სახელოვანი!

ენეიდა X, 369-375

ტურნუსის თანამებრძოლი მეზენციუსი კი მტრის დამცირებითა და საკუთარ ძალთა განდიდებით აპირებს ტროელთა დაშინებასა და მათ ძლევას.

ჩვენ აკვნიდან ვართ გამოწვრთნილნი, ახალშობილებს
სასტიკ ყინვაში და ტალღებში ვუმაგრებთ სხეულს,
ყრმანი მიწყივად ნადირობენ ულრან ტყეებში,
ცხენოსნობა და მშვილდოსნობა თამაშად ულირთ,
შრომაც იციან და ხოდაბუნს ხნავენ სახნისით.
მცირეს კმარობენ, ხან ქალაქებს ანგრევენ ბრძოლით,
მთელი სიცოცხლე არ ვეშვებით ჩვენ ხომ იარაღს,
ვერ აძაბუნებს სულის ძალას მძიმე სიბერე,
ვერც სხეულს აჭკნობს, ჭაღარა თმებს ჩაჩქანით ვფარავთ,

გვიყვარს ნადავლით დაბრუნება, ცხოვრება ძარცვით.
თქვენ კი სამოსი გყვარებიათ ზაფრანისფერი,
და ძონეული, უქნარობა, ცეკვა- თამაში.
ტუნიკებს გიმკობთ თქვენ სახელო, მიტრებს – ბაფთები,
ო, ფრიგიელი დიაცნი ხართ, კაცთა რა გცხიათ!"

ენეიდა IX, 603 – 617

ტურნუსის ბრძოლა ტროელთა წინააღმდეგ, ერთი შეხედვით, სამართლიანია, რადგან ენეასი, უცხოტომელი ლტოლვილი, ედავება მას სამშობლოსა და საცოლეს. ტურნუსი სახელოვანი, მამაცი გმირია, რომელიც სათანადო წინააღმდეგობას უწევს მეტოქეს. მაგრამ ტურნუსი ღმერთთა ნების წინააღმდეგ მიდის, ენეასი კი თავისი სურვილით როდი გაეშურა იტალიის სანაპიროსაკენ. მას განსაკუთრებული მისია დაეკისრა – ახალი ტროის დაარსება უცხო მიწაზე. ლატინთა მეფე ტურნუსი თანახმაა მიიღოს უცხო გმირი და მისცეს მას თავშესაფარი თავის მიწაზე. იგი თავად სთავაზობს ენეასს თავის ქალიშვილს, რადგან ლატინუსს ეუწყა ღმერთთა ნება, რომლის თანახმად, მისი სიძე უცხოტომელი უნდა გამხდარიყო. ტურნუსს კი, რომელზედაც დაწინდული იყო ლავინია, არად მიაჩნია უზენაესთა კანონი და ხელს უშლის ენეასს, დამკვიდრდეს ლატინუსის სამეფოში. იგი ორჯერ არღვევს ზავის პირობას და თავს ესხმის ტროელებს. ენეასი იმთავითვე ცდილობს, მშვიდობიანი გზით მოიპოვოს ახალი სამშობლო, მაგრამ იძულებული ხდება, ბრძოლაში ჩაებას ტურნუსის წინააღმდეგ. მართალია, ვერგილიუსი არ მსჯელობს იმის თაობაზე, ვისი ბრძოლა უფრო სამართლიანია – ენეასის თუ ტურნუსის, მაგრამ პოეტის ერთგვარი სიმპათია ტურნუსისადმი გვაფიქრებინებს, რომ, ვერგილიუსის შეხედულებით, სამართლიანი თუ უსამართლო ომის ზუსტი დეფინიცია არ არის ადვილი. პოეტს უჭირს ტურნუსის დადანაშაულება, ვისაც მიაჩნია, რომ სამშობლოს იცავს, თუმცა მისი ბრძოლა გაუმართლებელია, რადგან ტურნუსი არ ითვალისწინებს ღმერთების ნებას, თანაც ჩანს, რომ იგი ენეასში მეტოქეს უფრო ხედავს, ვიდრე სამშობლოს მტერს.

"ენეიდაში" ყურადღებას იქცევს საომარ ქმედებებთან დაკავშირებული რომაული ადათ-წესები, იანუსის ტაძრის კარების გახსნა ნიშნად საომარი მოქმედების დასაწყისისა, რომელიც უძველესი ხანიდან მომდინარეობს და რომლის დაცვა რომაელთა უწმინდესი მოვალეობა იყო.

ლაციუმს იყო ჩვეულება ჰესპერიული,
ალბანთ ქალაქნი მას იცავდნენ წინათვე წმიდად,
რომი, ქალაქი უდიდესი, დღესაც მას იცავს,
როს მოუწოდებს საბრძოლველად მარსს, როცა ცდილობს
თავს მოახვიოს ომი გეტებს, გინდ ინდოეთში
აღმოსავლეთში, პართელებთან დროშას ელტვიან.
არსებობს ომის ორი კარი, წმიდა არს შიშით
მარსის წინაშე, ადევს რკინის ასი ურდული
შეურყეველი, იანუსი უდგას გუშაგად.
როდესაც ომი გადაწყდება, კონსულს ტრაბეა
აქვს კვირინული, გაბინურად მოირტყამს სარტყელს,
თვითონვე გახსნის მოჭრიალე კარიბჭეს მყისვე,
ბრძოლად მოუხმობს ჭაბუკებს და ყველა მიჰყვება,
სპილენძის ბუკი ხმადახშული ახმიანდება.

ენეიდა VII, 601 -615

ეს არის ნიშანი მშვიდობიანი ცხოვრების დამთავრებისა. გლეხს უკვე აღარა სცალია ხვნა-თესვისათვის. იგი სასწრაფოდ იწყებს ომისთვის მზადებას, ახალი იარაღის გამოჭედვას, ძველის გალესვა-გაპრიალებას, მოკლედ, იწყება ცხოვრების ახალ რიტმზე გადართვა:

და ამზადებდნენ იარაღებს – ერთნი ჩაჩქანებს,
სხვები ძეწნისგან წნავდნენ ფარებს, სპილენძის მტკიცე
სამკერდულებს და საბარკულებს რბილ ვერცხლისაგან,
დაცხრა პატივი ნამგლისა თუ კევრის და გუთნის,
მახვილს აწრთობდნენ მამისეულს, ისმოდა ხმები,
ბრძოლას ნიშანი უტყუარი მიეცა უკვე,
ზოგი ფეხით და ზოგი მტვერში ცხენის ჭენებით
შეიჭრა ველ ზე, ყველა დასწვდა მახვილ იარაღს,

ზოგი სქელ ცხიმით პოხავდა და ფერავდა ფარებს,
ელვარე შუბებს, ხოლო ზოგი ლესავდა მახვილს,
ერთი საჩქაროდ ჩაჩქანს დასწვდა, სხვა ცხენს კაზმავდა,
ზოგი ისხამდა ფარს სასწრაფოდ, სამმაგი ოქროს
ჯავშანს იცვამდა და იკრავდა ხმალს საიმედოს.

ენეიდა VII, 632- 640

მშვიდობის დროს კი იანუსის კარები დახშულია და შიგ სიშმაგეა გამოკეტილი.

. . . რკინის კლიტე დაახშობს
ომის კარიბჭეს, შიგ სიცოფე დაუოკველი,
იარაღებზე მჯდომი, ასი სპილენძის ჯაჭვით
მტკიცედ შეკრული, კბილს დაახრჭენს პირსისხლიანი. . .

ენეიდა I, 293 -296

"ენეიდაში" მრავლად არის ადგილი, სადაც აღწერილია უძველესი ადათ-ჩვეულები, რომლებსაც ტროელებიცა და ლატინებიც ერთნაირად იცავენ. მტრის ნაალაფარის განაწილება, მოკლული მტრის მეომრისათვის იარაღის ართმევა, დამარცხებული მტრის თავების შუბზე აგება, ძვირფასი გამოსასყიდის მირთმევა მტრისათვის თანამებრძოლთა გვამების მისაღებად, ჯილდოს შეთავაზება მეომრის გასამხნევებლად და ა.შ. ყოველივე ეს, ცხადია, რომაელთა უძველესი წეს-ჩვეულებები იყო, რომელთაც კარგად იცნობდა ვერგილიუსი.

ტურნუსის მებრძოლები დამარცხებულ ტროელთა თავებს შუბებზე აგებენ და ამ საშინელების სანახაობით კმაყოფილნი ყიჟინით გამოხატავენ თავიანთ სიხარულს:

ტურნუსმა მოყმეთ იარაღი აასხმევინა,
რა ზმი დააწყო საბრძოლველად რვალით მოსილი,
აღაგ ზნეს ვნება ვაჟკაცებმა მძლავრი ყიჟინით,
შუბზე ააგეს – სავალალო სანახავია
თავნი მოჭრილნი, ღრიანცელით მთელი ლაშქარი
გაჰყვა ნიზუსს და ევრიალუსს.
ომში ნაცადნი ენეანნი აწყობდნენ ლაშქარს

გალავნის მარცხნივ, ციხის მარჯვნივ მდინარე იყო.
გულნაღვლიანნი ქონგურებზე ჩამოდგნენ ტევკრნი.
თავ ზარი დასცა უბედურებს სანახაობამ.
შუბის წვერებზე ცნობილ გმირთა ჩამოცმულ თავებს
შედედებული შავი სისხლი ზედ შეშრობოდა.

ენეიდა IX, 462- 473

მოწინააღმდეგესთან ზავის დასამყარებლად და მასთან მოსალაპარაკებლად მეომრები ზეთისხილის შტოს იყენებენ, რომელიც ოდითგანვე ითვლებოდა მშვიდობის სიმბოლოდ. საგულისხმოა, რომ იგი ათენას, ომისა და სიბრძნის ქალღმერთის მცენარე იყო.

მტერთან მოსალაპარაკებლად ლაშქარში ჩვეულებრივ მჭევრმეტყველი მებრძოლები ჰყავდათ. ტევკრთა წინამძღოლი ენეასი ას რჩეულ ორატორს ავალებს ლატინებთან მოლაპარაკებას:

შემდეგ ანქიზეს წულმა ბრძანა, მთელი რაზმიდან
ასი რჩეული ორატორი მეფეს ხლებოდა
დიდებულ ციხე-სიმაგრეში, პალადას შტოით
და მოსაკითხით დამშვენებულთ გამოეთხოვათ
ტევკრთათვის ზავი.

ენეიდა VII, 153 – 156

ევანდერის სამფლობელოს მიახლოებული ენეასი ზეთისხილის შტოს გაუწვდის პალანტს ნიშნად იმისა, რომ ტროელები სამშვიდობოდ იყვნენ მოსულნი:

მაშინ მიუგო ენეასმა მაღალ კიჩოდან,
ზეთისხილის შტო გაუწოდა მშვიდობიანი:
"ტროელთ ჯარს ვხედავ, ლათინთა მტერს, ჯიუტი ომით
მათგან დამაშვრალს, ჩვენ დავეძებთ მეფე ევანდერს,
ეს გადაეცით და უთხარით : გეახლებიან
ქველნი ბელადნი დარდანელთა, გთხოვენ-თქო შველას".

ენეიდა VIII, 115 – 120

ლატინებიც ორატორებს უგზავნიან ენეასს დაღუპულ თანამებრძოლთა გვამების გამოსათხოვად:

ლათინთ მხარიდან მოახლოვდნენ ორატორები,
შტონი ეხვიათ ზეთისხილის – "შეგვიწყალეთო,
დაგვიბრუნეთო განგმირული გვამები, ველ ზე
საწყლად რომ წვანან, დაკრძალვისა დაგვრთეთო ნება"
ენეიდა X,10 – 14

ლატინუსი სთავაზობს თავის ქვეშევრდომებს, მიიღონ თავიანთ მიწაზე ენეასი, გამოუყონ ადგილი დასამკვიდრებლად, ამიტომ გადაწყვეტს, ასი ორატორი აახლოს ტროელთა წინამძღოლს, ზეთისხილის შტოთი და ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული.

რომ სიტყვა უთხრან, დაამყარონ ხელშეკრულება,
ასი ლათინი ორატორი ვაახლოთ ტროელთ,
მათ მეგობრულად მიაწოდონ რტო მშვიდობისა,
სპილოს ძვალი და ტალანტები ოქროსი უძღვნან.
ენეიდა XI, 330 – 333

ლატინები განსაკუთრებული პატივით იგონებენ მნიშვნელოვან გამარჯვებებს, მათ ნიშნად დაწესებულ დღესასწაულებს ყოველწლიურად აწყობენ. პატივს მიაგებენ ღმერთებს, სნირავენ მსხვერპლებს, ასრულებენ გარკვეულ რიტუალს, უგალობენ ღვთაებებს და ლხინით ასრულებენ ზეიმს.

არკადიელთა მეფე ევანდერი ჰერკულესის საპატივცემლოდ ყოველწლიურად მართავს დღესასწაულს კაკუსზე გამარჯვების ნიშნად. იგი ასე უხსნის ენეასს ამ რიტუალის მნიშვნელობას:

ევანდერ მეფემ ასე ბრძანა: "არა ცრუ რწმენამ,
არა ღმერთების უმეცრებამ დაგვიდო წესად
ჩვენ ეს ადათი, ზორვად დგომა დიდი ღმრთისადმი,
ტროელო მოძმევ, ჩვენ ამ ადათს მარად ვასრულებთ
განსაცდელისგან გამოხსნილნი და მსხვერპლსა ვწირავთ".
ენეიდა VIII, 185 – 189

ამიტომ, ყრმანო, სადიდებლად ვაჟკაცობისა
თმები მოირთეთ მწვანე შტოით, თასი აიღეთ,
მოუხმეთ ღმერთსა და ზედაშე აპკურეთ შვებით.
ენეიდა VIII, 273 – 275

განსაკუთრებული წესის დაცვით ხდება ფიცის დადება ლატინუსსა და ენეასს შორის. ლატინთა მეთაური და ტროელთა წინამძღოლი ფიცს სდებენ საკურთხეველთან, სადაც მსხვერპლს სწირავენ ღმერთებს.

გოჭი და კრავი, ჯერეთ საწმისგაუკრეჭავი
მოჰყავს ადგილზე აელვებულ საკურთხეველთან,
მზეს ამომავალს ღვთისმოსავნი თვალნი მიაპყრეს,
ფქვილი აპნიეს და მარილი ზვარაკს, მახვილი
შუბლს განუწონეს, დაასხურეს თასით ზედაშე:
ხმალი ჩაბღუჯა ენეასმა და შეჰღაღადა:
"მონმედ მოვიხმობ დიად მზეს და ამ წმინდა მიწას"...
ენეიდა XII, 170 – 176

ტევკრნი მახვილით ავ ზონთ მიწას არ შებედავენ.
ენეიდა XII, 186

ლატინუსიც შეჰფიცავს, რომ ისინი დაიცავენ ენეასთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას (XII, 202).

საინტერესოა ჩვეულება დახოცილ მებრძოლთა გაპატიოსნებისა. ლატინები და ტევკრები კოცონზე წვავენ მიცვალებულებს, ნაწილს კი მარხავენ. მტრის საჭურველსაც ცეცხლში ჰყრიან. ეს რიტუალი მსხვერპლშეწირვით სრულდება.

წესით შეჰყარეს ერთად გვამნი თავისიანთა,
შეუნთეს ცეცხლი ქვეშ პირქუში, მაღალი ზეცა
კვამლის სიშავემ ჩააბნელა, შემოუარეს
სამგზის ამ კოცონს აღჭურვილმა ტევკრმა გმირებმა,
შემოუქროლეს ცხენოსნებმა ავბედით ალებს,
ენეიდა XI, 186 – 190

შემდეგ ლათინთა საჭურველი ცეცხლში შეაგდეს,
მუზარადები, უზანგები, ხმლები, ლაგამნი,
სნრაფი ბორბლები ცეცხლოვანნი. სხვებმა ნაქები
ფარ-მუზარადი მოიტანეს დაღუპულ გმირთა.
მრავლად მოასხეს მათ მოზვრები კოცონთან ზორვად,
ჯაგრიან ლორებს, ცხვრებს მატყლიანს ბოლო მოუღეს,
ველ-მინდვრებიდან მიტაცებულთ, შემდეგ მებრძოლნი
კოცონს მიუსხდნენ მოჩახჩახეს.

ენეიდა XI, 194 – 201

... ამ დროს ლათინთაც
აანთეს ცეცხლი, მაგრამ ბევრ გვამს მხოლოდ მარხავდნენ.
ზოგს აგროვებდნენ, რომ წაეღოთ მეზობელ მხარეს,
ციხე-ქალაქში გაეგზავნათ, დანარჩენები
კოცონზე დაწვეს, უთვალავი გროვა გვამების,
უანგარიშოდ, უპატიოდ. მაშინ ყოველმხრივ
ვრცელი ველები გაანათა უხვმა კოცონმა.
ცაზე გაფანტა ცივი ჩრდილი მესამე დილამ
სისხამზე ფერფლში გაბნეული ძვლები მოკრიფეს
და თბილი მიწა დააყარეს ნეშტს მეომართა.

ენეიდა XI, 204 -212

მიცვალებულთა დამარხვა ძველთაგანვე უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა. დამარხვის ორი წესი არსებობდა: მიწას მიბარება და მოგვიანებით – კრემაცია. წვავდნენ არა მარტო მიცვალებულებს, არამედ მათ საყვარელ ნივთებსაც, ფერფლს კი ურნაში ათავსებდნენ. მსხვერპლშეწირვა, წყლის, ღვინის, რძის, თაფლის, შავი ცხოველის სისხლის მოპკურება მიცვალებულის საპატივცემლოდ არა მარტო მისი დაკრძალვის შემდეგ ხდებოდა, არამედ წლისთავზეც.

ცხადია, დაღუპულ მებრძოლთა გაპატიოსნება ომის მსვლელობის დროს ასეთივე წესით შეიძლებოდა ვერ ჩატარებულიყო. "ენეიდიდან" ჩანს, ვერგილიუსი დაკრძალვის ორივე წესს ასახელებს. იმ მებრძოლთა გვამებს, რომელთაც ციხე-ქალაქში გზავნიან, ცხადია, სათანადო პატივით მოექცევიან, ხოლო დანარჩენ გვამებს, შეძლებისდაგვარად, აპატიოსნებენ.

ენეასი დილით ადრე, სანამ ბრძოლას განაახლებს მტერთან, ზრუნავს, რომ დაღუპული თანამებრძოლები მიწას მიაბაროს და ღმერთებს მტრის იარაღი შესწიროს.

მაინც რიჟრაჟზე ღმერთს მიუძღვნა მსხვერპლი აღთქმული,
საფლავზე დარგო მუხა ტოტებშემოსხეპილი,
დაკიდა ბასრი საჭურველი მე ზენციუსის,
შენდა ნადავლად, ღმერთო, ომში სწორუპოვარო!
ჯილა გაშალა სისხლიანი, მამაც მებრძოლის
გადამსხვრეული იარაღი, აბჯარ- ბექთარი,
თორმეტ ადგილას დაჩხვრეტილი, მარცხნივ დაკიდა
სპილენძის ფარი, ხმალი სპილოს ძვლის ვადიანი,
შემდეგ გარშემო შემოკრებილ მხედართუფროსებს,
აღფრთოვანებულთ, მოზეიმეთ ასე მიმართა:
"აღსრულდა საქმე ძირითადი, ნულარ გვექნება
ამ ნაშთის შიში. ჰა, ფარ-ხმალი თავხედი მეფის!"

ენეიდა XI, 4 – 15

ამ აუცილებელი რიტუალის შესრულების შემდეგ ენეასი ბრძანებს პალანტის გვამის საკაცეზე დასვენებას, შემდეგ მას თავის მოსასხამს გადააფარებს, თან ნაალაფარს გააყოლებს: აბჯრებს, საჭურველს, ტყვეებს, რომ მათი სისხლი საკურთხეველთან დაენთხიათ, როცა კოცონს მიაბარებდნენ პალანტის გვამს. ენეასი მწუხარედ გამოეთხოვა დაღუპულ ჭაბუკს და უკან დაბრუნდა ბანაკში. მან შეუნდო მასთან ვედრებით მისულ მტრებს, რომლებიც ითხოვდნენ დაღუპულ თანამებრძოლთა გვამებს. ენეასმა თორმეტდღიანი ზავი დადო, რათა ეზრუნათ მიცვალებულთა სულებისათვის (XI, 65 – 105). ტურნუსის მოლაშქრენი განცვიფრებულნი არიან ენეასის კეთილშობილებით და ქება-დიდებას ასხამენ მის სიქველეს (XI, 124 – 127).

დაღუპულ მეომრებზე ზრუნვა თანამებრძოლთა აუცილებელი მოვალეობაა; ასევე, გულმოწყალების გამოჩენა დამარცხებული, მავედრებელი მტრისადმი გმირს მეტ სახელს მოუხვეჭს, თუმცა ცოცხალი ტყვეების მსხვერპლად შეწირვა ბრძოლის ველზე დაცემული გმირის სულისათვის ასევე სავალდებულო

ნესია. მაინც როგორი უნდა იყოს მებრძოლი ომის დროს, როგორ უნდა ექცეოდეს დამარცხებულ მტერს, რა შეიძლება ეპატიოს გმირს და რა – არა?

უზომო გულჩვილობა ფიცხელი ომის დროს, მტრის დანდობა, ცხადია, შეუსაბამო საქციელია მეომრისათვის, რომლის მიზანი მტრის განადგურებაა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში, ღირსეული მეტოქის შებრალება, მისთვის იარაღის შენარჩუნება გმირს ღირსებას ჰმატებს, გაქცეული მტრისათვის მახვილის ჩაცემა სახელოვან ვაჟკაცს უკადრის საქციელად მიაჩნია, თუმცა სისასტიკე, უფრო მეტიც, მიპარვით მოკვლა არ აყენებს ჩრდილს გმირს (გავიხსენოთ "ვეფხისტყაოსანში" ტარიელის მიერ სასიძოს მიპარვით მოკვლა და ავთანდილის მიერ მძინარე ქაშნაგირზე ხელის აღმართვა). თუმცა გადამეტებულ სისხლისღვრას მეომარი უნდა ერიდოს.

ენეასის მებრძოლები მთვრალ და მძინარე მტერს თავს ესხმიან და სიცოცხლეს ასალმებენ. როცა სისხლით მთვრალი ევრიალუსი განაგრძობს დადუმებული ბრბოს ჟლეტას, მხოლოდ მაშინ შეაჩერებს მას ტროელი ნიზუსი (IX, 315 – 355).

"ვიკმაროთ, – უთხრა – ახლოვდება მტრული აისი,
ჩვენ მათ საკმაო მივუსაჯეთ, გ ზაც გახსნილი გვაქვს."
ენეიდა IX, 355 – 356

"ენეიდის" მიხედვით მეომარს ულირს საქციელად ეთვლება ნადავლს დახარბება, გაუმაძღრობა, თუმცა მოკლული მტრისათვის საჭურვლის აცლა დასაშვებია, აუცილებელიც კია, რადგან ის შემდგომ ომის ღმერთს უნდა შესწირონ (X, 542 – 543; XI, 6-7). პალანტი, ევანდერის ვაჟი, ტურნუსის მუქარას ასე უპასუხებს:

ან ვპოვებ ნადავლს უძლეველი, ან სახელოვნად
დავილუპები.
ენეიდა X, 449-450

მაგრამ ტურნუსის აღფრთოვანებას მოკლული ჭაბუკის, პალანტის ძვირფასი იარაღის მითვისების გამო ვერგილიუსი უზნეობას უწოდებს. თვით ტურნუსს კი – სისხლისღვრით გაამაყებულს (X, 514). მედიდურობა, ველური აღტაცება, სიხარბე მტრისთვის საჭურვლის ახსნისას, მიუღებელი თვისებებია ვერგილიუსისათვის.

თქვა და მარცხენა ფეხით შედგა მოკლულ პალანტზე,
მყისვე სარტყელი გამოსტაცა, ზედ რომ ეხატა
დანაშაული: ვერაგულად, ქორწილის ღამეს
მოკლული ყრმანი, სარეცლები სისხლით აღვსილნი,
ის კლონიუსმა ევრიტიდმა ოქროს ნაჭერზე
მოაჩუქურთმა, ზეიმობდა ტურნუსი ნადავლს.
კაცის გონებავ, უმეცარო ბედისწერისა,
წრეს გადასულო და ამაყო ბედნიერებით!
მოვა დრო, ტურნუსს სანანებლად რომ გაუხდება
უვნებელყოფა პალანტისა, დიდ ფასს გაიღებს
და შესძულდება ჯავშანი და დღე გამარჯვების!
ენეიდა X, 494 – 505

ბრძოლის დროს მავედრებელი მტრის შეუბრალებლობა უცხო არ არის ენეასისათვის, მაგრამ ტროელი გმირის გააფთრებას ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილი არ სდევს თან. იგი თანამებრძოლთა სიკვდილისათვის შურისძიებით არის შეპყრობილი. ტურნუსის მოლაშქრე მაგუსი შეშინებული ევედრება ენეასს, თხოვს შებრალებას და სანაცვლოდ თავის სიმდიდრეს სთავაზობს:

მუხლთ მოეხვია ბელადს მტერი და შეევედრა:
"აჩრდილს გაფიცებ მამისეულს, ყმაწვილ იულუსს,
ჩემი სიცოცხლე ჩემს ვაჟსა და მამას აჩუქე!
მაქვს სრა-სასახლე და სიმრავლე ვერცხლეულისა,
ოქრო- ბაჯაღლო, გაძერწილიც. . . მე ვერ მოვუტან
ტევკრებს დიდებას გამარჯვების, ჩემს ერთ სიცოცხლეს
არ შეუძლია ომის ჩარხის შემობრუნება."
ენეიდა X, 523 – 529

მაგრამ ენეასს თვალწინ უდგას დაღუპული ჭაბუკი პალანტი, ძე ევანდერის, რომელმაც სტუმართმოყვრულად მიიღო უცხოტომელი ენეასი და დახმარების ხელი გაუწოდა. ტროელი გმირი გააფთრებით შეებრძოლება მტრებს, რომ მათი სისხლი დაღუპულ მეომართა სულებს შესწიროს" და ტყვეთა სისხლით საზვარაკო ცეცხლი დაანთო" (X 520).

ენეასს არ გაურბის თვალი მტრის სიმდიდრისაკენ, არ ხარბდება მის მიერ შეთავაზებულ ოქრო-ვერცხლს.

ვერცხლი და ოქრო რომ აღმითქვი აურაცხელი,
შვილებს დაუთმე, თვით ტურნუსმა უკვე ჩაშალა
ჩვენი კავშირი, ოდეს მოკლა გმირი პალანტი.
ენეიდა X, 531 – 533

ენეასი არც მისგან დაღუპული მტრის ძმის ვედრებას ისმენს და მასაც სიცოცხლეს გამოასალმებს (X 595 – 603).

მაგრამ ენეასი დიდ პატივისცემას ამჟღავნებს ყრმა ლავსუსისადმი, მეზენციუსის ძისადმი, იბრალებს მომაკვდავს, არ აჰყრის იარაღს და ჰპირდება, რომ მის გვამს წინაპართა მიწას მიაბარებს. მტრისათვის იარაღის შენარჩუნება და მისი დაკრძალვა უდიდესი გულმოწყალებისა და ვაჟკაცობის გამოვლინებაა, რაც სახელოვან გმირს კიდევ უფრო ჰმატებს დიდებას (გავიხსენოთ მსგავსი წეს-ჩვეულებანი ვაჟას პოემებიდან). თუმცა არ ჩანს, რომ ეს აუცილებელი წესია, რომელსაც უნდა იცავდეს მეომარი.

ყრმავ, სიბრალულის ღირსო, შენი სიმტკიცის ფასი
რა უნდა მოგცეს ენეასმა? შეგრჩეს ფარ-ხმალი,
რითაც ხარობდი, მიგაბარებ მკვდართა აჩრდილებს,
ფერფლს წინაპართა, თუ კი რამეს ნიშნავს ეს ზრუნვა.
ენეიდა X, 825 – 828

ვერგილიუსი არა მარტო ენეასს და მის მოკავშირეებს მიაწერს ვაჟკაცურ თვისებებს, არამედ მათს მოწინააღმდეგეებსაც. პოეტი სინანულით გვიხატავს ტურნუსის დამარცხებას.

მის უგუნურებას საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო ქალღმერთთა ჩარევით ხსნის. ომი ყველასათვის ერთნაირი უბედურებაა – ასკვნის პოეტი.

მარსი თანაბრად დარდს და გლოვას თესავდა ირგვლივ,
თანაბრად კლავდნენ თავდამსხმელნიც და დამცველებიც,
არვინ ილტვოდა, არც მძლეველი, არცა ძლეული.
ენეიდა X,755 – 757

ტურნუსის თანამებრძოლი, ეტრუსკთა მეფე მეზენციუსი ისეთივე მამაცი მებრძოლია, როგორებიც არიან: ენეასი, პალანტი, ასკანიუსი და სხვ, თუმცა მეზენციუსი მკაცრი და დაუნდობელი მეომარია, მაგრამ გაქცეული მტრისათვის ზურგში მახვილის ჩაცემა მისთვის არაეთიკური საქციელია.

ასევე მარდი მე ზენციუს მყისვე შეიჭრა
მტრის შუაგულში. დასცა აკრონ სვეუბედური –
ტერფით ფხოჭნიდა მიწას, მტერი სისხლს ასხურებდა
დამსხვრეულ ფარ-ხმალს. არ ესროლა ზურგში ოროდეს,
ლტოლვილს, არ დაჭრა დამალულად, თავს მოუარა,
პირისპირ შეხვდა მე ზენციუს, მებრძოლი – მებრძოლს.
როდი აჯობა ცბიერებით, დაჯაბნა ძალით.
ზედ ფეხით შედგა, შუბს დაეყრდნო და თქვა: "აქ წევსო
ოროდე, არცთუ უმნიშვნელო ბურჯი ბრძოლისა"
ენეიდა X, 729 – 737

მხოლოდ თანასწორთან პირისპირ ბრძოლაში გამარჯვებას მოაქვს მეომრისათვის სახელი და დიდება.

რამდენადაც ასე აქებს ვერგილიუსი სამშობლოს დასაცავად მებრძოლ გმირთა სიმამაცეს (ტურნუსის თანამებრძოლთ) და ღვთის ნების აღმასრულებელი ენეასისა და მისი ლაშქრის თავგანწირვას ახალი სამშობლოს დასაარსებლად, ამდენადვე გმობს პოეტი მოქალაქეთა შორის ამტყდარ შფოთს, ძმათაშორის ომს, რომლის მრავალი მაგალითი მოიპოვება რომის გმირულ ისტორიაში."ენეიდის" VI წიგნში მარჯვედ არის ჩართული

ენეასის თავგადასავალში ვერგილიუსის ეპოქის ისტორია – ომი პომპეუსსა და კეისარს შორის. პოეტი მოუწოდებს რომაელებს, თავი შეიკავონ ასეთი ომებისაგან.

სიმამრი მოდის ალპებიდან, მონეკუსიდან,
ხოლო სიძე კი აღმოსავლით დიდძალი ჯარით.
შვილებო, სული ასეთ ომებს არ მიაჩვიოთ,
სამშობლო მხარეს იარაღით ნუ შეესევით!
ენეიდა VI, 830 – 833

ეს ცნობილი სამოქალაქო ომი პირველი ომი როდი იყო, რომელიც რომაელებს შორის ატყდა, შინაბრძოლები ოდითგანვე მოსდევს რომის ლეგენდებით მოცულ ისტორიას. ვერგილიუსი იგონებს ბრუტუსის ბრძოლას თავისუფლებისათვის ტარკვინიუს ამაყის წინააღმდეგ. მართალია, ესეც ძმათაშორისი ომია, მაგრამ პოეტი თანაუგრძნობს თავისუფლების სახელით მებრძოლ მეომრებს.

შენ გინდა ნახო ტარკვინიელთ მეფენი, სული
შურისმგებელი ბრუტუსისა, ხელშეკრულება?
იგი მიიღებს კონსულობას, მძიმე სეკირეს
და თავის ძეებს ახალ ომებს მიუჩენს მამა
კვლავ დასაცავად მშვენიერი თავისუფლების,
რაც არ უნდა თქვას მის საქმე ზე შთამომავლობამ,
სამშობლოს ტრფობა გაამართლებს, ქების წყურვილი.
ენეიდა VI, 817 – 825

ვერგილიუსი არც ანტონიუსის წინააღმდეგ ომს არ უვლის გვერდს. ამ ომში გამარჯვებამ ოქტავიანუს ავგუსტუსს სახელმწიფო ძალაუფლება მოაპოვებინა. ეს იყო უკანასკნელი ძმათაშორისი ომი რესპუბლიკის პერიოდისა, რომელმაც ხანგრძლივ მშვიდობას დაუდო სათავე. იყო თუ არა აქციუმის ბრძოლა ნამდვილი სამოქალაქო ომი? მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ეს ომი ანტონიუსსა ავგუსტუსს შორის დავის გადასაწყვეტად ამტყდარი ომი კი არ იყო, არამედ უფრო მასშტაბური, ომი

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ომი ბარბაროსების წინააღმდეგ.[1] ანტონიუსის დიდი შეცდომა ის იყო, რომ იგი აღმოსავლეთის ქვეყნების დახმარებით ებრძოდა რომაელებს. ეს იყო სწორედ მისი დანაშაული და მისი მარცხის ერთ-ერთი მიზეზიც.

ველურთ ლაშქარი მოჰყოლია აქ ანტონიუსს
აღმოსავლეთში გამარჯვებულს მეწამულ ზღვასთან,
სხვადასხვა ტომი მოსდევს ლაშქრად ეგვიპტიდანაც,
შეუპოვარნი მეომარნი აღმოსავლეთის
და შორეული ბაქტრიისა . . . ვაი, სირცხვილო!
ცოლიც მოჰყვება ეგვიპტელი . . . მისი გემები
სწრაფად გაქროლდნენ. ქაფიანი ზღვა ატორტმანდა
სამქიმიანი გემთა ჭვინტით, გეგონებოდა
ზღვა ზე ცურავენ კიკლადები, ან მთა მთას მისდევს,
ისე დიდია გმირთა დასი გემის კიჩოზე.
ტყორცნიან ისრებს და ანთებულ მაშხალებს ხელით,
მკვლელობის კვალი ნეპტუნიას წითლად დააჩნდა.
ენეიდა VIII, 684 – 695

მართლაც, ეს ომი უფრო მეტი იყო, ვიდრე შინაომი. აღმოსავლეთის ქვეყნები თავიანთი კერპებით ლამობდნენ რომის სახელმწიფოს, მისი რელიგიის, კულტურის დამხობას. ასე აღიქვამდნენ მას ანტონიუსის წინააღმდეგ მებრძოლი რომაელები.

რა ზმებს აღაგ ზნებს დედოფალი მამის სისტრუმით,
ზურგს უკან ორ გველს ვეღარ ამჩნევს, ყველა ურჩხული
და ანუბისი ძაღლისთავა შეიარაღდა,
ვენუს, მინერვას, ნეპტუნუსის სამტროდ, საცილოდ.
ენეიდა VIII, 696 – 699

აპოლონის შეწევნით რომაელები ამარცხებენ აღმოსავლეთის ქვეყნების ფლოტს და ოქტავიანუს ავგუსტუსი ბრწყინვალე ტრიუმფით შედის რომში.

---

[1] R. Syme, The Roman Revolution, Oxford, 1939, 296.

აპოლონ დასცქერს აკციუმის ტაძრიდან ყოველს,
მოზიდავს მშვილდსა, მისი შიშით უკუილტვიან
ინდო-არაბნი, საბინელნი თუ ეგვიპტელნი.
ენეიდა VIII, 704 – 706

სამმაგ ტრიუმფით კეისარი შემოდის რომში,
ალავლენს უკვდავ აღთქმას იტალთ ღმერთთა წინაშე,
სამას მშვენიერ, დიად ტაძარს აგებს ქალაქში,
ქუჩა გაივსო შვებით, ტაშით, თამაშის ხმებით.
ყველა ტაძარში – დედათ გუნდი, ყველგან – ბომონნი. . .
ბომონთ წინაშე – ძირს გართხმული დაკლული ხარი. . .
თეთრი თოვლივით თეთრ ზღურბლზე ზის თვით კეისარი,
ათვალიერებს ხალხის მოძღვნილ ძღვენს, წინ ილაგებს.
მწკრივად გაივლის მის წინაშე ძლეული ხალხი,
განსხვავებულნი იარაღით, სამოსით, ენით.
ჩანს ნომადთ ტომი, აფრიკელნი ლამაზ სამოსით,
აქვე ლელეგნი, კარიელნი და გელონები,
მშვიდი ევფრატი, მორინელნი, შორეთის მკვიდრნი.
ენეიდა VIII, 714 – 726

აი, ასეთია რომაული მშვიდობა, ავგუსტუსის მოტანილი სიმშვიდე, შვება, მხიარულება, ტაძრები, ბომონები და . . . რომს დამორჩილებული სხვადასხვა ქვეყნები. ვერგილიუსი რომაელთა დიდებას მსოფლიო ხალხთა დამორჩილებასა და მათი ბედის განჩინებაში ხედავს. იგი სიამაყით წარმოათქმევინებს ანქიზეს აჩრდილს:

შენ, რომაელო, გმართებს ხალხთა მართვა უფლებით,
ეს არის შენი ხელოვნება! – მშვიდობის დაცვა,
ამაყთ დათრგუნვა და მორჩილთა მოწყალეობა!
ენეიდა VI, 851 – 853

რა თქმა უნდა, ეს პათოსი სავსებით შეეფერებოდა რომის მზარდ იმპერიულ ზრახვებსა და თავად ავგუსტუსის პოლიტიკას, რომელიც მსოფლიოს ბატონობისაკენ ისწრაფოდა და რაც რომაელებს მედიდურობასა და სიამაყეს ჰმატებდა. ოქროს ხა-

ნას, რომელიც სატურნუსის დროს არსებობდა, კვლავ უბრუნ-
დებოდა რომი.

ჰა, კეისარი, იულუსის მოდგმა დიადი,
მუდამ მზადმყოფი ცის თაღის ქვეშ კვლავ გასავლელად.
აქ არის იგი ასე ხშირად შენთვის ნაქები —
ავგუსტუს ცეზარ, ღვთაების ძე, რომელიც ოქროს
ხანას მოუტანს კვლავ ლაციუმს, სადაც მეფობდა
თვით სატურნუსი, იხელმწიფებს გარამანტებზე. . .
ენეიდა VI, 792 – 794

აქ აშკარად არის გაცხადებული რომაელთა კრედო – სურვი-
ლი მსოფლიოზე ბატონობისა. ვერგილიუსი, რომის იმპერიული
რეჟიმის მხარდამჭერი, კეისრის საქმეთა განდიდებით ხარკს
იხდის ავგუსტუსის წინაშე. იგი მეცენატის დავალებას ბრწყინ-
ვალე ლიტერატურული შედევრით – "ენეიდით" უპასუხებს,
რომელშიც აისახა რომაელთა მითიური და ისტორიული წარსუ-
ლი, მისი ძველი და ახალი დიდება. ვერგილიუსი ხოტბას ასხამს
რომაელთა სამხედრო ძლიერებას, მათს წარმატებულ ლაშქრო-
ბებს, რომლებმაც რომი, ოდესღაც პატარა ციხე- სიმაგრე, უდი-
დესი იმპერიის დედაქალაქად აქცია.

ჰორაციუსი

სამოქალაქო ომის სიმწვავე ავგუსტუსის ეპოქის მეორე
დიდმა პოეტმა ჰორაციუსმა პირადად იწვნია. ბრუტუსის არმია-
ში მებრძოლმა პოეტმა ძვ. წ. 42 წ. ფილიპესთან დამარცხება
იგემა. ამ მარცხმა პოეტს სილარიბე არგუნა. მან დაკარგა მამუ-
ლი, რომელიც ომის ვეტერანებს დაურიგა ავგუსტუსმა. ამის
შემდეგ მთლიანად შეიცვალა ჭაბუკი პოეტის ცხოვრება, იგი
ლიტერატურულ საქმიანობას მიუბრუნდა. შემდგომ, მეცენა-
ტის წრეში მოხვედრილი ჰორაციუსი, განერიდა პოლიტიკურ
საქმიანობას. სამოქალაქო ომი, რომელშიც იგი ოდესღაც მონა-

წილეობდა, სახელმწიფოს უბედურებად მიიჩნია. ჯერ კიდევ "ეპოდებში" (VII – XVI) ილაშქრებს ჰორაციუსი ასეთი ომის წინააღმდეგ. პოეტმა იცის, რომ ძმათაშორისი ომების სათავე არის ის უძველესი ცოდვა, რომელიც რომაელებმა რემუსის მკვლელობით ჩაიდინეს. სამოქალაქო ომების წამომწყებთ ის ჭკუასუსტებს უწოდებს, რომელთა ქადაგებას რომი დამხობისაკენ მიჰყავს.

ბოროტმზრახველნო, სით ისწრაფით, ან რად აელვებთ
ხმლებს გაშიშვლებულს მარჯვენა ხელით?
განა არ კმარა, ლათინთა სისხლით რამდენი ველი
და ზღვის რამდენი ზვირთი მორწყულა?
იქნებ ციხენი, ამაყად მდგარნი მტრულ კართაგენის,
უნდა გადაწვას მძლე რომაელმა?
იქნებ ის უნდა, ბორკილგაყრილი რომ გაატაროს
ტყვე ბრიტანელი წმინდა ქუჩაზე?
არა! პართელთა გულგასახარად რომზე აღმართავს
ხელს რომაელი, დაღუპავს ქალაქს.
ასეთი წესი არ აქვთ არც ლომებს და არც სასტიკ მგლებს,
თავს ესხმის მხეცი სხვა ჯიშის ნადირს.
პასუხს მოვითხოვ, რას შეუპყრიხართ, ბრმა სიშმაგეს თუ
საშინელ ძალას, ან იქნებ ცოდვას?
ხმას არ ილებენ, სახეზე ფერი ედებათ მკრთალი,
ჭკუა- გონება სულ გაჰყინვიათ.
ასეა, როცა ძმის მკვლელობის და ბოროტებისთვის
სასტიკი ბედი დევნის რომაელთ.
როს დაიღვარა მიწას უცოდველ რემუსის სისხლი,
რაც ცოდვად აწევს შთამომავლობას.

VII ეპოდი

ამ თემას ეძღვნება XVI ეპოდიც. პოეტი აქ რომაელ ხალხს მიმართავს, უწინასწარმეტყველებს საშინელ ბედს, თუ გონს არ მოეგებიან და არ გაიაზრებენ, რა სასტიკი შედეგები შეიძლება ომს მოჰყვეს. ეს ის ომია, რომელშიც მოქალაქენი აჩანაგებენ საკუთარ ქალაქს, რაც მტერმა ვერ დააკლო რომს, იმას თვით რომაელები გააკეთებენ.

ახალი მოდგმა ეწირება ომს ძმათამჟლეტელს,
რომი ინგრევა თვისივე ძალით,
მამაც კაპუამ და სპარტაკმა მას ვერრა ავნეს
და მოღალატე ალობროგებმა,
ვერც ცისფერთვალა შმაგ გერმანელთ დაამხეს რომი,
და ჰანიბალმაც ძვრა ვერ უყო მას,
დაწყევლილ სისხლის უღვთო თაობა საკუთარ თავს ვნებს,
ან ველურები დაგვიმონებენ.
ჩვენს ნანგრევებზე აღ ზევდება მძლე ბარბაროსი
და რომს გათელავს ცხენთა ფლოქვები.

XVI ეპოდი

ამ თემას "ოდებში" ნაკლები სიმძაფრით ეხმაურება ჰორაციუსი. ავგუსტუსის იდეოლოგიის მეხოტბე პოეტი ვალდებულია პრინცეპსის საქმეებზე გაამახვილოს ყურადღება. თუმცა შიგადაშიგ იგი სამოქალაქო ომის საშინელებებს მოაგონებს რომაელებს, რომ ეს ცოდვა მათ უხსოვარი დროიდან მოსდევთ.

ცოდვილ მამათა შვილებსაც ძმათა კვლის
და შინაომების მახვილის ხმა ესმით,
რომლითაც სპარსთა დახოცვა ეგების
უპირველესად.

ოდები I, 2, 21- 24

პოეტი საშველად უხმობს ღმერთებს, თანხმობა ჩამოაგდონ რომაელებში, მხიარულება და ხალისი დაუბრუნონ რომაელ ხალხს.

იუპიტერი ვის მისცემს დასტურს
მოინანიოს ცოდვები თვისი?
გესავ, ღრუბლებით მოსილო აპოლონ,
მოხვიდე შველად!
შენ, ერიკინავ, იქნება გვექმნე მწედ,
ვის ხალისი და კუპიდო თავს დაგვფრენს,
მარსო, თუ ხედავ ეგ ზომად კირთებულ

შთამომავლობას,
გამაძღარს ომით და აღტაცებულს
ბრძოლის ყიჟინით, მსუბუქ მუ ზარადით.
მარსელ ფეხოსნის დაჭრილ მეტოქის
გამგმირავ მზერით.
მაიას ძეო, იქნებ შენ მოგვხედო,
ოდეს მიწა ზე მოყმედ გიხილეს,
ხალხმა კეისრისათვის შურისმაძიებლად
მიგილო უმალ.

ოდები I, 2, 33 – 44

პოეტი უსურვებს ავგუსტუსს მრავალი ტრიუმფის გადახდას, მაგრამ ეს დიდებული ჯილდო მიდიელებზე გამარჯვების შედეგად უნდა იქნეს მოპოვებული. ე. ი. კვლავ ამ თემის ვარიაციას ახდენს ჰორაციუსი. გამარჯვება მაშინ არის კარგი, როცა იგი გარეშე მტრის ძლევით მიიღწევა.

კეისარს მოგაგებთ ტრიუმფებს უდიდესს,
ჩვენს უპირველეს მამას და დიდებულს,
არ შეგვაჭამო, პატრონო, ოლონდაც,
მიდიელთ ჯავრი!

ოდები I, 2, 50-53

საყურადღებოა ერთი ოდა I წიგნიდან, სადაც ჰორაციუსი შიშით გასცქერის ზღვაში ხომალდის შესვლას. იგი გრძნობს, რომ შერყეული ხომალდი ვერ გაუძლებს ქარების ქროლვას, პოეტი წუხს ამის გამო და სურს შეაჩეროს გემის მსვლელობა:

ახალი მოქცევა ზღვად წარგიტაცებს,
ღუ ზა ნავსადგურში ჩაუშვი, ხომალდო!
რას იქმ? სიფრთხილე გმართებს,
ხომ ხედავ დამცვივდა ხოფნი.
ან როგორ გაუძლებს აფრიკულ ქარიშხალს
საწყლად მოჭრიალე დახრილი ქანდარა,
ზენა ქარების ქროლვით

შუა გაბზარული ანძა.
აქა – იქ ფრიალებს აფრის ნაგლეჯები,
ღვთაებათ ქანდაკი აღარ ჩანს არსაით,
ჭირში უხმობდი ვისაც,
ლოცვით გამოსთხოვდი შველას.
თუმცა ხარ ნაგები პონტოურ ფიჭვისგან
თუმცა ხარ ასული ტყის სახელოვანის,
კიჩომოხატულს ვერ გნდობს
მხდალი მე ზღვაური შენი.
თუ წინათ ნაღველის მიზეზი იყავი,
ვერც ახლა გელევა შენ ჩემი ფიქრები,
ო, განარიდე ზღვაში
ეგ ჭვინტი კიკლადებს მბრწყინავს.
ოდები I, 14

ჯერ კიდევ კვინტილიანუსი მიუთითებდა ამ ლექსის ალეგორიულ შინაარსზე, რომ განსაცდელში მყოფი ხომალდი რომის სახელმწიფოა, გაშმაგებული ზღვა კი – ძმათა ომი, რომელიც ავგუსტუსმა და პომპეუსმა წამოიწყეს, ხოლო ნავსადგურში ღუზის ჩაშვება – ზავისა და თანხმობის სურვილია.[2] შესაძლოა, პოეტმა არჩია, პირდაპირ არ გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება ამ თემასთან დაკავშირებით.

Non tibi integra lintea (ოდები I, 14, 8) სიტყვა – სიტყვით ნიშნავს: არა გაქვს იალქანი დაუზიანებელი (წმინდა). ვფიქრობ, პოეტი აქ ულვთო ომს გულისხმობს, ხოლო pinus nobilis silvae (I, 14, 11- 12) ფიჭვი დიდებული ტყისა – ალბათ, ავგუსტუსისა და პომპეუსის ბრწყინვალე წარმოშობაზე მიუთითებს, ხოლო ხომალდზე ღმერთთა არარსებობა – მათ უპატივცემლობას უნდა ნიშნავდეს რომში. ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის სამოქალაქო ომს ეხება ოდების I წიგნის XXXVII ოდა. პოეტი ხოტბას ასხამს ავგუსტუსის გამარჯვებას აქციუმის კონცხთან, ამავე დროს, ერთი სიტყვითაც კი არ მოიხსენიებს ანტონიუსს, თითქოს ამ ომში იგი არც კი მონაწილეობდა, ხოლო კლეოპატრას მიმართ აშკარად სიმპათიებს ამჟღავნებს. პოეტი მოხიბლულია

[2] კვინტილიანუსი, ორატორული დარიგებანი VIII, 6, 44.

ეგვიპტის დედოფლის სიმამაცით, როცა დამარცხებულმა კლეოპატრამ სიკვდილი არჩია სამარცხვინო სიცოცხლეს. ამ ომში გამარჯვებული ავგუსტუსის სადიდებლად ჰორაციუსი დიდ მხატვრულ ხერხებს იყენებს.

ანტონიუსის მოუხსენებლობა ნიშნავს იმას, რომ ჰორაციუსს უჭირს მტერი უწოდოს სახელოვან სარდალს, რომელიც ოდესღაც რომაელთა საყვარელი გმირი და ოქტავიანუსის კოლეგა იყო.

მოყვასნო, ჩვენი თრობის დრო დამდგარა
ან ფერხაისაი შეგვფერის გაბმული,
დრო დადგა, ღმერთებს სალიური
ლხინის სუფრები გადავუშალოთ.

ვეკრძალებოდით მარნებში უძველეს
ცეკუბურის სმას, ვიდრე დედუფალი
უგუნურებით კაპიტოლიუმს
და იმპერიას ემუქრებოდა.

გაავებული ბრბოს მოიმედე,
გულს მოცემული, სიშმაგით დამთვრალი
მყის გაწბილდა, ვერარა შეძლო,
დაუცხრა ლტოლვა, როს ხანძრისაგან

მარტოოდენ ერთი ხომალდი დარჩა.
და როს კეისარმა თავისი დევნით
იტალიით უკუქცეული,
ღვინონასმური, ისე აოტა,

ვითარცა მტრედს აოტებს ქორის დაცემა,
ანდა მონადირე – კურდღელს,
კეისარს მხეცის შეპყრობა სურდა,
რათა ბორკილი ებოძა მისთვის.

ოდები I, 37, 1 – 20

ასე გამოხატავს პოეტი თავის აღტაცებას ავგუსტუსის გამარჯვების გამო, რომელმაც უკუაქცია მტერი და დიდი საფრთხისაგან იხსნა რომი. შემდეგ კი ჰორაციუსი მოკლედ გადმოსცემს კლეოპატრას ტრაგიკულ დასასრულს.

გარნა შეაკრთო ცივმა მახვილმა,
არც უჩინარი ნაპირი ეძება,
კეთილშობილური არჩია სიკვდილი
და გამბედავმა მისთვის დაკარგულს

მზერა ესროლა ტახტს გამქირდავი.
მერმე კი გველთა თამამად მიეჭრა,
რათა სხეულით შეესრუტა
შავი შხამი და ცივი სიკვდილი.

გარდუვალ ბოლოს გულმაგრად ხვდებოდა,
არა ინდომა მდაბალ დიაცივით
მტრულ ხომალდებით ტყვედ წაეგვარათ
ზვიად ტრიუმფში გასატარებლად.
ოდები I, 37, 21 – 32

ამრიგად, ჰორაციუსმა აქციუმის ცნობილი ბრძოლის ფონზე ეგვიპტის დედოფლის ტრაგიკული სიკვდილის სურათი წარმოაჩინა. პოეტი არ მალავს, რომ მას არ აინტერესებს საომარი მოქმედებების აღწერა ("ოდები" I, 6, 9 – 12) და ურჩევნია სატრფიალო ლექსების წერა. ამას იგი იმით ხსნის, რომ არ სურს თავისი ლექსებით კეისრის (= ავგუსტუსის) დიდებულ საქმეთა დაკნინება, პოეტი თვლის, რომ სამოქალაქო ომის თემისათვის ხელის მოკიდება სარისკოა. ჰორაციუსი II წიგნის I ოდაში, რომელსაც უძღვნის ცნობილ დრამატურგს, ისტორიკოსს, ერთ-ერთი ლიტერატურული წრის ხელმძღვანელს, ასინიუს პოლიონს, აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ომების ისტორიის საკითხებზე წერა მეტად საფრთხილოა და ურჩევს ლექსის ადრესატს, მიუბრუნდეს ისევ ტრაგედიებს.

მოქალაქეთა მღელვარე მოქცევას,
ომის მიზეზებს, ხვანჯებს და შეცდომებს
წინამძღოლების ღირს თანამდგომებს,
ბედის თამაშს და სპათა საჭურველს,

ჯერ აუღებელ სისხლისგან შელებილს
შენ რუდუნებით იძიებ და აღწერ,
ადგეხარ საქმეს ხიფათიანს,
ჩხრეკ ფერფლს, რომელიც ნაღვერდალს მალავს.

რატომ მიიჩნევს სახიფათო თემად ჰორაციუსი სამოქალაქო ომის აღწერას? ცხადია იმიტომ, რომ მისი მიზეზების კვლევისას უნდა გაირკვეს, ვის რა ბრალი მიუძღვის ძმათამჟღეტელ ომში, ასე რომ, ავგუსტუსის პერიოდის ამბებიც უნდა იქნეს განხილული, პროსკრიპციების სისასტიკე ტრიუმვირატის დროს.

II წიგნის მე – 7 – ე ოდაში, რომელიც ბრუტუსის ლაშქრის მონაწილე პომპეუს ვარუსს ეძღვნება, ჰორაციუსი იგონებს იმ წლებს, როდესაც ისინი ერთად მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომში. პოეტი ერთგვარი ირონიით იგონებს თავის დამარცხებას ამ ომში. იგი ურჩევს თავის მეგობარს, არ დაივიწყოს ეს სისხლისმღვრელი ომები, მოიშუშოს იარები და გაიხალისოს ცხოვრება. პომპეუს ვარუსი რომში ძვ.წ. 29 წელს დაბრუნდა ოქტავიანუსის ამნისტიით.

ო, პომპეუსო, ჩემო მეგობარო,
ბრუტუსის ომში სიკვდილგამოვლილო,
ვინ დაუბრუნა შენი თავი
რომსა და ღმერთებს, იტალიის ცას?

მოყვასო ჩემო, უგრძესი დღეები
ჩვენ არაერთგზის მოვკვეცეთ ღვინოში
და სირიული მალობათროს
გვირგვინი გვიმკობდა ბრწყინვალე თმებს.

ფილიპის ბრძოლაც ხომ ერთად ვიწვნიეთ,
და ოტებულნიც მხარდამხარ გავრბოდით,
რა გატყდა ჩვენი მამაცობა
და სხვებმაც მიწა მოხნეს ნიკაპით.

მერკურიუსი გამიძღვა უსწრაფეს
და უსიერი ბურუსი ვიფარე;
სისხლის მორევმა გაგიტაცა,
შენ ხელმეორედ მიიქეც ბრძოლად.

ხამს იუპიტერს მიაგო ნადიმი
და მოიშუშო იარა ბრძოლების,
ვინ იმუქაიფე უმეტესად,
მო, შეეფარე დაფნათა ჩემთა.
ოდები II, 7, 1 – 20

შესაძლოა, ეს თვითირონია ავგუსტუსის საამებლად გამოიყენა პოეტმა, ან იქნებ იგი ჭეშმარიტად ნანობს თავის მონაწილეობას სამოქალაქო ომში, ან სულაც თავის სიმხდალეს დასცინის.

თუ სამოქალაქო ომში მონაწილეობას საძრახისად მიიჩნევს ჰორაციუსი, სამშობლოს დამცველი გმირების დიდებას აღავლენს III წიგნის მე-2-ე ოდაში. სამშობლოსათვის ბრძოლა, მისთვის თავგანწირვა მეომარს ღირსებას ანიჭებს. სწორედ ამ ოდიდან არის ჰორაციუსის სენტენციადქცეული ცნობილი სიტყვები: "dulce et decorum est pro patria mori" – "სასიამოვნო და საპატიოა მამულისთვის სიკვდილი".

ყრმამ გამოწვრთნილმა სამხედრო საქმეში,
დე, სილარიბის მოთმენა ისწავლოს,
გასალაშქრებლად აღჭურვილი
შორით აფრთხობდეს ველურ პართელებს.

სამშობლოსათვის ტკბილია სიკვდილი,
ვერც მხდალი გასცდეს აღსასრულს თვისას,

დანდობა არ აქვთ არც ნაქცევ ზურგებს,
ბრძოლასა შიგან გაუწვრთნელ ყრმათა.

ვაჟკაცი ომზე უარის არმთქმელი,
ბრწყინავს დიდებულ შეურყვნელ პატივით,
არც აღმართავს და არც ჩახრის
ნაჯახს, ყოველთა აზრის მიხედვით.
ოდები III, 2, 1 – 4, 13 – 20

IV წიგნის მე-4- ე ოდაში ჰორაციუსი ქებით მოიხსენიებს რომაელთა თავგანწირულ ბრძოლებს. პოეტი არწივსა და ლომს ადარებს კლავდიუს ნერონს, რომელიც ძმასთან ერთად ებრძოდა კელტურ ტომებს ძვ.წ. 15 წ. მათ დაამარცხეს ალპებთან რეტები და ვინდელიკები.

გულადს კეთილი გულადი დაჰბადებს,
კვიცსა და მოზვერს ჯილაგით იცნობენ,
არ დაჩეკავენ არწივები
ყოვლის მოშიშარ, უსუსურ მტრედებს.

მაგრამ გაწვრთნითა ძლიერებს ყოველი,
სულიც მართალი აღზრდითა განმტკიცდეს,
თუკი ნიშატი ველარ მოსდევს,
ღვთით ბოძებულ ნიჭს ზაკვას მოიხმარს.
ოდები IV, 4, 29 – 32

ჰორაციუსი არც სხვა ნერონებს ივიწყებს, კერძოდ, გაიუს კლავდიუს ნერონს, კონსულს ძვ. წ. 207 წ., იგი იგონებს მის გამარჯვებას მდ.მეტავრუსთან კართაგენელების წინააღმდეგ.

ვით იმუქაფეს ნერონთა, ო, რომო,
მოწმენი არიან მეტავრუსი და
ჰასდრუბალი დამარცხებული,
პირმცინარი დღეც ლაციუმიდან,

ბინდის გამფანტავი, პირველი ჯილდო,
რაც აფრიკელი ულმობელი დააცხრა
იტალიას, ვითარც ცეცხლი ფიჭვს,
ან ზენაქარი სიცილიის ზღვას.

შემდგომად რომის აღზევდა დიდება,
ძლევამოსილად უმრწემესთ იბრძოლეს,
და ჰუნიელთა ანაოხარს
კვლავ მოევლინენ ტაძრებს ღმერთები.
ოდები IV, 4, 37 – 48

ავგუსტუსის გერების: დრუზუსისა და ტიბერიუს ნერონების ძლევამოსილ ბრძოლებს უმღერის ჰორაციუსი IV წიგნის მე-14-ე ოდაში, რომელიც, ჩანს, რომ პრინცეპსის დაკვეთითაა დაწერილი. რომის ისტორია ამ ორ სარდალს მამაც მებრძოლებად მოიხსენიებს. მათი ქებით პოეტი თვით ავგუსტუსს ასხამს ხოტბას.

შენი მძლეთა-მძლე ლაშქრით შემუსრა
ფეხმალი ბრევნები მამაცმა დრუზუსმა,
სძლია ველური გენავნები
და დააქცია ალპებს ციხენი.

მერმე, სულ მალე უფროსმა ნერონმა,
კეთილი ნიშნებით აღფრთოვანებულმა,
ბრძოლები გამართა უმძაფრესი
და მთლად შემუსრა ველური რეტნი.

გენახა, ნეტავ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში
თავისუფლებისათვის თავის გამწირველს
ვით მუსრავდა მტერს უმოწყალოდ!
ვითარცა ზენა ქარის ამოჭრა

გააპობს ღრუბლებს და ტალღა იშხუვლებს,
ისე მოულლელად რა ზმით კვეთავდა,

გზას იკაფავდა შეუსვენებლად
ცეცხლის შუაგულში შეჭრილი რასით,

როგორც ავფიდუს – მძვინვარე დიდროა
ჩამოედინება დავნუსის სამეფოს
და ემუქრება წასალეკად
ვრცელ აპულიის ნახნავ ნათესებს,

ესრეთ მტრის რაზმი ჯიქური თავდასხმით
ველზე გაშალა და ისე ჩახოცა
გმირმა სპასპეტმა კლავდიუსმა
და გამარჯვების გზებზე ვიდოდა.
ოდები IV, 14, 9 – 32

III წიგნის მე-5-ე ოდაში სამშობლოსათვის თავგანწირული გმირის – რეგულუსის ისტორიას მოაგონებს ჰორაციუსი მკითხველს. პოეტი ამით რომაელთა მარცხზეც ამახვილებს ყურადღებას, როცა პართელების მიერ ძლეული კრასუსის მებრძოლები შეეგუენ ტყვეობას, დაივიწყეს სამშობლო, შეირთეს ცოლად პართიელი ქალები და ბედს დანებდნენ. მათ ფონზე რეგულუსის, რომაელი სარდლის თავდადებას განსაკუთრებული მოწიწებით აღნიშნავს პოეტი. I პუნიკურ ომში დამარცხებული რეგულუსი ტყვედ ჩაუვარდა ლაშქართან ერთად მტერს. კართაგენელებმა იგი რომში გააგზავნეს, რათა დაეყოლიებინათ რომაელები ზავზე. რეგულუსმა დაარწმუნა სენატი, არ მიეღოთ ზავის პირობები, თუმცა იცოდა ამისთვის მტერი არ დაინდობდა ტყვე რომაელებს. უკანდაბრუნებულ რეგულუსს კართაგენელებმა წამებით ამოხადეს სული.

მიდებში მარუსმა და აპულუსმა
გადაივიწყეს ტოგა და სახელი,
წმიდა ფარი და ვესტა მარადი,
იუპიტერი და მტკიცე რომი!

ეს რეგულუსმა წინასწარ განჭვრიტა,
არ დაეთანხმა ზავის პირობათ

და მომავალ ახალგაზრდობას
თავის განწირვით დაუბარა,
რომ სჯობს სიკვდილი მტრის ხელში ტყვეობას!
ოდები III, 5, 9 – 17

ჰორაციუსს მიაჩნია, რომ პოეტის მოვალეობაა სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცების შექება, რათა შთამომავლობისათვის უცნობი არ დარჩეს მათი გმირობის ამბავი.

იყვნენ გმირები აგამემნონამდე,
მაგრამ ყველანი გრძელ ღამეს შეერთვნენ,
ასე უცრემლოდ დაიფარნენ,
რადგან დააკლდათ მგოსნის სიმღერა.

ჯაბანი მკვდარი მცირედით განსხვავდეს
უხოტბოდ შთენილ კაი ყმისაგან.
ოდები IV, 9, 25 – 30

რა მოუტანა რომს სახელოვანმა ლაშქრობებმა და ავგუსტუსის წარმატებებმა? ორი რამ: ერთი, რითაც თავი მოჰქონდათ რომაელებს, რაც ჰორაციუსისთვისაც სიამაყის საგანს წარმოადგენს – იტალიის გაძლიერება, ტერიტორიის განვრცობა.

თაყვანს გცემს მიდია და მიწა ინდოთა,
კანტაბრიელი, სკვითი მომთაბარე,
ო, ამა დღეთა მძლეო ქომაგო,
იტალიის და მბრძანებელ რომის.

ქედს გიხრის ჰისტერი და სწრაფი ტიგროსი,
ნილოსი, რომელიც სათავეს გვიმალავს,
ზღვათა ზღვა სავსე ურჩხულებით,
ბრიტანთა ნაპირს შეჭიდებული,

თაყვანს გცემს გალია შეუდრეკელი
და ჰიბერიის პირქუში ქვეყანა

და მეომარი სიგამბრეებიც
შენს წინ მორჩილად განიარაღდნენ.
ოდები IV, 14, 45 – 52

მეორე სიკეთე, რაც ავგუსტუსის მიერ წარმოებული ლაშქრობებით მიიღეს რომაელებმა, იყო მშვიდობა, როცა ქვეყნად გამეფდა კანონიერება, სამართლიანობა, ღმერთების პატივისცემა.

ხარიც კი უშიშრად მიყვება იალაღს,
ჰკვებავს უხვი კალთით კერესი მინდორ-ველს,
მშვიდად ნაოსნობენ ზღვაში მეზღვაურნი,
რწმენა ერიდება ღალატს.

კანონი ყოველგვარ მზაკვრობას დათრგუნავს,
არ წაიბილწება უბიწო ოჯახი,
შვილი დედ-მამის პატივისმცემელია,
სასჯელი თან ახლავს ცოდვას.

ვისლა ეშინია პართელის ან სკვითის,
პირქუშ გერმანიის ნაშიერ ტომების,
ომში ვინ გაექცეს ველურ ჰიბერიას?
ჯანსაღად როს გვყავს კეისარი?

დღეს ყველა საკუთარ მაღლობზე მუშაობს
და ვაზი ობოლი თალარზე გადაჰყავს,
მერმე კი სუფრასთან ღვინის თასს დასცლის და
ვითარცა ღმერთს მოგიხმობს შენ.
ოდები IV, 5, 17 – 32

აქ ჩამოთვლილია ავგუსტუსის პოლიტიკის ძირითადი შედეგები საგარეო და საშინაო სფეროში: მის მიერ ქვეყნების დამორჩილება, რეფორმების გატარება ოჯახისა და ქორწინების შესანარჩუნებლად, ზნეობის გასაჯანსაღებლად. ავგუსტუსის ღვაწლის შეფასებას იძლევა ჰორაციუსი IV წიგნის მე-15 -ე ოდაში.

შენი მეუფების ჟამს,ო, კეისარო,
ალსდგა ბარაქა, კვლავ დაუბრუნდა
იუპიტერის ტაძარს დროშები
დახსნილი პართთა ტყვეობისაგან!

კვირინუსის ტაძარს დაეხშო კარიბჭე,
ლაგამი მოსდე წესრიგის დარღვევას
და ბოროტება განიდევნა;
შენ დაგვიბრუნე ძველი ქველობა,

რამაც განავრცო სახელი ლათინთა,
შორს იტალიის გატყორცნა დიდება,
კიდით კიდემდე მიმოფინა
ჰესპერიიდან ალმოსავლამდე!

სანამ კეისარი განაგებს სამეფოს,
ვერც შინაომი დაგვირღვევს სიმშვიდეს,
ვერც რისხვა, ვინაც გამოჭედა
მტრობის მახვილი ქალაქთა ზედა!

ვერვინ დაარღვევს შენეულ კანონთა;
ვერც სპარსები, ვერც გეტნი, სერები,
ვერც ტანაისის გამოზრდილნი,
ვერც დანუვიუსის წყლის შემსმელნი!

ეს ოდა თავისი შინაარსით IV წიგნის მე -5- ე ოდას ეხმიანება. ავგუსტუსმა დაამყარა მშვიდობა, ბოლო მოუღო სამოქალაქო ომებს, დაახშო კვირინუსის ტაძრის კარები, განავრცო იტალია, მის ძალას შორეული ქვეყნებიც დაემორჩილნენ. ავგუსტუსმა დაიბრუნა პართიელების მიერ მიტაცებული რომაელთა საბ-რძოლო ნიშნები, რითაც სამარცხვინო ლაქა ჩამორეცხა რომის მოსახლეობას.

ამრიგად, ის უსაფრთხო ცხოვრება, სიწყნარე, კანონიერება, სამართლიანობა – ომის გზით იქნა მოპოვებული. მშვიდობა, რომელსაც ასე შეჰხარის ჰორაციუსი, ავგუსტუსის ძალისმიერი

პოლიტიკის შედეგად იქნა მიღწეული. მხოლოდ სამოქალაქო ომი არის პოეტისათვის მიუღებელი და გაუმართლებელი, რომელსაც რომაელ მოქალაქეთათვის უბედურება მოჰქონდა მუდამ.

ტიბულუსი

ჩვენამდე მოღწეული რომაელ ელეგიკოსთა შემოქმედების მთავარი თემა არის სიყვარული, თუმცა ამ პოეტებისათვის უცხო არ არის სოციალ-პოლიტიკური მოტივებიც. ალბიუს ტიბულუსი ძვ. წ. I ს. ცნობილი ელეგიკოსია. იგი დაახლოებული იყო იმ დროის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესთან, ორატორ მესალა კორვინუსთან. მას პოეტი აკვიტანელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში თან ახლდა ძვ. წ. 30 წ. ტიბულუსმა ამ ექსპედიციაში მამაცობისათვის საპატიო ჯილდოებიც დაიმსახურა. აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს პოეტი კვლავ მესალას ხლებია ომში, მაგრამ ავად გამხდარა და კუნძულ კერკირაზე დარჩენილა. ამ თავგადასავალს პოეტი ელეგიების I წიგნში (I, 3) მოგვითხრობს. მესალას ლიტერატურულ წრესთან კავშირი ტიბულუსს სიკვდილამდე არ გაუწყვეტია. მებრძოლი პოეტი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ომის თემას, ომისა და მშვიდობის დაპირისპირებას. ვერ ვიტყვით, რომ ტიბულუსი თავის ელეგიებში ქება- დიდებას ასხამდეს სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცებს. ერთადერთი არის მესალა, ვის გამარჯვებასაც პოეტი აღტაცებით ხვდება, ვის ტრიუმფებსაც იგი დიდებით ამკობს.

პარკებმა გვამცნეს, რომ ჩვენ ამ დღეს მოვესწრებოდით,
მათ ნართს ხომ ვერა ღმერთი ვერ დაშლის,
გვწამდა, მესალა ძლევდა ომში აკვიტანელებს
და ძირს დასცემდა დამფრთხალ ატიკუსს.
ახდა ოცნება. რომაელნი ახალ ტრიუმფთა
და ტყვე სარდალთა მხილველნი გახდნენ.

გვირგვინოსანო, ეტლს მართავდი, ო, შენ, მესალა,
მოაგელვებდი ქათქათა ცხენებს.
I, 7, 1 – 8

როგორადაც არ უნდა აქებდეს ტიბულუსი მესალას სიმამაცესა და პომპეზურ ტრიუმფებს, პოეტისათვის ომი მაინც საშინელებათა და ბოროტებათა სათავეა. ადამიანებმა თავად დაიტეხეს თავს ეს უბედურება.

ვინ მოიგონა საჭურველი ნეტავ პირველად,
ალბათ ველურმა, შმაგმა, სასტიკმა,
მაშინ შეიცნო ხალხთა მოდგმამ ომი, მკვლელობა,
გზა უმოკლესი ბნელ სიკვდილისკენ.
იქნებ უბედურს ბრალი არც აქვს, მახვილი მოგვცა
მხეცთა და არა კაცთა ულეტისთვის.
I, X, 1 – 6

პოეტი ავითარებს შეხედულებას, რომ ომს იწვევს მხოლოდ სიმდიდრის მოპოვების სურვილი.

რა იწვევს მტრობას? რა და ოქრო. სად იყო ომი,
როს ხის თასები ეწყო ტაბლაზე,
არც ციხე-ბურჯნი, არც სანგრები არ არსებობდა
და უშფოთველად თვლემდა მეცხვარე.
რა საამურად ვიცხოვრებდი იმ სანატრელ დროს,
არ შემაკრთობდა მაშინ ბუკის ხმა.
ახლა კი ომში მიმათრევენ, სადაც მტრის შუბით
ფერდგანგმირული მოვკვდები ალბათ.
I, 10, 7 – 14

ალაფისათვის საჭურველი აისხეს მტრული,
მას მოჰყვა სისხლი და ხოცვა- ჯლეტა.
II, 5, 37 – 38

მაგრამ ომი, ბოროტებათა წყარო, არის ამავე დროს მიზეზი მესალას გმირობისა, რამდენადაც აქ ვლინდება მისი სიმამაცე

და სამხედრო დიდება. ტრიუმფი, რომელსაც აღტაცებით აღწერს პოეტი, რომელსაც ამაყად შესცქერის რომაელი ხალხი, სწორედ მრავალი ქალაქის განადგურების შედეგია.

ქებას მესალას ვუძღვნი ეტლით შემობრძანებულს,
თან რომ მოჰყვება ბრბო უცხოელთა.
"ვაშა ამ ტრიუმფს" – ესალმება მებრძოლი, დაფნით
შუბლშემკობილი დიდ გვირგვინოსანს.
ხალხს გააოცებს ღირსეული ქცევა გმირისა,
შეხვდება მამა შვილს ტაშისცემით.
II, 5, 115 – 120

უფრო თვალნათლივი რომ გახადოს ომის სისასტიკე, I წიგნის X ელეგიაში პოეტი გვიხატავს იდილიურ სურათს მშვიდობიანი ყოფისა, თუ როგორ წარმოუდგენია მას ამქვეყნიური სიამე.

საამო არის ცქერა მოხუცის, შვილიშვილებს
რომ უალერსებს ღარიბულ ქოხში,
ან როს ცხვრის ფარას დაჰფოფინებს, შვილი კი – ბატკნებს,
ან როცა დაღლილს წყალს უთბობს ცოლი.
ასეთ სიბერეს მეც ვინატრებ, თმაშევერცხლილი,
რომ ვიგონებდე გარდასულ დღეთა,
ახლა მშვიდობა სუფევს მინდვრად, ნათელმოსილი
ვინც გლეხს ასწავლა ხვნა ხარ- კამეჩით.
მშვიდობა კვებავს ვაზს, წურავს მტევანს,
მამაპაპურ ქვევრს აავსებს ღვინით,
მშვიდობა ლესავს თოხს და სახნისს, ჟანგს მოუკიდებს
ხმალს, მივიწყებულს სადღაც კუნჭულში.
I, 10, 39 – 51

ამ იდილიის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ II წიგნის I ელეგია, სადაც სოფლის ცხოვრების წარმტაცი სურათია გადმოცემული. ეს არის, პოეტის აზრით, ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერება: შრომა, დასვენება, ოჯახური გარემო.

ფეხით ჭყლეტს მტევნებს ტკბილ ბადაგში ჩაფლული გლეხი,
პირამდე ავსებს კასრებს და ქვევრებს,
და მთვრალი მწყემსი აქებს ზეიმს პალილიისას.
მაშ, გაეცალეთ საძოვრებს, მგლებო!
ნაბახუსევი, ვით წესია, ცეცხლს გააჩაღებს,
რომ წმინდა კოცონს ზედ გადაევლოს.
ხარობს ცოლ-შვილში, ყრმა მამისკენ ალერსით ინევს,
ყურის ბიბილოს წატანებული.
არ მოსწყინდება პაპას დევნა ჩვილ შვილიშვილის,
ბავშვურ ენაზე ტიტინი მასთან.

II, 5, 85 – 94

სრული ბედნიერება ტიბულუსს საყვარელი ქალის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მასთან ერთად სოფლის სიმშვიდეში შრომა და ცხოვრება უმაღლეს ნეტარებად მიიაჩნია პოეტს. იგი ოცნებობს სოფელზე, სადაც დელიასთან ერთად გლეხივით იშრომებს, მიიღებს მეგობრებს, გაუმასპინძლდება მათ საკუთარი ბაღის ნობათით.

სოფელს მივხედავ, ხეხილის ბაღს დელიას ვანდობ,
მზის გულზე კალოს ადევნოს თვალი
და ყურძნის ჭყლეტას საწნახელში ქათქათა ფეხით,
იქიდან მაჭრის გადმოდინებას.
ჯოგის თვლას მალე მიეჩვევა და გაერთობა
მონის ჩვილი ყრმის ტიკტიკ- ალერსით.
ისწავლის, რომელ ღმერთს რა უძღვნას, ვის მტევანი და
ვის თავთავი, თუ სოფლის ნობათი,
ჯოგისთვის, კარგი ნათესის და ჭირნახულისთვის.
დაე, ჩემს სახლში მან იდედოფლოს.
როცა მესალა შინ მეწვევა, ბაღში დაკრეფილ
ვაშლებს დელია მიართმევს სტუმარს,
იზრუნებს თავად მოამზადოს მისთვის სადილი,
მსახურმა სუფრა გაშალოს უხვი.

I, 5, 21 – 34

საოცარი სითბოთი და ლირიზმით სავსე ეს ნაწყვეტები ვერგილიუსის "ბუკოლიკების" განწყობას ეხმიანება. ეს ახალი "ოქროს ხანაა", რომელიც დიდად არ განსხვავდება რომაელი პოეტების მიერ არაერთგზის აღწერილი სატურნუსის "ოქროს საუკუნიდან". ტიბულუსის მიერ გადმოცემულ სოფლის იდილიას შეიძლება მშვიდობის ჰიმნი ვუწოდოთ. სატურნუსის "ოქროს საუკუნე", ტიბულუსის მიხედვით, არის არა სასიამოვნო შრომის პროცესი, არამედ ბუნების მიერ ბოძებული სიკეთით ტკბობა, უზრუნველი ყოფა.

სატურნუსის დროს საამური იყო ცხოვრება,
მიწას არ კვეთდა გრძელი შარაგზა,
ლაჟვარდოვან ზღვას არ სერავდა ფიჭვის ხომალდი,
ქარი იალქნებს არ მიარხევდა,
არც მეზღვაური მიილტვოდა ახალმიწისკენ,
უცხო ნადავლით გემს არ ტვირთავდა,
იმ დროს არც ხარებს ედგათ ქედზე მძიმე უღელი,
აღვირს არ ღეჭდა მორჩილი ცხენი,
ყანას ყანისგან არ მიჯნავდა სამანი ქვების,
არც სახლებს ჰქონდათ კარი შებმული,
ადამიანებს მუხა თვითონ აწვდიდა ტკბილ თაფლს,
და ჯიქანსავსე ცხვარი – მსუყე რძეს.
არ იყო ბრძოლა, რისხვა, ომი, არცა მახვილი
და მჭედლის საქმე, ძნელი, უხეში.

I, 3, 35 – 49

სატურნუსის ხანა არაფერს ავალებდა ადამიანებს. მათ არ უნევდათ გარჯა, რაც მთავარია, ქვეყნად არ იყო ისეთი ბოროტებანი, როგორებიცაა: ომი, ბრძოლა, მტრობა. მაგრამ კარგა ხნის წინ დაკარგეს მოკვდავებმა ღვთით ბოძებული ბედნიერება და შრომა გახდა საჭირო თავის სარჩენად, თუმცა ტიბულუსს მიაჩნია, რომ ამ მძიმე პერიოდშიც შეიძლება მოვიპოვოთ " ოქროს ხანასთან" მიახლოებული ბედნიერება სასიამოვნო შრომის და არა მეომრის საქმიანობის წყალობით. პოეტი ევედრება ოჯახის მფარველ ღვთაებებს, აარიდონ მეომრის ხვედრი. ტი-

ბულუსს, რომელსაც არაერთხელ გამოუჩენია თავი მამაცობით ლაშქრობაში, აღარ სურს ომში მონაწილეობა. მან კარგად შეიცნო მშვიდობის ფასი. პოეტს ურჩევნია გლეხური შრომით ირჩინოს თავი.

მაშ, ამარიდეთ მე, ლარებო, შუბი ბრინჯაოს. . .
გამოვრეკ მსუქან გოჭებს სამსხვერპლოდ,
თეთრად მოსილი და შემკული მირტის გვირგვინით,
მირტისვე წნული კალათით ხელში.
თავს მოვიწონებ ამით. . . ომზე, დე, სხვამ იფიქროს,
სარდალთა ერთურთ შერკინებაზე. . .
დე, თვის გმირობას მიამბობდეს მებრძოლი ლხინში,
ღვინით ხა ზავდეს ბანაკს სუფრაზე.
რა სიგიჟეა, მიეახლო შავ სიკვდილს ომში,
როცა ის თავად გვესხმის უჩუმრად.
I, 10, 25 – 34

პოეტი არ მსჯელობს სამართლიანი და უსამართლო ომის თაობაზე. მისთვის ომია ზოგადად საშინელება. ომი თუ მშვიდობა, მეომრის ხვედრი თუ გლეხის ყოფა. ტიბულუსი შეგნებულად უპირისპირებს ერთმანეთს ამ ორ რეალობას, რომ დაგვარწმუნოს მშვიდობიანი ცხოვრების უპირატესობაში. მაგრამ ხომ არ არის მოსაწყენი მუდმივი მშვიდობა, შრომისა და დასვენების ჰარმონიული მონაცვლეობა? პოეტს არ მიაჩნია, რომ გლეხის ცხოვრება აბსოლუტურად იდეალურია. იგი იუმორით ხატავს ვენუსის ძალით აღტკინებული, ნაბახუსევი გლეხის მოუხეშავ "ალერსს" ნაზ ქალწულთან, რომელსაც როგორც მტერს, ისე "ესხმის" თავს უბირი სოფლელი. ამით ტიბულუსი თითქოს არღვევს სოფლის იდილიის ერთფეროვნებას, რამაც შეიძლება მოადუნოს ადამიანი. სოფლელის მოუქნელობა უფრო ასატანად მიაჩნია პოეტს, ვინაც ააცრემლა თავისი რისხვით და უხეშობით ქალი, ვიდრე – მეომრის მიერ ძალის მუდმივი დემონსტრირება.

ოთხჯერ ნეტარი არის გლეხი, ვინც ააცრემლა
ნაზი გოგონა თავისი რისხვით,

ვიდრე ის, ვინაც გამუდმებით მძლავრობს მახვილით,
შორს გაეცალოს მშვიდ ვენუსს იგი.
ზავო კეთილო, მოგვეახლე თავთავით ხელში,
აქ დაიბერტყე ხილუხვი კალთა.

I, 10, 63 – 68

მებრძოლისა და მიჯნურის შეპირისპირებას, რაც ჩვეულებრივია რომაულ პოეზიაში, სიყვარულის მომღერალი პოეტი ტიბულუსიც მიმართავს. ჯერ კიდევ პლავტუსი იყენებს ამ თემას თავის კომედიებში ("ფსევდოლი") კომიკური სიტუაციის შესაქმნელად. ასევე ხშირად გვხვდება ამგვარი შედარება ოვიდიუსის "ტრფობანშიც", სადაც გამოვლენილია პოეტის ნეგატიური დამოკიდებულება ვეტერანი მეომრის პრივილეგიისადმი.

ძნელი სათქმელია, რომ მიჯნურისა და მებრძოლის შედარება ტიბულუსთან (I, 1, 55, 75) კომიკურ სურათს ქმნიდეს, მაგრამ აშკარად იგრძნობა სურვილი გმირთა დეჰეროიზაციისა. ტიბულუსის ელეგიებს დართული აქვს ერთი მოზრდილი ელეგია, რომელიც უცნობი ავტორის სახელითაა მოღწეული. იგი ეძღვნება მესალას და მისი სამხედრო დიდების ხოტბას წარმოადგენს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ელეგიაში ყურადღება გამახვილებულია მხედართმთავრის თვისებებზე, მესალას, როგორც სარდლის უნარსა და ნიჭიერებაზე.

სამხედრო საქმე შენზე უკეთ არავინ იცის,
ბანაკისათვის შემოვლება დამცავი სანგრის,
ან სად სჯობია მიწაყრილით ჩახერგვა გზისა,
და ხის ტოტებით შესასვლელის დაკეტვა მტრისთვის,
სადაც ანკარა ნაკადული ამოსჩქეფს მიწით,
თქვენთვის საამო, მტრისათვის კი – მიუწვდომელი.
მკლავმოუღლელად რომ იბრძოდეს შენი ლაშქარი,
იცი, ვის უკეთ უჭრის ხმალი, ვინ ისრებს ისვრის,
ვის ემარჯვება ბრძოლა უკეთ მოქნილი შუბით,
ვის შეუძლია აწყვეტილ ცხენს მოსდოს ლაგამი,
თავის ნებაზე მიუშვას და ატაროს ნელა,
ხან აიძულოს, წინ იაროს მწყობრი ნაბიჯით,
ხან თუ ისურვებს, მიაბრუნოს უკანვე სწრაფად,

ვის ძალუძს ფარით თავის დაცვა მარცხნივ თუ მარჯვნივ,
რომელ მხრიდანაც ემუქრება მტრის მძიმე შუბი.
IV, 1, 82 – 96

სარდალი კარგად უნდა იცნობდეს თავის მებრძოლთა უნარს, ჩვევებს, რომ უკეთ გამოიყენოს მათი შესაძლებლობანი. მაგრამ ეს არ არის საკმარისი წარმატებული ლაშქრობისათვის. მხედართმთავარი უნდა ფლობდეს სრულყოფილად სამხედრო ტექნიკას. პოეტი მესალას სწორედ ამ თვისებით გამოარჩევს, რის წყალობითაც მან დიდ გამარჯვებებს მიაღწია. პოეტი თითქოს თავს იმართლებს მკითხველის წინაშე, ფრთხილობს, გადამეტებულ ხოტბად არ მიიჩნიონ ეს ელეგია. მეტი დამაჯერებლობისათვის იგი აღნიშნავს, რომ თავად იყო მოწმე მესალას ბრძოლებისა:

როცა მამაცი მარსის ნებით ატყდება ომი
და ემზადება რაზმი მტერთან შესარკინებლად,
უმალვე განჭვრეტ, როდის და სად დაიწყოს ბრძოლა,
ანდა ოთხკუთხივ განლაგება თუ ღირს ლაშქრისა,
ფალანგებიდან გამოსვლა რომ შეეძლოთ ერთად,
იქნებ შეტევა ხელსაყრელი იყოს ორმხრიდან,
მარჯვენა მარცხნივ შეიჭრას და მარცხენა – მარჯვნივ,
რომ გამარჯვება მოიპოვოს მებრძოლმა ორმხრივ.
IV, 1, 98 – 105

ეს ნაწყვეტი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის რომაული საომარი ხელოვნების შესახებ. კერძოდ კი, თუ როგორი იყო მესალას სამხედრო ხელოვნება და ტაქტიკა. აქ უცნობი ავტორი წყვეტს თხრობას და მკითხველთან მოკლე გასაუბრების შემდეგ კვლავ განაგრძობს მესალას საგმირო საქმეთა შექებას. იგი ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ სახოტბო სტრიქონებს რეალური საფუძველი აქვს.

ნუ დაგაეჭვებთ ჩემი ლექსი ხოტბა – დიდების,
მე დავიმოწმებ ცნობილ ბრძოლებს, დამიდასტურებს

ამას მამაცი იაპიდი და პანონიის
ცბიერი მკვიდრი, ალპების მთებში მობინადრე,
ანდა ლატაკი, არუპინის ველ ზე გა ზრდილი. . .

IV, 1, 106 – 110

ავტორი ჩამოთვლის იმ ქვეყნებს, რომლებიც რომაელებმა დაიმორჩილეს დროთა განმავლობაში. იგი უსურვებს მესალას შემდგომ გამარჯვებებს, ახალ-ახალი ქვეყნების დამორჩილებას, რომ რომის ქვეშევრდომი გახდეს თითქმის მთელი მსოფლიო.

ღმერთის შეწევნით წამოიწყე დიდი საქმენი,
შენი ტრიუმფი არ იქნება მსგავსი სხვებისა,
არ დაგაბრკოლებს მარსი, იგი გ ზას არ შეგიკრავს,
ვერც ესპანეთის, ვერც გალიის ვრცელი მინდვრები
და ვერც ველური მიწა თერელ კოლონისტების.
. . .

IV, 1, 135 – 139

როცა იქ შეხვალ ვით ბრწყინვალე ტრიუმფატორი,
მთელი მსოფლიო გაღიარებს შენ უდიდესად.

IV, 1, 175 – 176

ეს ლექსი მშვენივრად გამოხატავს რომაელთა აგრესიულ ზრახვებს. კარგია, რომ ბევრი ქვეყანა ემორჩილება რომს, მაგრამ უკეთესია, თუ იგი მსოფლიო ბატონობას მოიპოვებს. აქ არ არის დასაბუთება, თუნდაც თვალთმაქცური, რომის ექსპანსიური პოლიტიკისა. რატომ მიიწევენ რომაელები ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად. ამის პასუხს და რეალურ მიზეზს ასეთი ომებისას ვპოულობთ ზოგიერთი რომაელი პოეტის შემოქმედებაში.

პროპერციუსი

ტიბულუსის თანამედროვე ელეგიკოსი პოეტის, პროპერციუსის შემოქმედებისათვის თავდაპირველად უცხო იყო ომში გამოვლენილი გმირობისათვის ხოტბის შესხმა. იგი კარგა ხანს თავს იკავებდა მეცენატის თხოვნის შესრულებაზე, რომელიც მოითხოვდა მისგან ავგუსტუსის იდეოლოგიისათვის მხარდაჭერას, მისი ღვაწლისათვის, მისი გამარჯვებებისათვის ქების შესხმას. პროპერციუსს ვერ წარმოუდგენია თავი მებრძოლად და ვერც – გმირობის მაქებარ პოეტად. მისთვის უცხოა პატრიოტული გრძნობა, შვილების განწირვა სამშობლოსათვის. პროპერციუსი, ისევე როგორც ტიბულუსი, სიყვარულის მებრძოლს უწოდებს თავს.

ვერ შევიფერებ მე გმირობას, ვერცა საჭურველს,
ბედმა მებრძოლი გამხადა ტრფობის.
I, 6, 29 – 30

ტრიუმფისათვის ღირს ვაჟები შევწირო მამულს?
არა, მეომრად არ გავ ზრდი შვილებს.
II, 7, 13 – 14

დროთა განმავლობაში პოეტი მიდის იმ აზრამდე, რომ საჭიროა დაეთანხმოს მეცენატის სურვილს, უმღეროს რომის დიდებას, ავგუსტუსის ლაშქრობებს. ელეგიების II წიგნში პოეტი დაუფარავად გვამცნობს, რომ იგი იცვლის გზას. ამის მიზეზად პოეტი ასაკს ასახელებს. მას აღარ შეჰფერის უმღეროს სიყვარულსა და ქალებს. ყოფილი პაციფისტი ელეგიკოსი ხოტბას ასხამს ავგუსტუსს არა როგორც მებრძოლს, არამედ როგორც ხალხის უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე მზრუნველ მმართველს. [3]

---

[3] M.Albrecht, Properz als augusteische Dichter, Saeculum Augustum II, Darmstadt, 1988, 371

უკვე დრო არის, სხვა სიმღერა ვუძღვნა ჰელიკონს,
რაშს ჰემონიურს დავუთმო ველი,
მსურს მოვიგონო მხედრიონი სწორუპოვარი,
და ქება ვუძღვნა რომაულ ბანაკს
ჩემი სარდლისას. თუ არ მეყოფა ამის ძალა,
სურვილი რომ მაქვს, ესეც კარგია.
ტრფობას ჭაბუკმა უძღვნას ქება, ბრძოლებს – მოხუცმა,
ახლა ომს ვუმღერ, ადრე კი – ქალებს.

II, X, 1 – 8

ავგუსტუსის შექებით პროპერციუსი მხარს უჭერს რომის იმპერიულ ზრახვებს ტერიტორიების ომის გზით შემოერთებისა. პოეტი სიამაყით აღნიშნავს, რომ პართელებთან რომაელთა დამარცხების სამარცხვინო ლაქა ავგუსტუსმა ჩამორეცხა თავის ქვეყანას.

არ შესცინინებს აწ ევფრატი პართელ მხედრიონს
და ტყვედ აყვანას ნანობს კრასუსთა,
ცნობს ავგუსტუსის გამარჯვებებს თვით ინდოეთიც,
ძრწიან არაბნი შეუდრეკელნი,
თუ სადმე არის ქვეყნად მხარე მიყუჩებული,
შენს ძალას მალე ისიც შეიგრძნობს,
გავედევნები მეცშენს ბანაკს, ვუმღერებ ლექსებს,
სახელს მოვიხვეჭ, თუ ბედი მწყალობს. . .

II, X, 13 – 20

პოეტს ახარებს ავგუსტუსის განზრახვა მომავალი ლაშქრობების წამოწყებისა, ახალ- ახალი პროვინციების შემოერთებისა, ახალი გამარჯვებებისა და ტრიუმფებისა. პროპერციუსი მოუწოდებს თანამოქალაქეებს სახელოვან ბრძოლებში მონაწილეობისკენ, რის წყალობითაც რომის იმპერია კიდევ უფრო გაიზრდება, გაძლიერდება, მას დამორჩილდებიან მდიდარი ქვეყნები.

მდიდარ ინდოეთს ავგუსტუსი სალაშქროდ მიდის,
ძვირფასქჯიშიან ზღვას გადაცურავს,

შორი ქვეყანა ურიცხვ ნადავლს, ტრიუმფს უმზადებს,
მის ძალას იგრძნობს ტიგრი, ევფრატიც,
ავზონთა მინას პროვინცია მიემატება,
პართელთ ალმები აქ დაივანებს.
მაშ, გაამზადეთ ხომალდები, ომში ნაცადი,
ფეხმარდ რაშების შეჰყარეთ რაზმი,
მწამს გამარჯვება! კრასუსთ სისხლი გამოისყიდეთ
და განადიდეთ რომის სახელი.

III, 4, 1 – 10

პოეტი მედიდურობით აღწერს მოსალოდნელ გამარჯვებათა და ტრიუმფის სურათს. პროპერციუსი ნატრობს, მალე იხილოს ავგუსტუსის ნადავლით დამშვენებული ეტლი ფორუმზე, მტრის დატყვევებული მხედართმთავრები, ნაალაფარი საჭურველი. პოეტის სიამაყის მიზეზი ძირითადად არის ახალი ქვეყნების დაპყრობა, უცხო ხალხების დამორჩილება და სიმდიდრის მოზიდვა რომში, იმ სიმდიდრისა, რომელიც არაერთგზის გამხდარა პოეტთა განსჯის თემა და საგანი, როცა ისინი წარსულ "ოქროს ხანას", რომის დიდებულ წარსულს, ზნეობრიობასა და უბრალოებას მისტირიან.

მამაო, მარსო, ქალწულ ვესტას წმინდა ტაძარო,
გვედრებთ, შემასწროთ მე ის დღე, როცა
კეისრის ეტლი ჩამიქროლებს, ნადავლით სავსე,
ბრბოს ყიჟინა როს შეაკრთობს ცხენებს,
გადავეხვევი ჩემს საყვარელს და დატყვევებულ
ქალაქთ ჩამოთვლას დავიწყებ რიხით.
დავითვლი ისრებს, დაყრილ შუბებს ოტებულ მტრისა
და ტყვე სარდალთა კუთვნილ საჭურველს.

III, 4, 11 – 18

ამ ელეგიის პათოსის საწინააღმდეგო განწყობილებაა გადმოცემული III წიგნის მე- 13 – ე ელეგიაში, სადაც პოეტი აღიარებს, რომ ოქრომ განდევნა მორალი, კანონი, სირცხვილი. იგი უწინასწარმეტყველებს რომს, რომ მას ეს სიმდიდრე დაღუპავს.

კანონს, სამართალს ოქრო დევნის, ერთგულებასაც
და უტიფრობას ამკვიდრებს ქვეყნად.
III, 13, 50 – 51

და იღუპება მედიდური რომი სიმდიდრით.
III, 13, 60

ავგუსტუსის წარმატებულ ლაშქრობათა მოგონებისას პოეტი არც რომაელ მხედართა დიდებას ივიწყებს და დანანებით მოიგონებს იმ ტკივილს, რაც რომაელების დამარცხებასთან იყო დაკავშირებული, ესეც იმიტომ, რომ მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს ავგუსტუსის გამარჯვებას ანტონიუსსა და კლეოპატრაზე. თუმცა ანტონიუსს არსად არ მოიხსენიებს, კლეოპატრაზე კი მეტონიმიურად საუბრობს. ეს არა მარტო პროპერციუსისათვის არის დამახასიათებელი. ბევრი რომაელი პოეტი გაურბის სამოქალაქო ომის თემას, ანტონიუსის, როგორც რომაელთა მტრის დასახელებას, თუმცა პომპეუსის სახელს პროპერციუსი მოიხსენიებს, იგი დანანებით მოიგონებს პომპეუსის დაღუპვას, რომელმაც სამჯერ მოუტანა გამარჯვების სიხარული რომაელებს. სამოქალაქო ომების თემა მტკივნეულია რომაელთათვის, ამ ომებმა წარჩინებულ რომაელთა მთელი არმია შეიწირა, ერთმანეთს იმეტებდნენ არა მარტო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, არამედ ახლო ნათესავებიც კი. პომპეუსის ისტორიასთან დაკავშირებით პროპერციუსს თითქოს უჭირს კეისრის სახელის მოხსენიება.

მზაკვარმა ცოლმა ქმარს საჩუქრად რომი მოსთხოვა,
ჩვენს ქვეყანაშიც სურდა მეფობა,
ალექსანდრიავ, ცბიერებით სავსე ქვეყანავ,
მემფისო, ჩვენი სისხლით მორწყულო!
აქ პომპეუსი მოკლეს, სამგზის ტრიუმფატორი,
ვერ დაივიწყებ ამ დღეს შენ, რომო!
იქნებ სჯობია, განისვენო შენ ფლეგრის ველზე,
თუ ქედს მიუშვერ სიმამრს მორჩილად.
III, 11, 33 – 40

პროპერციუსი ასაბუთებს ავგუსტუსის ეგვიპტეზე გალაშქრების სამართლიანობას. პოეტი მთელ თავის რისხვასა და სიძულვილს კლეოპატრას წინააღმდეგ მიმართავს, რომელიც რომაელთა მონაპოვრის ხელში ჩაგდებას ლამობდა.

როგორ ბედავდა დედოფალი ცოდვილ კანოპის,
ფილიპეს მოდგმის შავტუხა მრუში,
ძაღლ ანუბისით დაშინებას იუპიტერის
და შეშფოთებას ნილოსით ტიბრის,
რომაულ ბუკის ხმის დაფარვას ჭრიალა სისტრით,
ბარიდით რომის ხომალდთა დევნას,
ან სამარცხვინო ფარდის გაშლას ტარპეის კლდე ზე
და მარიუსის ქანდაკთა შორის
ხალხთ განჩინებას. რა აზრი ჰქონდა გაძევებას
ზვიადად ცნობილ ტარკვინიუსის,
თუ ამ ქალს ვერ ვძლევთ. მაშ, ადღეგრძელე ავგუსტუსი,
შეხვდი ტრიუმფით, რომო, შენს სარდალს.
III, 11, 39 – 50

ჰორაციუსისაგან განსხვავებით, პროპერციუსი არავითარ ფარულ სიმპათიას არ ამჟღავნებს ეგვიპტის დედოფლისადმი, არც რაიმე სინანულს – მისი ტრაგიკული აღსასრულის გამო. პოეტისათვის კლეოპატრა არის მხოლოდ მტერი, იგი იმ ქვეყნის დედოფალია, რომელთანაც დაკავშირებულია რომაელთა სირცხვილი და ტკივილი. ამიტომ პროპერციუსი აღფრთოვანებით ხვდება ავგუსტუსის გამარჯვებას და აქ არ ამახვილებს ყურადღებას არც სამოქალაქო ომის სისასტიკეზე და არც იმ ფაქტზე, რომ პურით მდიდარი ეგვიპტის დამორჩილება რომისათვის ძალზე მიშვნელოვანი იყო. პროპერციუსი არ აღიქვამს ამ ომს, როგორც პირველობისათვის ბრძოლას ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის. ეს არის ომი სამშობლოს ხსნისათვის. კლეოპატრას აღსასრულის შესახებ პოეტი მშრალ ინფორმაციას გვაწვდის:

თუმც მიაშურე სანაპიროს საშიშ ნილოსის,
რომაელთ ბორკილს მაინც ვერ აცდი,
ვნახე გესლიან გველებს მკლავნი ვით გაუწოდა
და შეისრუტა სხეულმა შხამი.

III, 11, 51 – 54

აქციუმის ბრძოლას პროპერციუსი IV წიგნის მე-6-ე ელეგიაშიც უბრუნდება. აქ აქცენტი გადატანილია აპოლონის როლზე ავგუსტუსის გამარჯვებაში. პროპერციუსი პოეტურ ფერებში აღწერს აქციუმის ბრძოლას. იგი საომარ ბატალიებში თავისებურ სილამაზეს აღიქვამს:

ფებუსის ყურე ათამანტის ნაპირს შეჭრილა,
სად იონიის წყალი ბუტბუტებს,
აქციუმია რომის ფლოტის დიდების მოწმე
და საიმედო ნავთსაყუდელი.
აქ შეიყარა ჯარი, ყურე აივსო ფლოტით
და ფრინველებზე იწყეს მისნობა.
აქ დამნაშავე რომაელის გემებიც იდგა,
ქალიც – ისრებით, ვაი, სირცხვილო!
ავგუსტუსის გემს ღმერთთა მამის გემმა ჰშვენოდა,
სხვა საწინდარიც გამარჯვებისა.
ბოლოს ნერევსმა განალაგა ორ რკალად რაზმი
და აისარკნენ წყალზე მახვილნი.

IV, 6, 15 – 26

აქციუმის ბრძოლა, უდავოა, მნიშვნელოვანი იყო რომაელთათვის. უპირველესად, მისით დასრულდა სამოქალაქო ომების სერია, რაც ესოდენ დამთრგუნველი იყო რომის მოქალაქეთათვის. მეორე მხრივ, ავგუსტუსის ამ გამარჯვებამ განამტკიცა რომის პოზიციები აღმოსავლეთში და მესამე – რომმა შეიძინა ახალი პროვინცია "პურის ბეღლად" სახელდებული ეგვიპტისა. თუმცა პროპერციუსი არ საუბრობს იმ შედეგებზე, რაც ამ ომში გამარჯვებამ მოუტანა რომს. პოეტი ვრცლად, დეტალურად აღწერს საომარი მოქმედებისათვის მზადებას. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ წააქეზებს აპოლონი ავგუს-

ტუსს, არწმუნებს მას, რომ გამარჯვების უტყუარი ნიშნები მოასწავებს მის წარმატებას. უნდა აღინიშნოს, რომ ავგუსტუსი, საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკოსი, თუ დარწმუნებული არ იყო გამარჯვებაში, ისე ლაშქრობას არ დაიწყებდა, სწორედ პრინცეპსის ეს ხასიათი აქვს დაჭერილი პოეტს. აპოლონი ასე ამხნევებს ავგუსტუსს:

მიწა შენია, გასწი ზღვისკენ, ვიხსნი მხრებიდან
საჭურველს ჩემსას, შენ გემსახუროს,
გადაარჩინე რომი, ღმერთთა მავედრებელი,
მთხოვნელი შენი ხომალდთა ხსნისა.
IV, 6,, 39 – 42

თავის არგუმენტს აპოლონი მეტი დამაჯერებლობისათვის იმასაც უმატებს, რომ გაუბედაობა ავგუსტუსისა, რომელსაც არ სურს დაუპირისპირდეს ანტონიუსს, ოდესღაც რომაელთა საყვარელ სარდალს, შეაძლებინებს ეგვიპტელებს, სამარცხვინოდ დაამარცხონ რომის უძლიერესი ფლოტი. ამრიგად, პოეტის პოზიცია ასეთია – ეს არის თავდაცვითი ომი, ამდენად ყოველმხრივ გამართლებულია ანტონიუსისა და კლეოპატრას წინააღმდეგ გალაშქრება. ნამდვილმა მხედართმთავარმა ქვეყნის ინტერესების დასაცავად არაფერი არ უნდა დაიშუროს.

თუ არ დაიცავ, რად მიიღეთ ფრინველთ მისნობა
საწინდრად თქვენი გამარჯვებისა?
მაშ, ძლიერება მტრის ვირწმუნოთ ჩვენდა სასირცხვოდ,
შენს სამეფოსკენ მის ფლოტს გზა მივცეთ.
IV, 6, 43 – 46

ამ მცირე საყვედურის შემდეგ აპოლონი კვლავ ბრძოლისკენ მოუწოდებს ავგუსტუსს. ღმერთის სიტყვა მხედართმთავრის რიტორიკულ გამოსვლას გვაგონებს, რომელსაც ლაშქრის გამხნევება სურს.

ნუ შეგაშფოთებს ასხოფიან მტერთა ხომალდნი,
ზურგს არ უმაგრებს მათ ზღვის დინება,
ნუ შეგაშინებს ზღვის კენტავრი, კიჩოზე მჯდომი
და ჭრელაჭრელა, ხატული ნავი.

IV, 6, 47 – 50

სენტენციასავით ეღერს აპოლონის შეგონება, რომ სამართლიანი ომის მიზეზი მებრძოლს აღაფრთოვანებს, ძალას ჰმატებს, უსამართლო ომში მონაწილეობა კი სირცხვილის გრძნობას აღუძრავს.

ომის მიზეზი მებრძოლს ძალას, სიმხნეევეს აძლევს,
ძირს სცემს სირცხვილი უსამართლო ხმალს.

IV, 6, 51 – 52

სწორედ აქ, აქციუმთან გამარჯვებულმა ავგუსტუსმა, ნიშნად მადლიერებისა, ტაძარი აუგო აპოლონს (IV, 6, 67)

პროპერციუსი რომის უძველეს ისტორიასაც იგონებს, სამ უმამაცეს სარდალს, რომლებმაც დიდი გამარჯვებები არგუნეს რომს. ესენი არიან: რომულუსი, რომელმაც დაამარცხა მეფე აკრონტი, კოსუსი, ვინაც ძვ. წ. 428 წ. სძლია ვეიენტების ტომი და კონსული კლავდიუს მარცელუსი, რომელმაც ძვ. წ. 222 წელს გამარჯვება მოიპოვა გალებზე. პროპერციუსის გადმოცემით, რომულუსმა დაუდო საფუძველი რომაელ მებრძოლთა ჩვეულებას – დამარცხებული მტრისათვის საჭურვლის ახსნისა, რათა ის შეეწირათ იუპიტერ ფერეტრუსისათვის (feretrus "მომტანი" – გამარჯვების, იარაღის ან ნადავლის).

შენგან ვისწავლეთ, რომულუსო, ნიშნად დიდების
ძლეულ მტრისათვის საჭურვლის აყრა,
როცა კენინელ აკრონტს მარდად აძგერე შუბი,
ცხენიც, მხედარიც აჰკაფე ერთად.
შიშის ზარს სცემდა რომს ოდესღაც მაღალ კოშკიდან
ღმერთ ჰერკულესის მოდგმა და თესლი.

სცადა წართმევა საჭურველის კვირინუსისთვის,
ამაოდ, თვითონ დაუთმო თვისი.
IV, 10, 5 – 12

"ენეიდაში", როგორც ვნახეთ, რომაელთა წინაპრები, ლატინები იარაღს სწირავენ მსხვერპლად ომის ღმერთს – მარსს (X, 494 – 505, XI, 4 – 15). შემდგომ კი იუპიტერი, რომაელთა უზენაესი ღვთაება, იძენს ომის ღმერთის ფუნქციებს და მას, გამარჯვების ნიშნად ტრიუმფატორები უძღვნიან საუკეთესო ნადავლს, მათ შორის – დამარცხებულთა იარაღს.

რომის ლეგენდარული მეფე – რომულუსი არა მარტო გაბედული მხედარი, არამედ კარგი გუთნისდედაც იყო. პროპერციუსი ამით ხაზს უსვამს რომულუსის ზნეობრიობას, რადგან ძველი რომაული მორალის თანახმად, იდეალურ მოქალაქედ (vir bonus) ის ითვლებოდა, ვინც კარგი მეურნე, მიწათმოქმედი[4] იყო და ვისთვისაც უცხო იყო სიმდიდრისაკენ ლტოლვა.

ემარჯვებოდა ერთნაირად ხვნაც და ჯირითიც,
შვენოდა ლომის მას მუზარადი,
ფარიც ხელთ ეპყრა მრგვალი, არა ოქროთნაფერი,
სამხრედ კი – ხარის უბრალო ტყავი. . .
IV, 10, 19 – 22

შემდეგ პროპერციუსი მოიხსენიებს რომაელების ბრძოლას ვეიის მცხოვრებლებთან, რომლებიც დაამარცხა კონსულმა კოსუსმა. პოეტი აშკარად თანაუგრძნობს დამარცხებულ ვეიელებს.

შემდეგ კოსუსი მოდის, ვინაც სძლია ტოლუმნუსს,
მოუხელთებელ მტერს – ვეიელებს, . . .
ომის ხმა ოდენ ტიბრს წვდებოდა, რომს მორჩილებდა
ჯერ მხოლოდ კარა და ნომენტუმი.
ვეიის მიწავ, შენც ოდესღაც ქვეყანა გერქვა,

---

[4] პლუტარქე, კატონი, 16, 17

და ოქროს ტახტი გედგა ფორუმზე,
ახლა კი მწყემსის სალამური ატკბობს შენს კედლებს,
აქ შთენილ ძვლებზე ბიბინებს ყანა.
მაღალ ციხეზე გადმომდგარი სარდალი შენი
ომში უხმობდა მტერს გამომწვევად.
სანამ უტევდა სპილენძის რქით კედლებს ტარანი,
მას იფარავდა გრძელი ვინეა.
კოსუსმა რიხით მტერს გასძახა: "ბრძოლა ხამს ველზე"
და შეერკინნენ მყისვე ერთმანეთს,
ღმერთების ნებით ტოლუმნუსის სისხლის ნაკადმა
წითლად შეღება რომაელთ რაშნი. . .

IV, 10, 23 – 38

შეიძლება, არც ის არის შემთხვევითი, რომ პროპერციუსი ტოლუმნუსის დამარცხებას ღმერთების ნებას მიაწერს, რითაც ალბათ მიანიშნებს, რომ ვეიელთა მარცხი მათ სისუსტეზე როდი მეტყველებს. უნდა აღინიშნოს პროპერციუსის აშკარა სიმპათიები ეტრუსკებისა და ეტრურიის მხარისადმი. მესამე სარდლის – კონსულ კლავდიუსის სიმამაცეზე პოეტი შედარებით ცოტას საუბრობს. მას უმადლიან რომაელები გალებზე გამარჯვებას.

კლავდიუსმა კი შეაჩერა მტერი რენუსთან
და ბელგიური ფარი წაჰგვარა
ვირდომარს, ვინაც თვლიდა რენუსს თავის წინაპრად,
ეტლიდან შუბის უბადლო მტყორცნელს.

IV, 10, 39 – 42

დიდი ტკივილით იგონებს პოეტი სამოქალაქო ომის ერთ ეპიზოდს, პერუზიის ბრძოლას, რომლის მიზეზი გახდა ანტონიუსის ცოლის – ფულვიასა და ძმის – ლუციუსის დაპირისპირება ოქტავიანუსთან. ფულვიამ და ლუციუსმა ისარგებლეს იმით, რომ ტრიუმვირატის (განსაკუთრებით კი ოქტავიანუსის) ქმედებით, მათ მიერ ჩატარებული პროსკრიპციებით აღშფოთებული იყო იტალიის მოსახლეობა. ამას თან დაერთო ისიც, რომ ოქტავიანუსი იძულებული გახდა, ვეტერან მეომართა მოთხოვ-

ნა დაეკმაყოფილებინა და დაერიგებინა მათთვის ნაკვეთები. ამ მიზნით 16 ქალაქის მიწების კონფისკაცია მოახდინა. ოქტავიანუსისაგან უფლებამოსილი ვეტერანები უხეშად ართმევდნენ მოსახლეობას არა მარტო მიწებს, არამედ ქონებასაც. ფულვიამ და ლუციუსმა (ალბათ ანტონიუსის ფარული მხარდაჭერით) მოახერხეს ხალხის აღელვება. აჯანყებულები რომის ჩრდილოეთით, ეტრუსკთა ქალაქ პერუზიაში გამაგრდნენ. ოქტავიანუსმა ალყა შემოარტყა ქალაქს, სადაც შიმშილობა დაიწყო. ძალაგამოცლილი ხალხი ქუჩაში ეცემოდა, ლუციუსი არავის არ აძლევდა უფლებას ქალაქიდან გასვლისა. მისი ბრძანებით დახოცილებს ერთ ორმოში ჰყრიდნენ, არ წვავდნენ, რომ მტერს კოცონის ალი არ შეენიშნა.[5] ამ ისტორიულ ამბავს ეძღვნება I წიგნის ბოლო, XXII ელეგია, რომელსაც პროპერციუსი სტერეოტიპული შეკითხვის ფორმით იწყებს, მიმართვით მეგობრისადმი. ელეგიკოსები I და ბოლო ელეგიას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. როგორც ჩანს, პროპერციუსისთვის ეს სამწუხარო ისტორია მნიშვნელოვანი იყო.

სულ მეკითხები, მეგობარო, ჩემო ტულიუს,
ჩემს პენატებზე, გვარზე, მოდგმაზე,
თუ შენ გინახავს სამარხები პერუზიისა,
მოწმე დაცემის იტალიისა,
რომაელთ მტრობამ როს იმსხვერპლა მოქალაქენი
(ეტრუსკთა მიწავ, ტკივილო ჩემო,
გულზე დაგაკლეს ნათესავი რამდენი ჩემი,
ვერ მიიბარე დახოცილთ ძვლები),
იქ ახლოს არის ვრცელ ველებზე გადაჭიმული,
ნაყოფიერი ჩემი უმბრია.

I, 22, 1 – 10

პერუზიის მოსახლეობა თითქმის მთლიანად ამოწყდა ამ ბრძოლაში. ოქტავიანუსმა დაიმორჩილა აჯანყებულები, ჯარის დაჟინებული მოთხოვნით წამქეზებლები შეიწყნარა. ამ მოკლე

[5] აპიანე, სამოქალაქო ომი რომში IV, 34.

ელეგიაში ჩააქსოვა პოეტმა სამოქალაქო ომთან დაკავშირებული ერთი ქალაქის ტრაგედია. პოეტი თანაუგრძნობს ბრძოლაში დაღუპულ პერუზიელებს, რომლებსაც საფლავებიც კი ვერ გაუთხარეს. პროპერციუსი არ ასახელებს იმ ისტორიულ პირებს, რომელთა ინტრიგას ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.

სამოქალაქო ომის თემას ეხება ამავე წიგნის 21 -ე ელეგია. ეს 10 კარედიანი ელეგია რეალისტური ფერებით აღწერს ძმათაომის ერთ ამაღელვებელ ეპიზოდს – როგორ გარბის ბრძოლის ველიდან ომის მონაწილე და უნუგეშოდ ტოვებს დაჭრილ თანამებრძოლს.

ჩქარობ, გაექცე საერთო ხვედრს, ეტრუსკთა ველებს
ტოვებ მებრძოლი განაწამები.
თვალს რად მარიდებ, ჩემი კვნესა ნუთუ არ გესმის,
შენი ერთგული თანამოლაშქრის?
წადი, მშობლები გაახარე შენი სიცოცხლით,
ჩემს დას ტირილით ამცნე ამბავი,
კეისრის მახვილს რომ გადვურჩი და მომეწია
გალუსს უცნობი მეომრის ხმალი.
და თუ იპოვის ძვლებს, გაბნეულს ეტრუსკთა მთებში,
იცოდეს, იგი მისი ძმის არის.

I, 21, 1 – 10

ამრიგად, ომის მოძულე პოეტის შემოქმედებაში თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბრძოლო თემატიკაზე შექმნილი ელეგიები. პოეტი უკვე ინტერესს იჩენს ომის, გამარჯვებისა და ტრიუმფებისადმი. თუ ადრინდელი ლექსები პოეტის პაციფისტურ განწყობილებას გამოხატავს და ტრიუმფები სიამოვნებას არ ანიჭებს (II, 7, 13), შემდგომ ნატრობს გამარჯვებული მხედართმთავრის ზეიმით შემოსვლაზე რომში (II, X). თუმცა ტრიუმფატორის საზეიმო სვლა მაინც სევდას უღვიძებს პოეტს. სასოწარკვეთილ ტყვეთა გოდება და ვაება ხომ ამ პროცესიის თანმდევი ატრიბუტია.

ბევრი ტრიუმფი მიმილია უბრწყინვალესი,
ვიყავ კარიბჭე წმინდა ტარპეის,
ჩემს ზღურბლთან რამდენს ჩაუვლია ეტლს ოქროთნაჭედს,
მომსწრე ვარ ტყვეთა ვაების, ცრემლის.
I, 16, 1 – 4

პროპერციუსი ქებას ასხამს ავგუსტუსის იმ ცნობილ ლაშქრობებს, რომლებმაც რომი უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. სწორედ ეს იწვევს პოეტში სიამაყის გრძნობას. მაგრამ იგი მდუმარედ უვლის გვერდს სამოქალაქო ომის დეტალებს, რადგან ეს ომი რომაელ მოქალაქეთა სირცხვილთან და ტანჯვასთან არის დაკავშირებული.

ოვიდიუსი

ტიბულუსისა და პროპერციუსის უმცროსი თანამედროვე, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი თავის ადრინდელ ლექსებში არ იჩენს ინტერესს საბრძოლო თემისადმი. მისთვის უცხოა რომაელთა საგმირო დიდებისა და ავგუსტუსის ტრიუმფებისათვის ხოტბის შესხმა. პოეტი მეომრის საქმიანობას ალმაცერად უყურებს, თუმცა სამშობლოსათვის ბრძოლა, მისი დაცვა მოქალაქის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია. მისი აზრით, ნადავლის მოსაპოვებლად ბრძოლა სამარცხვინო და დასაძრახი საქციელია ("ჰეროიდები" V, 97 – 98). "ტრფობანში", რომელიც ავგუსტუსის რეფორმების საწინააღმდეგო პოემად არის მიჩნეული, იგრძნობა დაუფარავი ანტიპათია ვეტერანი მეომრისადმი, რომელიც ომში მოხვეჭილი ნადავლითა და სიმდიდრით სხვაზე უკეთ ახერხებს ცხოვრებას. მეომრის საქმიანობას ოვიდიუსი ირონიულად მეტრფის ცხოვრებას ადარებს ("ტრფობანი" I, 2, 9; II, 12, 18). ასეთი პარალელები უცხო არ არის რომაულ პოეზიაში. ჯერ კიდევ პლავტუსი ამჟღავნებს ამგვარ დამოკიდებულებას ვეტერანი მეომრისადმი ("ფსევდოლი"). გამდიდრებული მე-

ომარი – გულისტკივილით აღნიშნავს ოვიდიუსი – იოლად ახერხებს ქალის სიყვარულის ყიდვას.

კარი გაულო მხედარს, რომელიც გამდიდრდა გუშინ,
კაცის სისხლს სვამდა იგი, სისხლით იხვეჭდა ნადავლს.
ტრფობანი III, 8, 9 – 10

ბრძოლებში ნაშოვნი ოქრო უპყრია მარცხენა ხელში,
ხოლო მარჯვენა ხელი სისხლიანი აქვს ჯერაც.
ტრფობანი, III, 8, 15 -16

მან სისხლის ფასად შეძლო, რომ მოეხვეჭა დავლა,
იქნება მოგიყვეს კიდეც, რადგან კაცს გამოსჭრა ყელი.
ტრფობანი, III, 8, 20 – 21

ოვიდიუსში რომაელ მხედართმთავართა გამარჯვებები არამცთუ არ იწვევს სიამაყის განცდას, არამედ მას პაროდიულადაც კი წარმოადგენს "ტრფობანში". პოეტს ამური ტრიუმფატორად ესახება, რომელსაც თან მიჰყავს მის მიერ დამონებული ქალწულები და ვაჟები.

უღელი დაადგი ქედნებს, ამაყად იდექი ეტლში,
"ტრიუმფატორი მოდის" – გ ზნებით შესძახებს ხალხი.
ტყვეები შენს უკან ვივლით – ვაჟთა და ქალწულთა გუნდი,
ო, რა ტრიუმფი გელის, რა დიდება და ვაშა!
მეც, შენი ახალი მსხვერპლი, მორჩილად მოგყვები უკან,
ხელშებორკილი, უტყვი, ტრფობის იარით მკერდზე.
ზნეობის ქალღმერთთან ერთად სირცხვილიც თავს დახრის
მორცხვად,
ის, ვინც გებრძოდა ადრე, დღეს ქედს მოიხრის შენს წინ.
სუყველას შეიპყრობს შიში, და გამოგიწვდიან ხელებს,
ხალხი სიმღერით გეტყვის: "იო, დიდება შენდა!"
კუპიდონ,შენს გვერდით ალბათ იქნება სიშმაგეც, ცოდვაც,
ეს მშვენიერი დასი სულ შენს კვალდაკვალ ივლის.
ისეთი ჯარი გყავს, ლამის უძლეველ ღმერთებსაც სძლიო,
მაგათ გარეშე საწყლად იტანტალებდი მარტო.

ოლიმპოს მთიდან კი დედა ყვავილებს დაგაყრის თავ ზე,
და ძლევამოსილ ვაჟკაცს შეეგებება ტაშით,
ლამა ზ ფრთებს შეგიმკობს გემმა, გემმათი მოირთავ თმებსაც,
ოქრო გეცმევა ტანზე, ოქროვან ეტლით იფრენ,
მე გიცნობ, ტრფიალის ცეცხლით შენ გ ზაშიც სუყველას
დაწვავ,
ვინც კი ჩაგივლის გვერდ ზე, გულში დაასობ ისარს.
ტრფობანი I, 2, 25 – 46

ეს მედიდური სანახაობა არის პაროდია გამარჯვებული მხედართმთავრის მიერ მოწყობილი ტრიუმფისა. ტრიუმფატორის ამურთან ასეთი პარალელებით, ცხადია, ოვიდიუსი ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას წარჩინებულ რომაელ მხედართმთავართა (უ. ყ. ავგუსტუსის) მიერ წარმოებული ომებისა და ზოგადად საომარი ხელოვნებისადმი. როგორც პროპერციუსი, მოგვიანებით ოვიდიუსიც ცვლის ამგვარ პოზიციას საომარი თემატიკის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, მის გვიანდელ ნაწარმოებებში ამგვარი ირონიული ტონი საბრძოლო დიდებისადმი, ტრიუმფებისადმი აშკარად ფერმკრთალდება.

პოემა "მეტამორფოზებში" ოვიდიუსს გადმოცემული აქვს საბრძოლო ეპიზოდები (XII, XIII), მაგრამ ისინი ძირითადად მითოლოგიურ სიუჟეტებზეა აგებული. ეს არის კენტავრებისა და ლაპითების ბრძოლა და ტროელთა და აქაველთა ომი. ანტიკური ხელოვნება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კენტავრებისა და ლაპითების ბრძოლისადმი. თესალიაში ლაპითთა მეფის ძის ქორწილში მიწვეული ცხენ-კაცები, უზომოდ გალეშილები აყალ-მაყალს ატეხენ. იმართება უჩვეულო ბრძოლა. საჭურველის ნაცვლად მებრძოლები იყენებენ ხეებსა და ლოდებს. კენტავრთა უზნეობა იქამდეც მიდის, რომ ისინი საკურთხევლის წმინდა ნივთებსაც კი წამოავლებენ ხელს.

ღვინო ჰმატებდა მათ მხნეობას. თავდაპირველად
სტყორცნიდნენ სასმისთ, ნატიფ სურათ, მოქნეულ ლებეტთ -
უწინ ნადიმის, აწ მკვლელობის აღსაჭურველთა.
ოფიონიდე ამიკუსი გაკადნიერდა

წმიდათაწმიდა საკურთხევლის ძღვენის საძარცვად.
სალოცავიდან მოიტაცა მძიმე შანდალი,
რომელსაც მნათი ლამპადები ამკობდნენ, მაღლა
აღმართა, თითქოს სამსხვერპლო ხარს დიდებულ კისერს
კვეთდა სეკირით – შუბლს აძგერა ლაპით კელადონტს. . .
მეტ. XII, 242 – 249

მახლობლად მბოლავ საკურთხეველს უცქერდა გრინევს
საზარი მზერით, თქვა: "ამასაც რად არ ვიყენებთ?"
უზარმაზარი ზე აღმართა საკურთხეველი,
ალმოდებული და ლაპითთა ბრბოს დაანარცხა.
მეტ. XII, 259 – 262

აღარც ლაპითები ჩამორჩებიან კენტავრებს. ისინი აღარ ერიდებიან თავიანთ სალოცავებს. ამით პოეტს იმის თქმა სურს, რომ ბრძოლა, მით უფრო მოულოდნელი, თავგზას უბნევს ადამიანებს, რომელთაც განსჯის დრო აღარა აქვთ. ოვიდიუსი ცდილობს გაამართლოს ლაპითის საქციელი, რომელიც წმინდა ნივთს იყენებს იარაღად.

დაგსჯიდი უმალ, იარაღს რომ ვპოვებდე! ეს თქვა:
ექსადუისმა. ჰპოვა კიდეც, რასაც ეძებდა:
იქ, მაღალ ფიჭვზე საღვთო ძღვენი, რქები ირმისა
ეკიდა, გრინევსს დაეძგერა. . .
მეტ. XII, 265 – 268

ომი არაფერსა და არავის ინდობს. ღმერთთა პატივისცემა, ბომონთა წინაშე მოწიწება, რაც მშვიდობიანი ცხოვრების დროს ადამიანთა აუცილებელი მოვალეობაა, ომის დროს მივიწყებული და უგულვებელყოფილია. ამ უჩვეულო, საშინელ ხოცვა – ულეტას ერთგვარად ანეიტრალებს მოსიყვარულე ცოლ – ქმარ კენტავრების სევდიანი ამბავი, რომელსაც ოვიდიუსი მისთვის ჩვეული ოსტატობით გადმოსცემს (მეტ. XII, 390-429).

კენტავრთა ტრფობა ორმხრივია, ერთად დადიან,
მთადა და მღვიმედ ერთდროულად შეაბიჯებენ.

ლაპითთა ბინად შემოვიდნენ, ერთად ჩაებნენ
ულმობელ ომში, მარცხენა მხრით იელვა შუბმა
(მისი მსროლელი არვინ უწყის), სადაც კისერი
მხრებს უერთდება, ოდნავ ქვემოთ, მოგხვდა კილარუს.
მცირე იარამ გაგიცივა გულიც, სხეულიც.
როს ამოაძრეს შუბი, უმალ შემოეხვია
მომაკვდავ სხეულს ჰილონომე; იარას ხელით
ათბობს და ბაგეს ეწაფება, იღწვის დააშთოს
ლტოლვილი სული, ჭვრეტს, მიმქრალი წარმოთქვამს სიტყვათ,
რას – ვერ აღწევს ჩემს ყურთა სმენას ხმაურის გამო.
დაეგო იგი კილარუსის განგმირავ შუბზე,
შემოეხვია მომაკვდავი თავის მეუღლეს.
მეტ. XII, 415 – 429

ტროის ომის ციკლიდან რამდენიმე ეპიზოდი აქვს დამუშავებული ოვიდიუსს, მაგრამ ვრცლად აქილევსის კიგნუსთან შერკინება აქვს გადმოცემული (მეტ. XII, 64 – 1445). ნეპტუნუსის ძის კიგნუსის დაძლევა გაუჭირდა აქაველთა სნორუპოვარ გმირს, რადგან მტრის სხეულს იარაღი ვერ ვნებდა. დაბნეულ აქილევსს ეჭვიც კი შეეპარა საკუთარ ძალაში. იგი სხვა მებრძოლზე მოსინჯავს თავის იარაღს და როცა დარწმუნდება, სიძაბუნე არ შეჰპარვია, გაშმაგებით ეძგერება კიგნუსს და კლდეს მიანარცხებს. ოვიდიუსთან აქილევსი ისეთივე შეუპოვარი, შმაგი და დაუნდობელია, როგორც ჰომეროსთან.

ისე აღეგ ზნო აქილევსი, ვით მოედანზე
ხარი, რომელიცშემზარავი რქით ეძგერება
პუნიურ ქსოვილს, აღმაგ ზნებელს. გრძნობს, რომ მოქიშპე
დარტყმას იცილებს. შუბს თვალს ავლებს, ბუნიკს მოსინჯავს,
ტარზეა იგი. "ალბათ მკლავნი დამიუძლურდნენ" -
ამბობს, – "რაც ადრე ძალა მქონდა, ერთზე განქარდა?
ძლიერი მქონდა ჭეშმარიტად, როს ლირნე ზუსის
ციხე პირველმა მიწად დაეცა, როს ტენედოსიც,
ეეტიონის თებეც მკვიდრთა სისხლით აღვავსე,
როს კაიკუსი სისხლისღვრისგან გამეწამულდა,
ჩემი ოროლის ძალა ორგ ზის სცნო ტელეფუსმა,

აქაც, ნაპირზე დავახვავე მრავლად მოკლულნი;
. . .
ვაჟკაცს სახეში ჩასცხო ფარი სამგზის თუ ოთხგზის,
მახვილის ტარი დააძგერა საფეთქლის ღრმულთა,
დადევნებული უკუქცეულს თავს ესხმის, ურტყამს,
არ აძლევს შემკრთალს მოსვენებას. შეძრწუნდა კიგნუს. . .
მეტ. XII, 102 – 113, 132 – 135

ბრძოლის სცენები "მეტამორფოზებში" მითოლოგიურ სიუჟეტებს ეყრდნობა. მხოლოდ პოემის დასასრულს საგანგებოდ აღნიშნავს ოვიდიუსი ავგუსტუსის წარმატებულ ლაშქრობებს.

. . . მხოლოდ გვარის მემკვიდრე
გაუძლებს კუთვნილ ტვირთს და მამის მკვლელობისათვის
მხნე შურისმგებელს შევეწევით ჩვენც ბრძოლათა ჟამს!
მის ძლიერებას სცნობს მუტინას ციხე – სიმაგრე.
დამარცხებული ზავს მოითხოვს; მის ძალას იგრძნობს
ფარსალეც; სისხლიც ემათიის ფილიპს წალეკავს,
სიცილიის ზღვით დაინთქმება დიდი სახელი,
რომაელთ სარდლის ეგვიპტელი თანამეცხედრე,
ფუჭ ქორწინების მოიმედე ქვე- დაემხობა;
იგი ამაოდ იქადნიდა; კაპიტოლიუმს
დაიმონებსო კანოპუსი. რად ჩამოვთვალო
უცხო ქვეყნები, ოკეანეს ნაპირთ მცხოვრებნი?
დასახლებული დედამიწა მისი იქნება.
დაემონება პონტოც; ქვეყნად ზავს დაამკვიდრებს!
მეტ. XV, 819 – 832

ოვიდიუსი ავგუსტუსის ყველა მნიშვნელოვან გამარჯვებას ჩამოთვლის, რაც მან თანამოქალაქეებთან ბრძოლაში მოიპოვა: მუტინასთან, ფილიპესთან და აქციუმთან. პოეტი არ თვლის საჭიროდ ფართოდ გაშალოს ეს თემა. იგი მხოლოდ აფიქსირებს იმ ბრძოლებს, რომელთა წყალობით ოქტავიანუსი ხელისუფლების სათავეში მოექცა. ვერგილიუსის, ჰორაციუსისა და პროპერციუსის მსგავსად, ოვიდიუსს ეამაყება რომის სიძლიერე, ავგუსტუსის გამარჯვებები და ეგვიპტის დამონება, მაგრამ უძ-

ნელდება მტერი უწოდოს ანტონიუსს. მას პოეტი ნეიტრალური ფრაზით მოიხსენიებს "რომაელთა სარდალი". ძირითადი დამნაშავე ამ ომში კლეოპატრაა,რომელიც რომაელ სარდლებზე დაქორწინებით ცდილობდა რომზე გაბატონებას.

პოემა "ფასტებში", სადაც რომაული რელიგიური წეს- ჩვეულებებია აღწერილი, ოვიდიუსი თავისებურად განმარტავს იანუსის ტაძრის გახსნისა და დაკეტვის ცერემონიალს. თავად ღმერთი იანუსი უხსნის პოეტს მიზეზს ამ უძველესი წესის არსებობისა.

ბრძოლიდან მოსულ მებრძოლისთვის შემოსასვლელი
რომ ღია იყოს, კარებს ვხსნი ფართოდ,
მშვიდობის დროს კი ვკეტავ, ზავი რომ არ გაგვექცეს.
ფასტები I, 279-281

ოვიდიუსის აღტაცებას იწვევს ავგუსტუსის მიერ აგებული მშვიდობის ტაძარი, რომელიც მან აპოლონს მიუძღვნა აქციუმთან მოპოვებული გამარჯვების გამო.

თმები შეიმკე აპოლონის ფოთლით, მშვიდობავ,
და დაამყარე ქვეყნად სიწყნარე,
თუ არ გვყავს მტერი, ვეღარ ვხედავთ მიზეზს ტრიუმფის.
შენ ხარ მაღალი ჯილდო მებრძოლთა,
ხმალი დააძრო უნდა, როცა ხმალს მოგიქნევენ,
ბუკის ხმით მხოლოდ ზეიმი ვამცნოთ,
ენეადთ შიშით ძრწოდეს უნდა მთელი ქვეყანა,
ხოლო ვინც არ ძრწის, უყვარდეს რომი!
ფასტები I, 711 – 718

ომი თუ მშვიდობა? რომელს ანიჭებს პოეტი უპირატესობას? საჭიროა თუ არა საერთოდ ომი? ცხადია, მშვიდობის ტაძრის შექებით ოვიდიუსი ნათლად გამოხატავს თავის კონცეფციას. ამ ნაწყვეტით თუ ვიმსჯელებთ, რამდენადაც არსებობს მტრის მუქარა, ომი აუცილებელია, მაგრამ ეს არის ომი იძულებითი, თავდაცვითი. პოეტს არ სიამოვნებს ომის მაუწყებელი ბუკის

ხმა, მაგრამ მან იცის, რომ თუ არა ომი, ტრიუმფიც არ იქნება. რომაელს მშვიდობა სჭირდება, რათა მორჩილებაში იყოლიოს გარეშე ქვეყნები, ზოგს უნდა ეშინოდეს მისი, ზოგი კი მისი ერთგული მოკავშირე უნდა იყოს. ასეთია ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკის ძირითადი არსი, რომელსაც, როგორც ვნახეთ, იზიარებენ: ვერგილიუსი, ჰორაციუსი, პროპერციუსი.

ოვიდიუსი, ვერგილიუსის მსგავსად, შენატრის იმ მშვიდობიან ხანას, ოქროს ან სატურნუსის ხანად რომ იწოდებოდა. როგორი იყო იგი? უზრუნველი ცხოვრება, შრომის გარეშე სარჩოს მოპოვება, მუდმივი გაზაფხული.

უპირველესად საუკუნე იქმნა ოქროსი,
უ ზედამდეგოდ, კანონ გარე ზნის შემნახავი,
არც შიში ახლდა, არცა დასჯა. ბრინჯაოს დაფებს
მუქარის სიტყვა არ ეწერათ. განმსჯელი მზერა
ბრბოს მავედრებელს არ აკრთობდა, თნევა სუფევდა.
მთებში მოჭრილი ფიჭვი უცხო ქვეყნების ხილვად
არ ჩასულიყო მოკამკამე ტალღებში ჯერაც;
სხვა არ ეხილათ მოკვდავთ თვისი ნაპირის გარე.
ჯერ ღრმა თხრილები არ მოევლოთ ქალაქთა ირგვლივ.
სწორი საყვირი, მრუდე რქები სპილენძისანი,
მუ ზარადები, მახვილები არ არსებობდა.
უმეომრებოდ, უ ზრუნველად ლევდნენ საწუთროს.
ფოცხშეუხები, სახნისისგან გადაუხნავი
თავისდათავად იძლეოდა ბარაქას მიწა,
კაცნი სა ზრდოთი კმაყოფილნი, თვითმოწეულით
კრებდნენ საკვებად მარწყვის ნაყოფს და ხენდროს მთისას,
კენკრთა ყოველთა, ეკალ- ბარდში ამოსულ მაყვალს,
იუპიტერის ტანმსხვილ ხიდან დაცვენილ რკოებს.
სამუდამჟამო გა ზაფხული სუფევდა ირგვლივ,
ამო ზეფირი ევლებოდა უთესლურ ყვავილთ,
ნაყოფს ისხამდა სწრაფად მიწა, უმარგლო ყანა
სავსე თავთავით ყვითლდებოდა, აქეთ ნექტარის,
იქით რძემდენი მდინარენი მომჩქეფარობდნენ,
ყვითელი თაფლი მოჟონავდა მწვანე მუხიდან.

მეტ. I, 89 – 112

ამ ნაწყვეტში, ვფიქრობ, ერთი ფრაზა არის საყურადღებო – "კაცნი საზრდოთი კმაყოფილნი " (contenti cibis). ეს არის ერთი ნიშანდობლივი თვისება, რაც ოქროს ხანის ადამიანებს გამოარჩევს რკინის საუკუნის თაობისაგან. იუპიტერის გამეფებით დადგა ვერცხლის საუკუნე, როცა უპირველესად შეიცვალა კლიმატი. მუდმივი გაზაფხული შეცვალა წელიწადის ოთხმა დრომ. მოკვდავები იძულებულნი გახდნენ ეზრუნათ თავშესაფრებისათვის, მოეხნათ მიწა. ადამიანებმა ისწავლეს შრომა, სპილენძის საუკუნემ კი მოკვდავებს ხასიათი უცვალა. ისინი გახდნენ კუშტნი და ბრძოლის მოყვარულნი, რკინის საუკუნემ კი განდევნა ყოველივე სიკეთე: სათნოება, სამართლიანობა, პატიოსნება. და რაც მთავარია, ადამიანები გახდნენ გაუმაძღრები, ისინი მოეფინნენ ზღვასა და მიწას, ესეც არ იკმარეს, მიწის სიღრმეში შეაღწიეს და მოიპოვეს რკინა და ოქრო.

განძი მოთხარეს სიავეთა თავიდათავი -
ბოროტი რკინა, მას ზედ უფრო ბოროტი ოქრო,
ორთავეს ხმარობს ამათ გამო ამტყდარი ომი,
სისხლიან ხელით მოჟღარუნე იარაღს არხევს.
ძარცვით ცხოვრობენ; მასპინძელი სტუმარს არ ინდობს,
სიმამრი – სიძეს, ძმებში ძმობა იშვიათია.
ქმარი ცოლისას, ცოლი ქმრისა მოკვლას იზრახავს,
გამაფითრებელ ტილჭირს ურევს დედინაცვალი,
და დროზე ადრე მამის ასაკს მოითვლის ვაჟი.
ღვთისმოსაობა განრთხმულია. ყველა ზე ბოლოს
ქალწულ ასტრეამ მიატოვა სისხლმდენი მიწა.
მეტ. I, 140 – 150

ამრიგად, ყველა სიკეთესთან ერთად რკინის სუკუნეში გაქრა სამართლიანობაც, მისმა ქალღმერთმა, ასტრეამ მიატოვა ცოდვებით დამძიმებული დედამიწა. ჰესიოდემ იმედი მაინც არგუნა ადამიანებს ("სამუშაონი და დღენი"), ოვიდიუსმა კი მხოლოდ ბოროტებები დაუტოვა მოკვდავებს. ოქრო, რომელიც ადამიანებმა დიდი ჟინით მოიპოვეს, არ არის რკინაზე უკეთესი. "ოქ-

როს რომში" მცხოვრები ოვიდიუსი არ თვლის, რომ იგი "ოქროს საუკუნის" ბინადარია. მისთვის ავგუსტუსის "ოქროს ხანა" იმდენად ამართლებს თავის სახელს, რომ რომში მრავალი ოქრო დაგროვდა, ოქროთი ყველაფრის ყიდვა შეიძლება ("ტრფობის ხელოვნება" II, 277). თუმცა ოვიდიუსისათვის ავგუსტუსის "ოქროს ხანა" იმით არის მოსაწონი, რომ ეს არის კულტურის ხანა ("ტრფობის ხელოვნება" III, 128).

ამგვარ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ოვიდიუსი არა მარტო ავგუსტუსის "ოქროს ხანისადმი", არამედ ძველი სატურნუსის დროინდელი " ოქროს საუკუნისადმიც". იყო კი ნანატრი ის ხანა, როცა ადამიანები უზრუნველნი იყვნენ და ოდენ ბალახებით, ხის ფოთლებითა და ნაყოფით საზრდოობდნენ.

პურით კი არა, საზრდოობდა ხალხი ბალახით,
რასაც ყამირი მიწა აძლევდა,
აბიბინებულ კორდზე ლორთქო მწვანილებს კრეფდნენ,
იტკბარუნებდნენ პირს ქორფა ფოთლით,
შემდეგ რკოებსაც დაეწაფნენ სიამოვნებით.
დიდებულ საკვებს აწვდიდა მუხა.
ბოლოს კერესმა უკეთესი უბოძა საზრდო,
ხორბლის მოყვანა ასწავლა მოკვდავთ.
ფასტები IV, 395 – 400

კულტურული საკვების მოპოვებაზე გადასვლა ოვიდიუსს საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად მიაჩნია. კერესის საჩუქარს "საუკეთესო და სასარგებლო საზრდოს" ("meliora alimenta", "utilior cibus") უწოდებს პოეტი. ოვიდიუსისათვის თანამედროვე ეპოქა კულტურის ეპოქაა, რომლის სიკეთით ადამიანებმა ზომიერად უნდა ისარგებლონ. კერესი პოეტს მშვიდობის სიმბოლოდ მიუჩნევია.

უყვარს მშვიდობა კერესს, თქვენაც ადიდეთ იგი,
მარად მშვიდობა სუფევდეს ქვეყნად.
ფასტები IV, 407 – 408

მშვიდობისმოყვარე პოეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის ადრინდელ ნაწარმოებებში დაუფარავი ირონიით საუბრობს სამხედრო ლაშქრობებზე, რომაელ მეომართა წარმატებებზე. ტომისში გადასახლებული პოეტი სრულიად განსხვავებულ პოზიციას ავლენს ამგვარი თემატიკისადმი. იგი უმღერის ტრიუმფს, რომელიც გერმანიკუსმა გადაიხადა და რომელიც პოეტმა თავის წარმოდგენაში გააცოცხლა.

მადლობას გწირავ, ფამავ, გეტებში გადახვეწილს
რომ დამანახე მთელი ტრიუმფი,
შენით შევიტყვე, უამრავი ხალხი შეყრილა,
რათა ეხილათ სარდლები მტრისა.

წერილები პონტოდან II, 1, 19 – 22

გამარჯვებული რა დიდებით ამკობდა ვაჟკაცთ,
აჯილდოვებდა ღირსეულ მებრძოლთ.

წერილები პონტოდან II, 1, 29 – 30

რა აღტაცებით, ტაშისცემით ხვდებოდა ხალხი,
როგორ უფენდნენ ფეხთ წითელ ვარდებს,
ვერცხლში ნაძერწი დაპყრობილი ქალაქთ ზღუდენი,
ზეაღმართული, როგორ მიჰქონდათ
და ბრძოლის მოწმე მთის, მდინარის, ტყეთა ქანდაკნი,
იარაღები, შუბი, მახვილი.
მზის სხივებისგან ლაპლაპებდა ნადავლი ოქროს,
მთელი ფორუმი ქცეულა ოქროდ,
გაგაოცებდათ დატყვევებულ სარდალთ სიმრავლე,
თითქოს შეყრილა მტრის რაზმი ერთად .
ბევრი მათგანი შეიწყნარეს, სიცოცხლე მისცეს,
ისიც კი, ვინაც ომი დაიწყო.

წერილები პონტოდან II, 1, 35 – 46

თუ ამ სურათს პროპერციუსის მიერ დახატულ ტრიუმფს დავუმატებთ, ნათელი წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას, თუ როგორი იყო ეს სანახაობა, რომელსაც რომაელები უდიდესი სია-

მოვნებითა და სიამაყით უცქერდნენ. ეს იყო სიმდიდრის, ძვირფასი ნაალაფარის გამოფენა, გამარჯვებული მხედართმთავრისადმი გამოხატული პატივისცემა და სიყვარული, ეს იყო დამორჩილებული მტრის ნახვით გამოწვეული სიამაყე, რაც რომის სიძლიერისა და მისი დიდების მაუწყებელი იყო.

ეჭვი არ უნდა შევიტანოთ პოეტის გულწრფელობაში, რომ იგი გონებით იმ ბედნიერი წუთების თანამონაწილეა, რასაც რომში მოზეიმე ხალხი განიცდის. ოვიდიუსი შეიძლება მივაკუთვნოთ პაციფისტ პოეტთა რიგებს, რომელიც ხარობს მშვიდობით, მაგრამ არ გამორიცხავს ომის აუცილებლობას, როცა საქმე გარეშე ქვეყნების დამორჩილებას შეეხება, თუმცა პოეტს აღიზიანებს ვეტერანი მებრძოლი, რომელიც მშვიდობიანი ცხოვრების რიტმის დარღვევას ომში მოპოვებული ოქრო – ვერცხლით ცდილობს. ომში მოპოვებულ გამარჯვებას მრავალი სიამე და სიკეთე მოაქვს რომაელთათვის, ამდენად იგი პოეტისათვის მისაღები და გამართლებულია, ცხადია იმ შემთხვევაში, თუ ამ ომით უდიდესი საფრთხე იქნა აცილებული. მაგრამ მაინც, ოვიდიუსი მშვიდობის მოტრფიალე პოეტია, რადგან მას ხალისიანი ცხოვრება მოსწონს, რაც მშვიდობის ნაყოფია.

სენეკა

"ავგუსტუსის მშვიდობა," ოქროს ხანად წოდებული, ბევრ სიკეთეს ჰპირდებოდა რომის საზოგადოებას. იგი იმედის თვალით შეჰყურებდა ახალ რეჟიმს, რომელიც სამოქალაქო ომების დასრულების შემდეგ დამყარდა. ამ ხანის პოეტები თავის მოვალეობად თვლიდნენ, ექოთ ავგუსტუსის პოლიტიკა (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, პროპერციუსი). მოგვიანებით, როცა ეს მშვიდობა მოქალაქეთა თავისუფლებას შეზღუდვით დაემუქრა, პოეტების აღტაცებული მზერა, პრინცეპსისაკენ მიმართული, ერთგვარმა სკეპსისმა, უნდობლობამ შეცვალა. ავგუსტუსის "ოქროს საუკუნე" "ოქრომრავალ რომთან" იქნა გაიგივებული (ოვიდიუსი, "ტრფობის ხელოვნება" II, 277 – 278).

ნერონის ეპოქის პოეტებიც ხშირად იგონებენ სატურნუსის მეფობის ნეტარ ხანას, უპირისპირებენ მას რკინის ეპოქის სისასტიკეს, უსამართლობას, ბოროტებას, რომელშიც მათ უწევდათ ცხოვრება.

ომი და მშვიდობა, უსამართლობა და სამართლიანობა, ბოროტება და სიკეთე – ამდაგვარ დაპირისპირებულ ცნებათა ფონზე არის ასახული ადამიანთა მოდგმის განვითარების ოთხი ეტაპი, ოთხი საუკუნე ცნობილი რომაელი მწერლისა და მოაზროვნის – ლუციუს ანეუს სენეკას შემოქმედებაში. იგი იყო ნერონის ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელი (ძვ. წ. 4 – ახ.წ. 65), ფილოსოფოსი, მორალისტი, მწერალი, დრამატურგი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ფაქტიურად განაგებდა რომის სახელმწიფოს, და ეს იყო ნერონის მმართველობის ყველაზე ბედნიერი ხანა. ეს სასიკეთო თანამშრომლობა პოეტისა და იმპერატორისა ბოლოს მაინც ტრაგიკულად დამთავრდა. სენეკას ბრალად დასდეს პიზონის აჯანყებაში მონაწილეობა, რომელიც იმპერატორის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნერონის ბრძანებით პოეტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. სენეკას შეხედულებანი მორალურ-ფილოსოფიურ საკითხებზე ასახულია არა მარტო მის ფილოსოფიურ ტრაქტატებში, წერილებში, არამედ მის დრამებში. ტრაგედია "ფედრაში" სენეკა საუბრობს სატურნუსის მეფობის ბედნიერ ხანაზე, რომელსაც დანანებით იგონებენ ადამიანები. თუმცა მსგავსი ნეტარებით შეიძლება რკინის უმძიმეს ხანაშიც იცხოვროს მოკვდავმა, თუ ის ქალაქის შფოთიან, მზაკვრობით სავსე ყოფას გაეცლება და სოფლის სიწყნარეს შეაფარებს თავს.

იგი ბატონობს უდარდელი გაშლილ, ვრცელ ველზე,
კრიალა ცის ქვეშ ეხეტება, მახეს დაუგებს
მხოლოდ ნადირთ, მძიმე შრომისგან დაღლილი სხეულს
თოვლიან ილისს მოასვენებს, ან დაივანებს
ნაპირებთან სწრაფი ალფესის. ხანაც მოივლის
ატეხილ ჭალის დაბურულ და წარმტაც ადგილებს,
სადაც ლივლივებს ლერნის ცივი, კამკამა წყალი,

ხანაც გალობას გულისმომკვლელს უსმენს ფრინველთა,
სადაც ტოტები ქარისაგან ნაზად ირხევა
და შრიალებენ ასწლოვანი წიფლის ხეები.
და ხანაც მოსწონს ხეტიალი მდინარის პირას,
ან კორდზე წოლა, სადაც წყაროს ჩუხჩუხებს წყალი,
ან ყვავილთ შორის ნაკადული სადაც ბუტბუტებს,
შიმშილს იოკებს ტყის ნაყოფით, მშვენიერ საზრდოს
აწვდის გულუხვად დახუნძლული მარწყვის ბარდები.
მას არ იზიდავს სიმდიდრე და მეფის დიდება,
ოქროს ფიალით შესვას წყალი, დაე, აზიზმა,
ბევრად სჯობს წყაროს დაწაფება შიშველი პეშვით.
ვინც უსაფრთხოა, მშვიდად სძინავს, თუმცა ფერდები
დაუეჟილი აქვს მაგარ ტახტზე მას კოტრიალით.
არ შფოთავს, არ კრთის, არ იმალება ბნელ კუნჭულში,
არ ეძებს ადგილს მიყრუებულს დასაძინებლად,
ვით უკეთური, არამზადა კარდაკარ არ ძრწის
და თავშესაფარს წამდაუწუმ შიშით არ იცვლის.
სინათლე უყვარს, დღენიადაგ ცისკარს შეჰხარის.
ფედრა, 501 – 525

ამ მონოლოგს წარმოთქვამს ტრაგედიის გმირი იპოლიტე, რომელსაც ფედრას ძიძა ურჩევს ჩაერთოს საერთო მხიარულებაში და დატკბეს სიყვარულით. იპოლიტე ამჯობინებს, განერიდოს იმ მანკიერებებს, რომლებიც ქალაქურ ყოფას მოაქვს. მისთვის სოფლის იდილია არის "ოქროს ხანა", რაც შეიძლება "რკინის საუკუნეში" არსებობდეს. ეს არის სენეკას კონცეფცია, რომელიც ცდილობს როგორმე განერიდოს ნერონის დესპოტურ რეჟიმს. იპოლიტეს მიერ აღწერილი სოფლის სურათი ძირითადად ორ პუნქტში განსხვავდება სატურნუსის ხანისაგან: ადამიანი შრომით ცხოვრობს და იგი ერთადერთ შემთხვევაში მიმართავს ცბიერებას – მხეცების მოსანადირებლად, მათ დასამორჩილებლად. სენეკას, როგორც ფილოსოფოსის, სტოიციზმის მიმდევრის, მზერა მხოლოდ რეტროსპექტული კი არ არის, არამედ იგი ასწავლის ადამიანებს, როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე მანკიერ საუკუნეში. ამის შემდეგ იწყება სატურნუსის ხანის დახასიათება, მაგრამ არა მრავალ სიკეთეთა ჩამოთვლით,

არამედ რკინის საუკუნისათვის ნიშანდობლივი მანკიერებათა გამორიცხვის წესით.

ასე ცხოვრობდა ალბათ კაცთა მოდგმა პირველი,
არ არსებობდა ოქრო, ჟინი მისი ძიების,
საერთო იყო ველ -მინდვრები, დავას არ წყვეტდნენ
ვით მსაჯულნი მოკვდავთა შორის ქვის სამანები,
ზღვას არ აპობდნენ ხომალდები მკვიდრად ნაგები,
არ მიილტვოდნენ მეზღვაურნი უცხო ზღვებისკენ,
ქალაქს არ ერტყა კოშკები და მიწაყრილები
და არც მებრძოლი არ აქნევდა რისხვით საჭურველს,
არც მძიმე ლოდებს არ უშენდნენ დახშულ კარიბჭეს,
მიწას არ ჰყავდა გუთნისდედა მეპატრონედ და
არ იმონებდნენ მას ხარები შენყვილებულნი,
არ აშინებდა ყანას გლეხის უჯიათობა,
მოკვდავს ანვდიდა ის ჭირნახულს, ტყე – თავის ნობათს,
ბუნების ძღვენი იყო მღვიმე – თავშესაფარი.
ფედრა, 527 – 540

იმ მიზეზთა შორის, რომლებმაც გამოიწვია სატურნუსის ეპოქის დაცემა, სენეკა უპირველესად ასახელებს: სიმდიდრისკენ ლტოლვას, სიშმაგეს, რისხვას, ვნებას და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად სასტიკ მკვლელობებს. ეს ის თვისებებია, რომლებიც ნერონის პიროვნებისა და მისი რეჟიმისათვის არის ნიშანდობლივი.

ეს ჰარმონია დაარღვია ოქროს სურვილმა,
სიშმაგემ, რისხვამ და ვნებებმა სულისშემძვრელმა,
ძალაუფლების მოპოვებამ სისხლით, მკვლელობით.
ძლიერმა სუსტი დაიმონა, ძალამ – სიმართლე,
ერთურთს ებრძოდნენ ხელჩართულნი პირველად კაცნი,
შემდეგ კი ქვებით, ხელკეტებით შეიარაღდნენ,
მსუბუქი იყო შუბი, რკინის არ ჰქონდა წვეტი,
არ ატარებდნენ ბასრ მახვილებს, წელზე შემორტყმულს.
და არც მუზარადს ამშვენებდა გრძელი ფაფარი,
მწუხარებამ და წყენამ შექმნა შუბი, მახვილი,

მრავალი ხერხი მოინდომა მარსმა საომრად,
მრავალი სახე სიკვდილისა და დედამიწა
აივსო სისხლით. ზღვას მეწამული მიეცა ფერი,
და ბოროტებამ შეაბიჯა ყველას სახლებში,
უკანონობა დასაშვები ხდება ყოველი,
ძმა მოუღერებს ძმას მახვილს და შვილი კი – მშობელს,
მეუღლის ხელით განგმირული ეცემა ქმარი,
გაშმაგებული, ულვთო დედა თვის ვაჟებს ხოცავს.
ფედრა, 540 – 557

"ოქტავია", რომელიც არ უნდა ეკუთვნოდეს სენეკას, ერთადერთი რომაული ტრაგედიაა, ისტორიულ თემაზე აგებული. მისი მოქმედი გმირები არიან: ნერონი, მისი ცოლი ოქტავია, სენეკა, პოპეა. ტრაგედიის ავტორი ვერ გათავისუფლებულა ნერონის ეპოქის კოშმარებისაგან. ეს ეპოქა, როგორც ტრაგედიის ერთ-ერთი გმირი, სენეკა აცხადებს, ყველაზე საშინელი პერიოდია, ე. ი. უკანასკნელი საფეხური რკინის საუკუნისა, რომლის შემდეგ კვლავ ქაოსი დაისადგურებს, რომელსაც მოსდევს ოქროს საუკუნე. ასეთი იყო ანტიკური წარმოდგენები კოსმოსის განვითარების ციკლური ხასიათის თაობაზე.

თუ ის ბერდება და დაინთქას უნდა ქაოსში,
მაშ, დღე დამდგარა ამ სამყაროს უკანასკნელი,
დასამარდება კაცთა მოდგმა მზაკვრობისათვის,
ცის ნანგრევებში, რათა კვლავ აღდგეს უკეთესი
მოკვდავთ თაობა, მსგავსი ოდესღაც არსებულის,
ცის მეუფება როცა ეპყრა სატურნუსს ხელში.
ოქტავია, 393 – 398

ოქროს საუკუნის შემდეგ თანდათანობით უარესდება ყოველი მომდევნო ხანა. სატურნუსის ხანის ძირითადი მახასიათებლებია: სამართალი, ერთგულება და მშვიდობა.

მაშინ ქვეყნის ბედს განაგებდნენ ღმერთნი – ქალწულნი,
სამართალი და ერთგულება. ომი რა იყო,
არ იცოდნენ, და არც მრისხანე ხმა საყვირისა.

არ ერტყა ქალაქს ირგვლივ ზღუდე, არც კაცთ – მახვილი,
მგ ზავრს არ ელოდა საფრთხე არსით მოულოდნელი,
საერთო იყო ყველაფერი, ვისაც რა სურდა,
სა ზრდოს აწვდიდა მოკვდავთ მიწა ბარაქიანი,
ვითარ მშობელი ბედნიერი – უმანკო შვილებს,
შემდეგი მოდგმა ნაკლებ მშვიდი იყო პირველ ზე,
მაძიებელი სულის, თუმცა ალალი გულის.
ოქტავია, 400 – 411

რა შეიცვალა ოქროს საუკუნის შემდეგ, არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ მესამე საუკუნე აღმოჩნდა გარდამტეხი. უპირველესი ცოდვა, რამაც სხვა მანკიერებებს დაუდო სათავე, არის ცნობის წადილი, ახლის შეცნობის სურვილი (novas ad artes extitit). ეს არის სიახლე, რაც სხვა ავტორებთან არ არის დადასტურებული. ეს გვაგონებს ადამისა და ევას ცოდვას, რომელთაც აკრძალული ხილის შეცნობით ღვთის რისხვა და სასჯელი დაიმსახურეს. ამ შემეცნებითი ბუნების წყალობით ადამიანებს დაეუფლათ სიხარბე, მათ იწყეს დედაბუნების შენუხება.

არ ასვენებდნენ და დევნიდნენ მძვინვარე მხეცებს,
თევ ზებს იჭერდნენ მდინარეში მსუბუქ ანკესით,
ან მძიმე ბადით ნადავლს წყლიდან ე ზიდებოდნენ,
მახეს უგებდნენ ჩიტებს, ულელს ადგამდნენ ხარებს,
იმორჩილებდნენ ძალით, გუთნით ჩიჩქნიდნენ ყამირს,
გულდაღარულმა გადამალა მიწამ სიმდიდრე,
ღრმად ჩაფლა იგი, სულ ამაოდ, ახალმა მოდგმამ,
წინა ზე ბევრად უარესმა, მიწის წიაღშიც შეაღწია,
მიაგნო ოქროს, რკინის მადანი ამოზიდა,
მყის გამოჭედა იარაღი მან სასიკვდილო,
იწყეს სა ზღვრების დადება და დანაწილება,
წამოიმართა ქალაქები ახალ – ახალი,
ხელი მოავლეს შუბს და მახვილს, იცავდნენ სახლებს,
ან მტერს უტევდნენ რისხვით ნადავლს დახარბებულნი,
. . .
ომის წადილი იზრდებოდა, ოქროს წყურვილი
და ბოროტება უდიდესი დამკვიდრდა ქვეყნად,

ძლიერდებოდა შემპარავი სენი და ჭირი -
განცხრომის ჟინი, ფუფუნება იკრებდა ძალას.
უკეთურება, უზნეობა დაგროვდა ქვეყნად.
ჩვენც დაგვამძიმა მანკიერმა ამ საუკუნემ.
ოქტავია, 409 – 422; 426 – 431

"ოქტავიაში" მკვეთრი ფერებით არის დახატული სამოქალაქო ომების პერიოდები. ნერონის ეპოქის პოეტის ცნობიერება დამძიმებულია იმ სისასტიკითა და საშინელებებით, რაც სამოქალაქო ომებმა და ნერონის დესპოტურმა რეჟიმმა მოიტანა, ნერონი, რომელმაც ბევრი თავისი თანამედროვე, მათ შორის პოეტები (სენეკა, ლუკანუსი, პეტრონიუსი) სიცოცხლეს გამოასალმა, არც თავისი ცოლი – ოქტავია დაინდო. ტრაგედიაში ნერონი თავისი ქმედების გამართლებას სხვა პოლიტიკოსთა მაგალითის მოშველიებით ცდილობს, რომელთა რეჟიმს მრავალი მოქალაქე შეეწირა.

განა ბრუტუსმა სასიკვდილოდ არ გაიმეტა
მასზე მზრუნველი კეისარი, მისი მოკეთე?
გამარჯვებული სარდალი და ხალხთა მძლეველი,
იუპიტერის დარად მრავალპატივდებული,
მოქალაქეთა უღვთო ხელმა იმსხვერპლა იგი.
რამდენი სისხლი და მკვლელობა იხილა რომმა,
გაწამებულმა. ან ავგუსტუსმა ღვთაებრივმა,
ცად ვინც აღზევდა ღირსეული თავის სიქველით,
არ მოუსწრაფა ბევრ რომაელს, ცნობილს, სიცოცხლე?
არ დაუნდვია არც ჭაბუკი, არცა – მოხუცი.
ტრიუმვირებმა ოტებულნიც არ შეიბრალეს
მდევართა ხელით გამოსჭრეს ყელი.
ფორუმთან ახლოს გამოფენილ დახოცილთ თავებს,
ხომ შესცქეროდნენ დანანებით სენატორები,
გულში იკლავდნენ ჩუმად ბოღმას, როცა ხედავდნენ,
როგორ სდიოდა გახრწნილ სახეს სისხლის წვეთები.
ამით დამთავრდა განა ულეტა დაუნდობელი?
დიდხანს აფრთხობდა ფრინველებს და მძვინვარე მხეცებს
ფილიპეს ბრძოლა. რამდენი გემი ჩაიძირა

სიკულის ზღვაში და რამდენი – გვამი მებრძოლთა.
სარდალთ ქიშპობამ შეარყია სამყარო ძალით.
დამარცხებული ნილოსისკენ ილტვის ხომალდით,
რათა იქ შეხვდეს განწირული სიკვდილს თავისას.
ეგვიპტის მიწამ ისევ შესვა რომაელთ სისხლი
და იქ დაღუპულ სარდალთ ჩრდილებს გადაეფარა,
იქ დასამარდა ძმათამკვლელი ხანგრძლივი ომი,
გამარჯვებულმა მოასვენა ხმალი ქარქაშში,
სისხლით მოთხვრილი. იმპერია განმტკიცდა შიშით,
არმიის ძალას, ერთგულებას ენდო ავგუსტუსს,
ცად აღა ზევა ვაჟმა მამა თავის სიქველით,
სიკვდილის შემდეგ მას მიაგო პატივი ტაძრად.
ოქტავია, 500 – 531

ამ ვრცელ მონოლოგში გადმოცემულია უკანასკნელი ხანების სამოქალაქო ომების ისტორია: კეისრის მკვლელობის შემდეგ დაპირისპირება ე. წ. "განმათავისუფლებლებსა" და კეისრის მომხრეთა შორის, ტრიუმვირატთა მიერ მოწყობილი პროსკრიპციები, ანტონიუსისა და ავგუსტუსის ბრძოლა. ობიექტურად არის შეფასებული პოლიტიკურ მოღვაწეთა ქმედება, არც მათი ღირსებაა დაჩრდილული და არც მათი სისასტიკეა მიჩქმალული.

სენეკა თავის პოეტურ შემოქმედებაში ომის პრობლემას მხოლოდ რომაელთა სამოქალაქო ბრძოლების ფონზე განიხილავს, მშვიდობის თემას კი სატურნუსის მეფობის "ოქროს ხანას" უკავშირებს, ან ბუკოლიკურ იდილიას, რაც პოეტს საიმედო თავშესაფრად ესახება მანკიერებით დამძიმებული ყოფისაგან გასარიდებლად.

ლუკანუსი

როგორც ვნახეთ, ავგუსტუსის ხანის პოეტები თავს არიდებდნენ სამოქალაქო ომის თემას. პრინცეპსის მეხოტბენი თავის მოვალეობად მიიჩნევდნენ, ედიდებინათ ავგუსტუსის საქმენი, მისი ღვაწლი რომის ძლიერი სახელმწიფოს შექმნაში. მათ არც მოეთხოვებოდათ ყურადღების გამახვილება ძმათამჟლეტელი ომის საშინელებებზე.ნერონის ეპოქის პოეტი ლუკანუსი კი სწორედ ამ თემით დაინტერესდა.მან თავისი პოემა "ფარსალია ანუ სამოქალაქო ომის შესახებ" კეისრისა და პომპეუსის ბრძოლას უძღვნა, რომელიც გაიმართა ძვ. წ. 48 წ. ფარსალოსთან. "ფარსალია" არის ახალი ტიპის პოემა, გალექსილი ისტორია, რომელშიც, ტრადიციული ეპოსისგან განსხვავებით, არ მონაწილეობენ ოლიმპიელი ღმერთები. ლუკანუსი თავის პოემაში ილაშქრებს ტირანიის წინააღმდეგ. თუმცა I წიგნში ქათინაურებით მოიხსენიებს იმპერატორ ნერონს, IV წიგნში აშკარად უპირისპირდება მას. პოეტის ეს განწყობა იმპერატორის მიმართ ოპოზიციაში გადაიზარდა. მან მონაწილეობა მიიღო ნერონის საწინააღმდეგო აჯანყებაში. იმპერატორმა ნება დართო პოეტს, თავად აერჩია თვითმკვლელობის ფორმა. ლუკანუსმა ვენები გადაიხსნა და ასე გამოეთხოვა სიცოცხლეს.

ტირანიის მოძულე ლუკანუსი "ფარსალიაში" აიდიალებს რომის რესპუბლიკას, როცა სახელმწიფოში ყვაოდა ზნეობა, მორალი, კანონები, თუმცა ვერც იმას უარყოფს, რომ ეს ფასეულობანი ამავე პერიოდში წარმოქმნილმა სამოქალაქო ომებმა შეიწირა. ასეთია ლუკანუსის კონცეფცია, რომელიც პოემის დასაწყისშივე ნათლად არის გაცხადებული.

ემითიურის ვუმღერ ბრძოლებს, ომს ძმათამჟლეტელს,
როცა იმძლავრა სამართალზე, ხალხებზე მტრობამ.
ფარსალია, I, 1 – 2

სამოქალაქო ომში გამარჯვება უფრო სამარცხვინოა, ვიდრე დამარცხება. ამ პათოსით არის გამსჭვალული მთელი პოემა. ლუკანუსი დეტალურად აღწერს კეისრისა და პომპეუსის ბრძო-

ლას. იგი იმთავითვე გამოხატავს თავის პოზიციას ამ ომისა და მასში მონაწილე პოლიტიკოსების მიმართ. ეს ის ომია, რომლის გამართლებას არ აპირებს პოეტი. პოემის ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ ტყუილუბრალოდ იღვრება რომაელ მოქალაქეთა სისხლი. იგი ამ ომს დანაშაულებრივს – bellum nefandum -ს უწოდებს (I, 21). ლუკანუსი იგონებს რომაელთა პირველ ცოდვას – რემულუსის მიერ რემუსის მოკვლას, პირველ ძმათაშორის ომს, რომელსაც ის გამართლება მაინც ჰქონდა, რომ ომის მიზეზი მცირემიწიანობა იყოო – შენიშნავს პოეტი (I, 97 – 98).

ლუკანუსი სვამს კითხვას – თუ რა არის მიზეზი ომებისა, რის გამო ხდება ბრძოლები. როგორც სხვა რომაელი პოეტები მიუთითებენ, იგიც ომის ერთ- ერთ საფუძვლად სიმდიდრის დაგროვებას მიიჩნევს.

უზომო განძი მოუტანა ომმა მსოფლიოს
და წარმატებას გზა დაუთმო კეთილდღეობამ.
ფარსალია, I, 160 – 161

ძირითადი მიზეზი კი, პოეტის აზრით, ღმერთებიდან მოდის. ლუკანუსი წუხს, რომ უზენაესი ღვთაება არ იწყალებს ადამიანებს და თავს ახვევს მათ ისეთ ბოროტებას, როგორიც ომია:

აი, გაცხადდა ღმერთთა რისხვა, იფეთქა ომმა,
ძველი წესები მოიშალა და კანონები,
შიშისმომგვრელი ქვეყანაზე დამკვიდრდა შფოთი,
უკანონობა გაბატონდა დედამიწაზე.
ფარსალია, II, 1 – 4

კეისრისა და პომპეუსის დაპირისპირება გამოიწვია პირველობის სურვილმა. მართალია, ლუკანუსის სიმპათია პომპეუსის მხარეს არის, მაგრამ იგი ორივე ცნობილ სარდალს ადანაშაულებს ამ ომის წამოწყებაში.

შიშობ, პომპეუს, რომ ახალმა გამარჯვებებმა
დიდება შენი არ დაჩრდილოს, გალებთან ომმა

არ დააჭკნოს პირატთმძლეველის გვირგვინი დაფნის.
ომში ნაცადი არ სჯერდები მეორე ადგილს,
არც კეისარი პომპეუსთან თმობს პირველობას.

ფარსალია, I, 121 – 124

ომი არის წყარო სიმდიდრისა, ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალება, სათავე უზნეობისა და ბოროტებისა.

ძველი ადათი დაემონა კეთილდღეობას,
მდიდრული ყოფა დაკანონდა ნადავლით, ძარცვით.

ფარსალია, I, 161 – 162

აღარსად არის ხალხი, ვისაც სძულდა ომები,
მშვიდობა ვისაც მოსწონდა და თავისუფლება.
ახლა სიშმაგის დრო დამდგარა, უკანონობის,
მახვილით ხელში თუ სამშობლოს დაეპატრონე,
დიდ ვაჟკაცობად ჩაგითვლიან, კანონს, სამართალს
და ხალხის ნებას ძალადობა განაგებს მხოლოდ.
. . .
მრავალ სარგებელს მოელიან ბრძოლებში ბევრნი.

ფარსალია, I, 171 – 176, 182

"ფარსალიაში" ბევრია პათეტიზმითა და დეკლამაციებით სავსე ადგილები. პოეტი თავის გმირებს გრძელ მონოლოგებს წარმოათქმევინებს, სადაც ზოგჯერ ავტორის კონცეფციაა გამჟღავნებული. ლუკანუსი არ ერიდება თავისი შეხედულებების მკითხველისათვის გაზიარებას, ხშირად მსჯელობს, კამათობს მასთან. როგორც კვინტილიანუსი აღნიშნავს, იგი უფრო ორატორია, ვიდრე პოეტი.[6] საყურადღებოა ლუკანუსის თვალსაზრისი სამოქალაქო ომის თაობაზე.

პოეტი დაუფარავად ამხელს უდიდესი პოლიტიკოსის, დიდი მხედართმთავრის, იულიუს კეისრის ტირანულ ბუნებას. ლუკანუსის გადმოცემით, კეისარი არაფერს არ ერიდება გამარჯვე-

---

[6] კვინტი ლიანუსი, რიტორიკული დარიგებანი IX, 1, 90.

ბის მისაღწევად. იგი ყოველნაირად ეცადა არ შემდგარიყო ზავი და განახლებულიყო ბრძოლა პომპეუსთან (III, 51 – 54)

ლუკანუსი ზუსტად მიჰყვება ლივიუსის "ისტორიას", თუმცა როგორც მწერალი, თავისებურად ალაგებს დოკუმენტურ მასალას, ზოგს ამოკლებს, ზოგსაც განავრცობს,. "ფარსალია" არის პოეტურად მოთხრობილი რომის ისტორიის გარკვეული მონაკვეთი. ლუკანუსი დრამატული ფერებით ასახავს იმ საშინელებასა და სისასტიკეს, რაც სამოქალაქო ომისთვისაა დამახასიათებელი. პოემის IV წიგნში პოეტი აღწერს ასეთ სურათს: მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირდაპირ ისე განლაგდებიან, რომ ერთმანეთის სახეების გარჩევა შეუძლიათ. თითქოს ახლა-ღა აეხილათ თვალები მებრძოლებს. ისინი ხედავენ, რომ ებრძვიან საკუთარ მამებს, ძმებს, ნათესავებს, მეგობრებს. სწორედ ეს გახდება მიზეზი ბრძოლის შეწყვეტისა. ლუკანუსი იმ ფსიქოლოგიურ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ნებისმიერ სამოქალაქო ომში შეიძლება დადგეს.

დასცეს ბანაკნი, შემოსა ზღვრეს მიწაყრილებით,
მცირე მანძილი აშორებდა მტრებს ერთმანეთთან,
თვალს არ უჭირდა სახეების გარჩევა მათი.
ცოტა ხნის შემდეგ იქით მხარეს ძმამ ძმა დალანდა,
მამამ – ვაჟები, შვილებმა კი მამა შეიცნეს.
ხმის ამოღება ვერ გაბედეს და საუბრობდნენ
მხოლოდ მუნჯურად, სალმის ნიშნად კი ხმლებს აქნევდნენ,
უცებ იმძლავრა სიყვარულმა, გადააბიჯეს
სამანს, კანონებს . . . და ჩაეკრა მებრძოლი მებრძოლს,
ნათესავს ეძებს ერთი, ნაცნობს უხმობს მეორე,
აგერ ბავშვობას იგონებენ თანატოლები,
ყველა ყველას ცნობს, თუკი არის ის რომაელი,
ცრემლებს აფრქვევენ იარაღზე, კოცნიან ოხვრით,
ჯერ არ დაღვრილა სისხლი მოძმის, ეს ანუგეშებთ . . .
ფარსალია, IV, 168 – 181

ეს ამაღელვებელი სცენა პოეტს იმის დასტურად მოჰყავს, რომ ხალხის ნებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული ომის ბედი.

სამოქალაქო ომის დაწყებას, მსვლელობას, დასასრულს ხალხის სურვილი იშვიათად განსაზღვრავს. არც ამგვარ სცენებს შეუძლია ომის კეთილად დასრულება, რასაც ზავი და მშვიდობა ჰქვია.

მებრძოლებს არა აქვთ ნათლად გათვითცნობიერებული, რა არის სამოქალაქო ომი, რისთვის იბრძვიან ისინი და როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას. ამაზე სერიოზულ ფიქრს იწყებენ მაშინ, როცა ხვდებიან მოწინააღმდეგის ბანაკში თავიანთ ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს. რატომ უნდა იბრძოლოს მამამ შვილის წინააღმდეგ, რატომ იღებს მახვილს ძმა ღვიძლი ძმის წინააღმდეგ, რატომ უპირისპირდება მეგობარი მეგობარს. გონსმოსული მებრძოლები შეწყვეტენ ბრძოლას და კოცონს შემოუსხდებიან.

ზავი დამყარდა, მეომრები ორივე მხრიდან
შეიყარნენ და ზედ კორდებზე გაშალეს სუფრა
მეგობრული, ღმერთი ბაკქუსი ადიდეს ღვინით,
ააგიზგიზეს კოცონი და სევდიანებმა
ომის ამბებით შეიქციეს თავი გრძელ ღამით,
მოიგონებენ, სად დაიწყო პირველი ბრძოლა,
ანდა საიდან გაიტყორცნა პირველი შუბი.
უკვირთ, რა სურდათ, რას ელოდნენ ამ ომისაგან.
საბრალოთ რწმენა დაუბრუნდათ და სიყვარული . . .

ფარსალია, IV, 196 – 204

ეს მოულოდნელი ცვლილება, ომის მშვიდობიანად დასრულების სურვილი ხალხის ნების გამოხატულება იყო. ეს იყო გონიერების გამარჯვება უგუნურებაზე. მაგრამ ომის ბედს იშვიათად წყვეტს ხალხი. ომს თავისი კანონები აქვს. მეომრებს ბრძოლა ევალებათ და არა განსჯა. მათ ნაცვლად მხედართმთავარი ფიქრობს. როცა პომპეუსის სარდალმა, პეტრეუსმა შეიტყო მებრძოლთა დაზავების ამბავი, შეშინებულმა დაიწყო თავისი ლაშქრის "გამოფხიზლება" ამ იდილიიდან. "ნუთუ მოითმენთ მეფეს? მონობას? ამდენი ბრძოლა რატომ დაითმინეთ, თუკი

ზავით შეიძლებოდა თავისუფლების მოპოვება?" – მიმართავს ის ჯარს.

იხეთქა მტრობამ სიყვარულში ... როცა შეიტყო
პეტრეუსმა, შეჰკრესო ზავი, ნახა რომ იგი
გაიმეტეს, ბანაკიც მისი, თანამოლაშქრეთ
წყეულ ომისკენ მოუწოდა, უიარაღო
მტერი აოტა, ხმლით გათიშა და ზავებულნი,
დაასამარა მშვიდობა და ჩაახშო სისხლში.
ფარსალია, IV, 205 – 210

მაგრამ მხოლოდ ბრძანებითა და იარაღით ძნელია სიტუაციის განმუხტვა, ამან შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს ვითარება. კარგი სარდალი ნიჭიერი ორატორიც უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს მებრძოლთა დარწმუნება, მათი შემობრუნება. ლუკანუსი კარგად იცნობს ლაშქრის ფსიქოლოგიას, თუ როგორ შეუძლია სარდალს ჯარის განწყობის შეცვლა. მეომრები, რომლებიც ცოტა ხნის წინ სიყვარულით ეხვეოდნენ თავიანთ ახლობლებს, პეტრეუსის სიტყვის შემდეგ კვლავ ბრძოლის ჟინით აენთნენ. პოეტი მათ ადარებს მოთვინიერებულ მხეცებს, რომლებიც სისხლის დანახვაზე თავიანთ ველურ ბუნებას ამჟღავნებენ.

ვით გალიაში მომწყვდეული ტყის ბინადარი
თვინიერ ხდება, უწყნარდება მრისხანე მზერა,
და არას ერჩის ადამიანს, მაგრამ თუ სისხლის
წვეთს იგემებს, სიშმაგე მყისვე დაუბრუნდება,
ღრიალს გამოსცემს მისი ხახა გავეშებული,
მწვრთნელიც გაურბის და ზაფრული მის მძვინვარებას. . .
ასე იფეთქა ბოროტებამ, ღმერთთა სურვილით
მოვლენილი ბედნიერება, ღამის მშვიდობა
გააქრო ფიცმა ერთგულების. იქვე სუფრასთან
ეცნენ მეგობრებს, სასიკვდილოდ გასწირეს ძმები,
თუმცა პირველად დანანებით უყრიან მახვილს ,
უჭირთ მარჯვენა რომ აღმართონ მოძმე ზე სამტროდ,
მაგრამ სიშმაგე ემატებათ და სიძულვილი
მოყვასის მიმართ, ბრძოლის ჟინით გახელებული

ბრბო დაუნდობლად ყელში წვდება საკუთარ მშობელს,
თითქოს არ უნდათ, რომ დაფარონ თვისი მზაკვრობა,
თავს იწონებენ სარდლის თვალწინ ამ ბოროტებით.
ფარსალია, IV, 237 – 253

ასე მყისიერ შეიძლება შეიცვალოს წუთიერი სიმშვიდე ომის სისასტიკით. სარდალს არა მარტო მამაცური ბრძოლა ევალება, იგი მხოლოდ სამხედრო ხელოვნებაში კი არ უნდა იყოს განსწავლული, არამედ უნდა შეეძლოს ლაშქრის მართვა.

ლუკანუსი, რომელიც აიდიალებდა რეპუბლიკურ წყობას, სენატის მმართველობას, "ფარსალიაში" კეისრის დესპოტიზმის წინააღმდნეგ გამოდის, რომელიც თავის გადაწყვეტილებებს ახვევდა თავს სენატს, არად აგდებდა სახალხო კრებას, სენატი ლუკანუსისათვის არის თავისუფლების სიმბოლო, კეისარი კი – სამეფო ძალაუფლებისა. "ყველაფერს წყვეტდა კეისარი ერთპიროვნულად" (-III, 108) აღნიშნავს პოეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკანუსი აშკარად თანაუგრძნობს სენატსა და პომპეუსს, ვერ მალავს მათ სიმხდალეს. კეისრის გადაწყვეტილებამ – ჯარით შესულიყო იტალიაში, დააფრთხო წარჩინებულნი, რომლებმაც მიატოვეს ქალაქი და ბედის ანაბარა დატოვეს მოსახლეობა. ეს ისტორიული ფაქტი რეალისტურად აქვს გადმოცემული პოეტს.

როს კეისარმა მოუყარა თავი დიდ ძალებს,
მთელს იტალიას მიაყენა ურიცხვი ჯარი,
მოლაშქრეებით გაამაგრა ქალაქის ბჭენი,
სწრაფად გავრცელდა ხალხში ჭორი, ტყუილ – მართალი,
რა აღარ ითქვა, ზოგი ცრუ და ზოგიც ნამდვილი,
რომ მევანიის ცნობილ ხართა საძოვრებს თითქოს
უკვე უტევენ მეომრები. ირწმუნებიან,
ვითომდაც ბრძოლა სისხლისმღვრელი უკვე გაჩაღდა,
და სადაც ნარის წყალი ერთვის მდინარე ტიბერს,
კეისრის ლაშქარს მიეშველა ბარბაროსთ რაზმი,
თვითონ დროშებით, ტროფეებით დამშვენებული,
წინ მიუძღოდა ერთს კი არა, უთვალავ ლაშქარს.
ფარსალია, I, 466 – 477

როგორ ხედება ამ ცნობას სენატი? ისინი თავგზააბნეულნი გარბიან ქალაქიდან ნაცვლად იმისა, გამონახონ საშუალება უბედურების თავიდან ასაცილებლად.

გარბის სენატიც, ომის დეკრეტს კონსულებს ანდობს,
საფრთხე საიდან ელოდებათ, არც კი იციან,
და ზაფრულები ტოვებენ ქალაქს, ბრბოში შეჭრილნი
ხალხთა გრძელ ნაკადს მიარღვევენ, გეგონებოდათ,
გაურბოდნენ ცეცხლსა და ხანძარს, თითქოს შიშობდნენ,
არ დამხობოდათ თავ ზე ჭერი დანგრეულ სახლთა.
ფარსალია, I, 488 – 494

ლუკანუსი ადანაშაულებს სახელოვან სარდლებს სამოქალაქო ომის წამოწყებაში. მას არც პომპეუსის გამართლება შეუძლია და არც კეისრისა. კეისარი შეუბრალებელია სენატისა და რომის წარჩინებულ მოქალაქეთა მიმართ, თუმცა პლებსისადმი არ არის სასტიკი. კეისარი "ხალხის დახოცვას კრძალავს, მაგრამ არ ინდობს სენატს" (VII,578). არც პომპეუსია ლმობიერი კეისრისადმი. იგი ანდერძში თავის შვილებს კეისრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

როცა დადგება ჟამი ჩემთვის უკანასკნელი,
ჩემო შვილებო, გააგრძელეთ თქვენ შინა ომი,
ვიდრე ამ ქვეყნად იარსებებს ეს ჩვენი მოდგმა,
რომ კეისრებმა ვერ იმეფონ . . .
ფარსალია, IX, 87 -90

სამოქალაქო ომში, კონკრეტულად კი კეისრისა და პომპეუსის ომში ყოველ მხარეს თავისი "სიმართლე" აქვს. ლუკანუსმა იცის, რარიგ ძნელია გარკვევა, ვინ უფრო მართალია ამ ომში. ნუ შევეცდებით ამის გაგებასო – მიმართავს პოეტი მკითხველს, (I, 127). კეისარი იბრძვის როგორც შეურაცხყოფილი სარდალი, რომელსაც არ დაუფასეს სამშობლოსათვის თავდადება. იგი უგულვებელყო სენატმა, არ გაითვალისწინა მისი ინტერესები. პომპეუსი თვლის, რომ იგი იბრძვის ტირანიის წინააღმდეგ. რა

თქმა უნდა, მოლაშქრეები იზიარებენ თავიანთი სარდლების კონცეფციას. ამ ორი "სიმართლის" გარდა, რომლისთვისაც იბრძვიან პომპეუსი და კეისარი, არის მესამე "სიმართლე". როგორც ლუკანუსი ამბობს, ეს არის ბრძოლა პირველობისათვის (I, 97 – 98). თავისთავად ყველა ამ "სიმართლეს" აქვს თავისი გამართლება, თავისი არგუმენტები.

ლუკანუსი სვამს კითხვას: როგორ უნდა მოიქცეს რომაელი მოქალაქე, უნდა ჩაებას თუ არა სამოქალაქო ომში, რომელიც თავისთავად უდიდესი ბოროტებაა – summum nefas, civilia bella (II, 286). იდეალური რომაელი მოქალაქე, კეთილშობილებით სავსე კატონი თვლის, რომ ასეთ ომში მონაწილეობას თავს ვერ აარიდებს რომაელი მოქალაქე. ეს არის სამშობლოს დასაცავად ბრძოლა. რომაელი გულგრილად არ უნდა უყურებდეს მის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს (II, 289 – 295). ე. ი მოქალაქე ერთ-ერთ "სიმართლეს" უნდა შეუერთდეს, რასაც ის ჭეშმარიტებად მიიჩნევს.

ლუკანუსმა არ იცის გზა, როგორ შეიძლება სამოქალაქო ომის თავიდან აცილება. მას შეუძლია მხოლოდ იოცნებოს მშვიდობაზე. "ფარსალიაში" რომაელები მშვიდობას კი არ თხოვენ ღმერთებს (II,47), არამედ იმას, რომ რომს აუმხედრდეს გარეშე მტერი (II, 48). მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამოქალაქო ომის აცილება. ე. ი. ლუკანუსი სამოქალაქო ომის თვისობრივად სხვა ომში გადასვლაზე ოცნებობს, რომელშიც მონაწილეობა რომაელ მოქალაქეს პატივსა და ღირსებას მიანიჭებს. მიუხედავად ამისა, ლუკანუსი ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს თანაუგრძნობს, რასაც ადასტურებს მისი აღტაცება ბრუტუსისადმი, რომელიც ამ ომის შემდგომ კეისრის ერთ-ერთი მკვლელი გახდა. პოეტი მას "ქვეყნის მშვენებას," "სენატის უკანასკნელ იმედს" უწოდებს (VII, 587).

ლუკანუსის პოემის მიზანი არის არა რომელიმე დაპირისპირებული მხარის გამართლება, არამედ ზოგადად სამოქალაქო ომის უაზრობის, სისასტიკის წარმოჩენა. "ფარსალია" არის გაფრთხილება ხალხებისადმი, არ დაუშვან ძმათამჟლეტელი ომები, წინ აღუდგნენ მათ. მაგრამ თუკი ასეთი ომები გაჩაღდე-

ბა, მაშინ საჭიროა უმცირესი ბოროტების ამორჩევა – duobus malorum minima eligere. ეს უმცირესი ბოროტება კი განზე დგომა კი არ არის, არამედ ომში ჩართვა, იმათი მხარდაჭერა, ვინც ნაკლებ "დამნაშავეა" ომის წამოწყებაში.

ასეთია კატონის პოზიცია "ფარსალიაში", რომელიც ჩანს, რომ თავად ავტორის თვალსაზრისიც არის.

პეტრონიუსი

სამოქალაქო ომის თემას ეხება რომანი "სატირიკონი", რომლის ავტორად მიჩნეულია პეტრონიუს არბიტრი. იგი ნერონის ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იმპერატორმა პეტრონიუსს ბრალად დასდო, რომ იგი პიზონის აჯანყებაში მონაწილეობდა. პეტრონიუსი არ დაელოდა განაჩენს და ძალიან მშვიდად, თავად გაემოესალმა სიცოცხლეს. "სატირიკონი" არის "მენიპესეული" სატირა, სადაც პროზას ენაცვლება პოეზია. იგი წარმოადგენს ყოფით, სათავგადასავლო, პაროდიული ხასიათის რომანს, რომელშიც მონაწილეობენ: მაწანწალები, უპოვრები, ჭაბუკები, ყოფილი რიტორი, მოხუცი ევმოლპუსი. პოეტურ ნაწილში ხშირად გადმოცემულია პოეტის მსოფლმხედველობა. მათ შორის ყურადღებას იქცევს პოემა "სამოქალაქო ომზე", რომელსაც მოხეტიალე პოეტი ევმოლპუსი კითხულობს. ეს პოემა წარმოადგენს პაროდიას პოეტებზე, რომლებიც თანამედროვე თემებს საგმირო ეპოსის სტილზე ამუშავებენ. აქ იგივე თემაა წარმოდგენილი, რაც "ფარსალიაში" – ეს არის კეისრისა და პომპეუსის ბრძოლა.

პოემის დასაწყისში საუბარია რომის დაპყრობით პოლიტიკაზე, მორალის დაცემაზე, რომაელთა გაუმაძღრობაზე, რომლებსაც, რაც უფრო მეტ ქვეყანას იმორჩილებენ, მით უფრო მეტის დაპყრობის სურვილი უჩნდებათ. ასეთი ომების მიზანი სიმდიდრის დაგროვება, ფუფუნებითა და განცხრომით ცხოვრების ჟინია.

მძლე რომაელმა დაიმონა მთელი მსოფლიო,
ზღვა და ხმელეთი, სადაც შუქი წვდება მნათობთა,
მაინც ვერ დაცხრა, ტალღებს სერავს მძიმე ხომალდი,
თუკი არსებობს შორეული მყურდო ნაპირი,
ან ქვეყანა ოქრომრავალი, რომი მას მტრად ცნობს,
უბედურების მომტან ომში ეძებს სიმდიდრეს,
ძველი გართობა, მდაბიური, მოყირჭდათ უკვე,
რაც დიდ სიამეს ანიჭებდა ძველ დროში ყველას.
ახლა ეფირულ ბრინჯაოთი რთავენ ხომალდებს,
არჩევენ, მინის საღებავი თუ სჯობს მენამულს,
ხან ნუმიდური შალი მოსწონთ, ხანაც – ჩინური,
რომაელს უთმობს მთელს მოსავალს თვისას არაბი.
აი, რა მოსდევს კიდევ, ნახეთ მშვიდობის რღვევას.
სატირიკონი, სამოქალაქო ომი, 1 – 13.

პოემაში სულ სხვაგვარად არის დანახული სიამაყის მომგვრელი ლაშქრობები რომაელებისა, რომლებსაც ხოტბას ასხამენ სხვა პოეტები – ამგვარი ომები მიჩნეულია მხოლოდ და მხოლოდ გამდიდრების წყაროდ და საშუალებად. რომაელები არაფერს ერიდებიან, რათა დატკბნენ ურიცხვი სანახაობით. უამრავი ქვეყანა ამარაგებს მათ, ზოგი ცხოველებით, ეგზოტიკური ფრინველებით, იშვიათი ჯიშის მცენარეებით, ზოგიც – მონებით და სხვ. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც რომაელებს ფლორითა და ფაუნით ამარაგებენ, დასახელებულია ფაზისიც. ფაზისურ ხოხობზე დიდი მოთხოვნილება ყოფილა რომში.

ფა ზისში ალბათ გადაშენდა სულ მთლად ფრინველი
და დაყრუებულ სანაპიროს, მოწყენილ ფოთლებს
ეჟღურტულება მხოლოდ ნიავი.
სამოქალაქო ომი, 36 – 38.

ბრძოლა ხელობად ქცეულა, მებრძოლი ომს ეშურება, რომ სიმდიდრე ჩაიგდოს ხელში. გაფლანგული ქონების აღდგენას იგი კვლავ ჭრილობებით ცდილობს.

ჯილდოსთვის იბრძვის მეომარი მოხეტიალე-
იარაღს ილებს, შემოაკლდა ვისაც ქონება
და გადარჩენას სითამამით ცდილობს ღატაკი,
ასეთ წუმპეში ჩაძირულა მთვლემარე რომი,
რა ამოათრევს მას იქიდან, გითხრათ მართალი?
მხოლოდ სიშმაგე, ომი, ხმალი, გაუმაძღრობა.
სამოქალაქო ომი, 32, 56 – 60.

ეს გულისტკივილი პეტრონიუსის ეპოქის მოქალაქის წუხილია. ეს ის პერიოდია, როცა ომი რომისათვის აღარ არის თავის გადარჩენის, სამშობლოს ხსნის ერთადერთი გზა, ან სამოქალაქო ომის წინააღმდეგ მიმართული ომი, როგორც უკიდურესი და აუცილებელი, თუმცა სამწუხარო საშუალება. პეტრონიუსი სამოქალაქო ომის სისასტიკეზე ამახვილებს ყურადღებას. დიდი მხედართმთავარიც კი ვერ აიცილებს მწარე ხვედრს. იგი შეიძლება თანამოქალაქის ხელით მოკვდეს და იქნებ საფლავიც არ ეღირსოს მშობლიურ მიწაში.

სამივე სარდალს, ბედგანწირულთ, ომმა სასტიკმა
ფარ – ხმალ – ჯავშანის მთელი გროვა თავზე დაამხო,
კრასუსს პართია, ლიბიის ზღვა ერგო პომპეუსს,
კეისარმა კი უმადურ რომს სისხლი აპკურა,
სამ საფლავს მიწამ ვერ გაუძლო, დააცალკევა,
მათი დიდება იმსახურებს ჯეროვან პატივს.
სამოქალაქო ომი, 61 – 66.

პეტრონიუსი მოაგონებს მკითხველს ამ სამი უმამაცესი მხედართმთავრის ტრაგიკულ ბედს და მათს უდიდეს ღვაწლს სამშობლოს წინაშე. პირატებთან და მითრიდატესთან მებრძოლი პომპეუსი რომაელთა საყვარელი გმირი იყო, კრასუსის თავგანწირვას პართელებთან ომში მუდამ სიამაყითა და სინანულით იგონებდნენ რომაელები, კეისრის სიმამაცე გალეიოან ომში, მისი საომარი გამოცდილება და მრავალმხრივი ტალანტი პატივისცემას იმსახურებდა თანამოქალაქეებში. ეს იყო ერთი მხარე მათი მოღვაწეობისა, რის გამოც ისინი ხალხის უდიდეს ჯილ-

დოს – სიყვარულს იმსახურებდნენ, მაგრამ პომპეუსსა და კეისარს შორის გაჩაღებული სამოქალაქო ომის შემდეგ (რაც ფაქტობრივად პირველობისათვის ბრძოლა იყო და რამაც ორად გახლიჩა რომის საზოგადოება), სხვაგვარი შეფასება მიეცა ამ მართლაც და უდიდესი პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობას. პომპეუსის დაღუპვამ მისადმი თანაგრძნობა და სიყვარული გაზარდა რომაელებში, შემდეგ კი კეისრის მუხანათურმა მკვლელობამ დაანახა რომის საზოგადოებას, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვება დამარცხების ტოლფასი იყო, რომ ორივე გმირის ტრაგიკული სიკვდილი ძმათაშორისი ომის კანონზომიერი დასასრული იყო. კრასუსის სიკვდილის შემდეგ დაიშალა პირველი ტრიუმვირატი. დაიძაბა ურთიერთობა კეისარსა და პომპეუსს შორის. პომპეუსის ავტორიტეტი იზრდებოდა რომაელებში, კეისარი კი მოკლებული იყო უფლებას პრეტენზია განეცხადებინა უმაღლეს თანამდებობაზე და მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, თუკი გალიას არ დატოვებდა. კეისარი მიხვდა, რომ მის პოლიტიკურ კარიერას კრახი ემუქრებოდა. პეტრონიუსი მშრალ კონსტანტაციას კი არ იძლევა ამ ცნობილი ისტორიული მოვლენებისა, არამედ მხატვრული ფერებით აცოცხლებს დოკუმენტურ მასალას. საინტერესოდ არის აღწერილი კეისრის ალპებზე გადმოსვლა. პოემის მიხედვით, კეისრის ეს ნაბიჯი შემდეგნაირად არის არგუმენტირებული: კეისარი მივიწყებული და შეურაცხყოფილია, მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე უგულვებელყოფილია.

მწვერვალზე შედგა კეისარი, ხალისიანი,
ჯარი თან ახლდა; მაღალი მთიდან შორით თვალი
მოავლო ველებს ჰესპერიის და ორივ ხელი
აღმართა ცისკენ მავედრებელმა: "ყოვლისმძლეო
იუპიტერო, და შენც, მინავ სატურნუსისა,
მახსოვს, ოდესღაც ჩემს ტრიუმფებს ვით შეჰხაროდით,
მენდეთ, ეს ბრძოლა სასურველი არ არის ჩემთვის,
საჭურველს ვისხამ უხალისოდ, მტანჯავს ჭრილობა.
საკუთარ სისხლით ვრწყავდი რეინს, მოშორებული
მშობლიურ ქალაქს. რომზე სამტროდ წამოსულ გალებს

ალპებზე დავხვდი . . . ამისთვის ვარ გაძევებული?
სამოცჯერ ვძლიე გერმანელებს, სისხლი ვანთხიე . . .
ეს დავაშავე? ვის აღელვებს ჩემი დიდება?
სამოქალაქო ომი, 152 – 164

პოემაში კეისარი წარმოთქვამს ვრცელ მონოლოგს, სადაც დასაბუთებულია მის მიერ ყოყმანის შემდეგ გადადგმული ნაბიჯი: alea iacta est – (ნილი ნაყარია) განაცხადა კეისარმა, როცა გადაწყვიტა, გადაელახა რუბიკონი და ლაშქარი დაეძრა რომისკენ, რადგან სენატი პომპეუსის გაძლიერებას უწყობდა ხელს და აშკარად ეწინააღმდეგებოდა კეისრის რომში დაბრუნებას. გალთა ომების გმირი წუხს, რომ იგი იძულებულია, იარაღით შევიდეს სამშობლოში, თუმცა ერთი ფრაზა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ციტატაში კეისრის ამ ნაბიჯის სწორად შეფასებისათვის. უფრო ზუსტად, პეტრონიუსის ინტერპრეტაციით, ლაშქარი სიხარულით ბრუნდება სამშობლოში . . . საომრად! დიდი ფიქრის შემდეგ ალპებზე გადმოსულ კეისარს, რომელიც თავის მომავალ შეტაკებას პომპეუსთან "არასასურველს" (invatum) უწოდებს, თან მოჰყვება "ხალისიანი ლაშქარი" (leato militc). ჯარის მხიარულების მიზეზს არ აკონკრეტებს პეტრონიუსი. ცხადია, ისინი კეისრის გადაწყვეტილებას ინონებენ და ეს განნყობა არის ალბათ გამოხატული ფრაზით "ხალისიანი ლაშქარი". თავის გამარჯვებაში დარწმუნებული კეისარი ამხნევებს ლაშქარს:

ვინ გვეომება? ვინაც მხოლოდ ფულისთვის იბრძვის,
დედინაცვალი არის მათთვის ჩვენი სამშობლო,
ვერ აიცდენენ სასჯელს, მჯერა, ამ ჩემს მარჯვენას,
შურისმგებელს, ულონო მკლავი ვერ გადასძალავს,
გამარჯვებისკენ წინ თამამად, ჩემო მეგ ზურნო,
გადავჭრათ დავა ჩვენ მახვილით . . . ბრალი ერთი გვაქვს,
ერთიც გვექნება ბოლო . . . ჯილდოს ღირსნი ხართ ყველა.
გამარჯვებისთვის მარტო მე ხომ არ მიბრძოლია,
თქვენც ჩემთან ერთად . . . თუკი ამისთვის სასჯელი და
სირცხვილი გველის, დაე, განგვსაჯოს ბედისწერამ.

დავიწყოთ ომი, მზად ვარ უკვე, დავძრათ ლაშქარი.
ამ მამაცების გვერდით, მჯერა, არ დავმარცხდები.
სამოქალაქო ომი, 165 – 176

პეტრონიუსი დამაჯერებელად აღწერს კეისრის მიერ ალპების გადმოლახვის სურათს. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, კეისარი არ ცვლის ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას. ღმერთების დახმარებით იგი ძლევს ყველა დაბრკოლებას. პეტრონიუსს, ლუკანუსისაგან განსხვავებით (რომლის მხატვრული სტილის წინააღმდეგ ილაშქრებს იგი), პოემაში ჰყავს მითოლოგიური პერსონაჟები, რომლებიც ამხნევებენ, ეხმარებიან კეისარს ბრძოლებში თუ გადაწყვეტილების მიღებაში. პეტრონიუსი ამაღელვებლად გადმოსცემს იმ ემოციას, რაც გამოიწვია კეისრის რომთან მიახლოებამ. ამ ეპიზოდით პოეტი ქმნის შთამბეჭდავ პანოს შეშფოთებული ხალხის რომიდან ლტოლვისა.

დამფრთხალმა ჭორმა უსწრაფესად გაშალა ფრთები
და მიაშურა თხემს უმაღლეს პალაციუმის,
თავ ზარი დასცა რომაელებს ახალმა ცნობამ,
დაეშვა უკვე ალპებიდან გერმანელებთან
ნაბრძოლი რა ზმი და სანაპიროს მოადგა ფლოტიც.
მყისვე ია ზრეს, რაც ელოდათ, ხოცვა და ჟლეტა
ულმობელი, ხანძარი, სისხლი, ჟღარუნი ხმლების,
შეშფოთებულებს თითქოს გული გაეპოთ ორად,
ზოგი ხმელეთით გარბის, ზოგიც ზღვას მიაშურებს,
მშობლიურ ქალაქს არ ენდობა, ზოგიც იარაღს
მოიმარჯვებს და ურჩევნია, რომ ბედს მიენდოს,
მიჰქრის მშიშარა მარდად. მაგრამ ყველა ზე სწრაფად,
საწყალობლად, საოცარია, ხალხის ჯგრო მირბის.
ამ ფაციფუცში ხარობს რომი, რომ კვირიტები
თავიანთ სახლ – კარს, კერას ასე იოლად თმობენ.
აუტაცნია ერთს ვაჟები ცახცახით ხელში,
მეორე მალავს პენატებს და აცრემლებული
ეცლება ქალაქს, თან მტერს შორით უგ ზავნის კრულვას,

ზოგი კი მკერდში ატირებულ მეუღლეს იკრავს
და მოხუც მშობლებს . . .
სამოქალაქო ომი, 210 – 230.

ასეთ პანიკას იწვევს სახელოვანი გმირის, მრავალი წარმატებული ლაშქრობის მეთაურის, კეისრის შესვლა მშობლიურ ქალაქში, სადაც ოდესღაც მას, როგორც ტრიუმფატორს, აღტაცებით ეგებებოდნენ თანამოქალაქენი. პეტრონიუსი ირონიულად შენიშნავს, თუ როგორ გარბიან კვირიტები, სწორედ ასე მოიხსენიებს იგი რომაელებს. ეს საპატიო სახელი ნაკლებად შეეფერება იმ მოქალაქეებს, რომლებიც შიშით თავზარდაცემულნი გარბიან რომიდან. ასევე მწარე ირონია ისმის ფრაზაში gaudet Roma fuga (ხარობს რომი გაქცევით). რატომ ახარებს რომს რომაელთა გაქცევა? თანამოქალაქეთა ომის საშინელება ართობს მას, თუ რომი სიხარულით ეგებება სამოქალაქო ომის ერთ – ერთი ინიციატორის ქალაქში იარაღით შემოსვლას? თუ ეს გამარჯვებებით გაამაყებული რომის, ან უკვე სავალალო ვითარებაში ჩავარდნილის, ხატოვანი აღნერაა? რიგით მოქალაქეთა შიში და დრტვინვა გასაგებია და იგი თანაგრძნობას იწვევს მკითხველში, მაგრამ ქვეყნის საჭეთმპყრობელთა მიერ ქალაქის მიტოვება მათი მხრივ სიმხდალედ და უზნეობად აღიქმება.

თავადაც გარბის ორ კონსულთან ერთად პომპეუს,
რისხვა პონტოსი, ვინც იხილა წყალი ჰიდასპის,
პირატთ მდევარი, ტრიუმფების სამგზის მომწყობი,
ვინც აოცებდა იუპიტერს, ვინც შეაშფოთა
ზღვა პონტოსი, დაიმორჩილა წყლები ფოსფორის.
ვაი, სირცხვილო! უპატრონოდ დაჰყარა ხალხი
და გაქცეულმა ფორტუნასაც უჩვენა ზურგი.
სამოქალაქო ომი, 238-244

აქ ჩამოთვლილია პომპეუსის ყველა წარმატებული ლაშქრობა და ტრიუმფი: პირატების განადგურება ძვ. წ. 67 წ., მითრიდატეს საბოლოოდ დამარცხება ძვ.წ. 63 წ. და სამი ტრიუმფის მონყობა – ძვ.წ. 79, 71, 61 წ.წ. ამ გამარჯვებათა ფონზე ნაჩვენებია

პომპეუსის მიერ რომის სამარცხვინოდ დატოვება, რომელთანაც ერთად რომს ტოვებენ: ერთგულება, სამართლიანობა და თანხმობა. მათ ადგილს იკავებენ: მკვლელობა, სიკვდილი და რისხვა. ყველაზე უწინარეს კი გარბის ზავი (Pax).

უწინარესად ფრთებს ქათქათას გაშლის მშვიდობა
და ჩამოიმხობს გამარჯვებულ თავ ზე მუ ზარადს.
სამოქალაქო ომი, 251 – 252.

რომაელ მოქალაქეებთან ომში ღმერთებიც მონაწილეობენ: აპოლონი, ათენა, დიანა. ღვთაებები: სიშმაგე (Furror), რომელსაც მთელი დედამიწის გადაბუგვა სურს (258 – 262), თმაგაწეწილი უთანხმოება (Discordia), რომლის ენიდან შხამი მოწვეთავს. იგი საბრძოლველად აქეზებს კეისარს.

აისხით, ხალხნო, იარაღი, გულანთებულნო,
და შეაბიჯეთ ჩირაღდნებით შუა ქალაქში,
თავს ვერ დააღწევს მარცხს ვერავინ, ვინც მიყუჟულან
სახლებში ჩუმად, ღრმა მოხუცი, ბავშვი თუ ქალი.
მიწამ ზანზარი დაიწყოს და დაემხოს ჭერი,
კანონს მიჰხედე შენ, მარკელუს, შენ კი, კურიონ,
ალაგ ზნე პლებსი, შენ კი, ლენტულუს, მარსს მეომარს
ნუ შეაჩერებ. შენ, ღვთაებრივო, რად ყოყმანობ,
აბჯარასხმულო, რად არ დალეწავ ქალაქის ბჭენს,
მტკიცე ზღუდეებს, არ წარიტაცებ ხაზინის განძს?
შენ კი, პომპეუს, რად არ იცავ რომის ციხე – ბურჯს?
რად არ შეღებავ თესალიას სისხლით, ეპიდამნს.
და დისკორდიამ რაც კი ბრძანა, უმალ შესრულდა.
სამოქალაქო ომი, 283 – 295.

პეტრონიუსი თავს არიდებს გადმოსცეს კეისრის შურისძიება პომპეუსზე და სენატზე. ეს ისტორიული ფაქტი, როგორც კეისრის საომარი გეგმა, ისეა ჩართული პოემაში.

ამ პოემით პეტრონიუსი, როგორც ცნობილია, ილაშქრებს ლუკანუსის წინააღმდეგ, რომელმაც გადაწყვიტა სამოქალაქო

ომის თემის გაცოცხლება ისტორიული რეალობის დაცვით, ყოველგვარი მითოლოგიური პერსონაჟების ჩარევის გარეშე. პეტრონიუსი ამ პოემით დასცინის უნიჭო პოეტებს, კლასიციზმის მიმდევართ, რომელთაც სურთ არქაულ სტილში აღწერონ რომის ისტორიის ეპიზოდები. მიუხედავად პოემის პაროდიული ხასიათისა, მასში ჩანს სერიოზული შეფასების ცდა რომაელთა სისხლისმღვრელი შეტაკებებისა, რომლებიც რესპუბლიკის ხანაში ხდებოდა. მწერალი უპირველეს ყოვლისა, სინანულს გამოთქვამს რომის სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწეების ურთიერთქიშპობის გამო, რასაც რომის ნგრევა, მშვიდობიანი მოქალაქეების ჟლეტა მოჰყვა. თავი და თავი ამ ბრძოლებისა მაინც ამბიციები და პირველობისათვის ბრძოლა იყო, თუმცა თითოეული მოქიშპე მხარე თავისი პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლად იბრძოდა. პეტრონიუსის კონცეფციით, სამოქალაქო ომები გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, ამიტომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა ამაოა. ასევე უაზროა ამ თემაზე ლიტერატურული ნაწარმოების აგება.

ვალერიუს ფლაკუსი

ახ. წ. I ს. პოეტი ვალერიუს ფლაკუსი იმპერატორ ვესპასიანეს დროს მოღვაწეობდა. სწორედ მას უძღვნა პოეტმა პოემა "არგონავტიკა", რომლის თემა ესოდენ პოპულარული იყო. ამ პოემით ვალერიუს ფლაკუსმა მიზნად დაისახა პროპაგანდა გაეწია რომის სამხედრო პოლიტიკისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებში. მან ძირითადად შეცვალა მითის შინაარსი, პერსონაჟთა ხასიათი. ამ პოემაში იაზონი არ არის პასიური, რომელიც სხვათა წაქეზებითა და დახმარებით მოქმედებს. ვალერიუს ფლაკუსის გმირი არის მამაცი, გაბედული მეომარი, რომელიც საკუთარი სურვილით მიემგზავრება სახიფათო გზაზე.

რა ქნას, ბრბოს უხმოს, ვისაც მტრობა აქვს ტირანისა
გულსჩადებული, თუ მამებს, რიდი ეზონისა

რომ ჰქონდათ ოდეს? ან იქნებ ენდოს იუნოს და
მებრძოლ მინერვას, გაეშუროს უცნობი ზღვისკენ,
თუკი მის ტალღებს შეებმება ის მამაცურად,
იქნებ სახელიც მოიხვეჭოს? დიდებავ, მხოლოდ
შენ ალაგ ზნებ კაცის სულს და გულს, შენ
გხედავს იგი ფაზისის პირას, ქაბუკთა მხმობო!
არგონავტიკა, I, 71 – 78

იაზონის უპირველესი მიზანი იყო ქვეყნების მონახულება და იქ ძალების მოსინჯვა, სახელისა და დიდების მოპოვება. მისი სურვილი, ფაქტობრივად, იმპერიის ხანის რომაელი მებრძოლის მიზანსწრაფულობის გამოხატულებაა, რომელსაც თვალი მუდამ აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ ეჭირა. ვალერიუს ფლაკუსის იაზონი არგონავტთა თქმულების პერსონაჟისაგან ძალიან განსხვავებულია.[7] იგი არის მამაცი, წინაპართა ადათ-წესების დამცველი და ღმერთთა კეთილი ნების აღმასრულებელი. ამ თვისებით იგი ვერგილიუსის პოემის გმირსაც გვაგონებს, რომელსაც კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ებმება ბრძოლაში. იაზონი არ გამორიცხავს, რომ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ბრძოლაც დასჭირდეს, ამიტომ იგი ამხნევებს თავის თანამგზავრებს.

და ამის მთქმელმა ეზონიდმა მყის დაამატა:
"ხედავთ, ღმერთების თანაგრძნობას, ო, მეგობრებო,
ჩვენს წამოწყებას თანამგზავრად იმედი ახლავს,
თქვენ მამაცობა გმართებთ ძველი, მამაპაპური,
ჩვენ არ მივდივართ თესალიელ, ცბიერ ტირანის
მაცდური ნებით, ამას ღმერთი გვიბრძანებს ჩვენი
კეთილმოსურნე. თვით იუპიტერს სურს მსოფლიო
ხალხთ შევერიოთ და მოვსინჯოთ ჩვენი ძალები,
აბა, მომყევით, გავიმარჯვოთ ამ ძნელ საქმეში,
რომ მოვიგონოთ ტკბილად შემდეგ შვილიშვილებთან".
არგონავტიკა, I, 241 – 249

---

7 Gärtner, Gehalt und Funktion der Gleichisse bei Valerius Flaccus, Hermes 67, 1994, 284. Гигаури Ц., Колхида в римской литературе Тб., 1990, 182.

იაზონი აქტიური გმირია, იგი უსაფუძვლოდ როდი ითხოვს ოქროს საწმისს კოლხთა მეფისაგან. ამ ჯილდოს იაზონი თავისი სიმამაცით იმსახურებს, როცა ეხმარება აიეტს ძმის, პერსევსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის ახალი ეპიზოდი, რომელიც შეიტანა ვალერიუს ფლაკუსმა თავის პოემაში. "არგონავტიკის" VI წიგნი მთლიანად ამ ბრძოლის აღწერას ეთმობა, სადაც კარგად ჩანს იაზონის მამაცობა, კოლხებისა და მათი მოკავშირეების გმირობა. ვალერიუს ფლაკუსი მრავალ ხალხს ჩამოთვლის, რომლებიც მცირე აზიაში და პონტოს სანაპიროზე მოსახლეობენ, მოკლედ გვაცნობს მათ ადათ-წესებს. აქ საინტერესოა რამდენიმე დეტალი: მცირეაზიული ტომები, კორალები, როგორც ფლაკუსი აღწერს, ლაშქრობის დროს ომახიანი სიმღერით ამხნევებდნენ ერთმანეთს.

ბუკის ჭყვიტინი როდი უხმობს საომრად მებრძოლთ,
არა, წინაპართ სადიდებელს აგუგუნებენ
და ამხნევებენ მოლაშქრეებს ხოტბის სიმღერით.
არგონავტიკა, VI, 92 – 94

rauco cornu – " ბუკის ჭყვიტინი" ამ ფრაზით ფლაკუსი უპირისპირებს ბუკის უსიამოვნო, მომაბეზრებელ, მყივანა ხმას ომახიან სიმღერას, რომლითაც კორალები ჯარს ამხნევებდნენ და წინაპართა გმირობასაც ასხამდნენ ქებას.

ვალერიუს ფლაკუსი იაზიგების ერთ საინტერესო ჩვეულებასაც გვაცნობს, თუ როგორ ასალმებდნენ სიცოცხლეს ომში დასუსტებულ, ასაკოვან მებრძოლებს თავისიანები.

და იაზიგნიც აქ არიან უბერებელნი.
როგორც კი მებრძოლს შუბის ტყორცნა გაუჭირდება,
როცა ისრები მსროლელის მკლავს არ დანებდება,
გმირ წინაპართა წესს მისდევენ, დაუყონებლივ
ძირს დაეცემა მამა ღვიძლი შვილის მახვილით
გულგანგმირული, ამ საქმეში, საოცარია,
მამა თვითონვე ამხნევებს შვილს, შვილი კი – მამას.
არგონავტიკა, VI, 124 – 130

როგორც ჩანს, ფლაკუსს ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია მცირე აზიისა და პონტოს სანაპიროზე მოსახლე ტომების საომარ წესებსა და ჩვეულებებზე.

ვალერიუს ფლაკუსის იაზონი იმპერიის ხანის რომაელი მეომრის ტიპური განსახიერებაა. იაზონის ლაშქრობა კოლხეთში თავისებური ასახვაა რომაული საგარეო პოლიტიკისა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთის დასახმარებლად ბრძოლაში ჩაბმა, რა თქმა უნდა, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. გავიხსენოთ იულიუს კეისრის როლი კლეოპატრას გადედოფლებაში, უფრო ადრე – რომაელების პოლიტიკა პონტოს ქვეყნებთან, მათი შინაური საქმეების მოგვარება.

იაზონი ასევე ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს აიეტისა და პერსევსის დაპირისპირება, მამაცურად ჩაებას ამ ბრძოლაში, რომ კი არ მოიპაროს ოქროს საწმისი, არამედ გმირული ბრძოლით დაიმსახუროს.

სტაციუსი

ავგუსტუსის მმართველობის შემდგომმა პერიოდმა, რომელიც ხასიათდებოდა ინტრიგებით, დესპოტიზმით, არისტოკრატიის დევნითა და შევიწროებით, თავისებური ასახვა ჰპოვა იმ პერიოდის ლიტერატურაში. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას მაშინდელი პოეტების დაინტერესება სამოქალაქო ომის თემით. ფლავიუსების დინასტიით იწყება შედარებით მშვიდი პერიოდი რომის ისტორიისა. ასეთი იყო ვესპასიანუსისა და მისი ვაჟის, ტიტუსის მმართველობის ხანა, როცა იმპერატორსა და სენატს შორის თანხმობა სუფევდა. როცა ძალაუფლება დომიციანუსის ხელში გადავიდა, კვლავ დაიწყო რეპრესიები.

პაპინიუს სტაციუსი იმპერატორ დომიციანუსის დროს მოღვაწობდა ახ.წ. I ს.-ში. მას ეკუთვნის ლექსების კრებული "ტყეე-

ბი," პოემა "აქილეადას" დასაწყისი და ვრცელი პოემა "თებაიდა," რომლის თემა არის თებეს ციკლის თქმულება – "შვიდთა ბრძოლა თებეს წინააღმდეგ". სტაციუსი პოემის დასაწყისში აცხადებს, რომ დომიციანუსის ღვაწლს იგი სათანადოდ შეაქებს მომავალში.

დრო დადგება და შენს დიდებას შევასხამ ხოტბას,
ახლა კი ლირას მოვმართავ და ვიტყვი ომებზე
აონიურზე, ძმათა დამღუპველ სამეფო კვერთხზე.
თებაიდა I, 33 – 35

სტაციუსმა გადაწყვიტა იმპერატორისათვის შემდგომში ეძღვნა მისი ღვაწლის ამსახველი ნაწარმოები, მანამ კი სამოქალაქო ომის თემა აირჩია პოემისათვის, მაგრამ ეს თემა არა რომის სინამდვილიდან აიღო, არამედ ბერძნული მითოლოგიიდან. შესაძლოა, დომიციანუსის მმართველობის პერიოდში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ სენატსა და იმპერატორს შორის, უკარნახა პოეტს ეს მითოლოგიური ფაბულა.

გარდა თებეს ციკლის თქმულებისა, "თებაიდაში" სხვა მითოლოგიური სიუჟეტებიც არის ჩართული, რომელთაც არა აქვთ კავშირი ამ თქმულებასთან, რაც ამძიმებს პოემას. თუმცა ბევრი ეპიზოდი, ბრძოლის სცენები დიდი ინტერესით იკითხება. პოემაში მითოლოგიურ პერსონაჟებთან ერთად მონაწილეობენ პერსონიფიცირებული ღვთაებები: სიფიცხე, უთანხმოება, რისხვა და ა. შ.

გიჟი სიფიცხე გამოვარდა ყველაზე უწინ,
ბნელით მოცული ცოდვა, რისხვა თვალანთებული,
ფერმკრთალი შიში, ვერაგობა, მახვილს რომ მალავს,
განხეთქილებას ორლესული უჭირავს ხმალი,
ბუკი ჭყვიტინებს, დამწუხრებული სიქველე კი
დგას შუაგულში, მხიარული სიშმაგის გვერდით,
ულმობელ სიკვდილს იარაღი აუსხამს ბასრი.
თებაიდა VII, 47 – 53

ეს ღვთაებები, გარდა სიქველისა, არიან ადამიანთა შორის ატეხილი დავის, უთანხმოებისა და ომის მიზეზები, თითოეულ მათგანს თავისი შესაფერისი ეპითეტი აქვს, რომელიც კარგად გადმოსცემს მათ ხასიათს. გიჟი სიფიცხე (Amens impetus), ბრმა ცოდვა (Coecus nefas), თვალანთებული რისხვა (Irae rubentes), ფერმკრთალი შიში (Exangues Metus), ვერაგობა დაფარული მახვილით (ensibus occultis Insidiae), უთანხმოება ორლესული მახვილით (Discordia geminum ferrum tenens), მუქარა, რომელიც ბუკის ხმით ვრცელდება (innumeris Minis aula), მხიარული სიშმაგე (Furor laetus). ცალკე დგას დამწუხრებული სიქველე (Virtus tristissima).

ამ ღვთაებებთან ერთად, რომლებიც ადამიანებს ნეგატიური ემოციებით ავსებენ, მოკრძალებითა და სათნოებით გამოირჩევა ღვთაება Pietas (გულმოწყალება, სათნოება, ერთგულება . . .). სიქველესთან (Virtus) ერთად მხოლოდ მას ადარდებს კაცთა უბედურება.

კარგა ხანია ღმერთთა კრებას გაეცალა და
გულმოწყალება ცა ზე დაჯდა მეორე მხარეს,
მწყა ზარი, მშვიდი, სხვა არაფრით გამორჩეული,
უთავსაბურო, ძმათა ომით შეწუხებული,
ვითარცა დაი უბედური ძმებს დასტიროდა,
შეძრწუნებული, როგორც დედა, შეჰლაღადებდა
მკაცრ იუპიტერს და დებს პარკებს – ბედის გამგებლებს,
ციდან დაეშვა ერებოს ზე სტიქსის პენატთა
სახილველად: "დედა – ბუნებავ, რად გამაჩინე,
რომ შეეებრძოლო ღმერთთა ნებას, მრისხანე სულებს?
რაღა პატივი უნდა მქონდეს მე კაცთა შორის?"
თებაიდა, XI, 457 – 707

სამოქალაქო ომი არის იმდენად დიდი ბოროტება, როცა ისეთ ღვთაებას, როგორიც არის პიეტას, არავითარი ფუნქცია აღარ შერჩენია, გარდა იმისა, ჭირისუფლად მოევლინოს ბრძოლაში დახოცილ ძმებს.

საინტერესოდ აღწერს სტაციუსი ომის წინა პერიოდს, მოულოდნელი უბედურებით დაბნეულ მოქალაქეებს, მათ შიშსა და მწუხარებას.

აღვიძებს ქალაქს მწუხარების მაუწყებელი
ყვირილი ბუკის, დახშულ კარშიც ატანს მისი ხმა,
იხსნება ბჭენი, წინ მიიწევს კუშტი მედროშე,
მაუწყებელი გამარჯვების, ხან – დამარცხების.
მისი რისხვისგან ანთებული სახის დანახვა
თვითონ ომის ღმერთს, მავორსსაც კი არ სიამოვნებს.
ღრმა მწუხარება ორად თიშავს და ზაფრულ ქალაქს,
შიში, სიშმაგე და ბრმა ლტოლვა სიბნელისაკენ. . .
იტყოდი, ომი მოვარდაო, ხალხი მიაწყდა
ციხე – კოშკებს, გუგუნებს ქუჩა, ყველგან მახვილი
ელანდებათ, ცეცხლი, ხანძარი, მძიმე ბორკილნი,
სახლებში ისმის უკვე მოთქმა, გოდებს ტაძარიც
და ამაგრებენ უჩვეულო ყაყანით ბომონთ,
ერთად მოზღვავდა შიში, რაც კი უნახავთ ოდეს,
სიკვდილს ნატრობენ მოხუცები, ფერი მალი-მალ
ეცვლებათ ჭაბუკთ, ქალთა კვნესა ავსებს ატრიუმს,
ტირიან ყრმანი, ვერ მიმხვდარან თუმც დედის ნუხილს,
მაგრამ მათ კალთებს ეხვევიან ათრთოლებულნი,
ქალებს ცრემლების არ რცხვენიათ , არც სიყვარულის,
თავად აწვდიან ქმრებს საჭურველს და ამხნევებენ.
თებაიდა X, 552 – 571

სამოქალაქო ომის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ მან არ იცის გამარჯვებული. მშვიდობა, ზავი (Pax, otium) არის მხოლოდ შვება და არა სიხარული დამწუხრებული ადამიანებისათვის, რომელნიც ძილსაც ვერ ახერხებენ. მრავალტანჯვაგამოვლილნი კვლავ ომის მოგონებებში არიან, ისევ საშინელებანი ელანდებათ, მათ მზერას ყველგან ომის ნამუსრევი ხვდება.

ცის კამარიდან ჯერ მთიები არ აკრეფილა
და ელოდება მზის ამოსვლას ნამგალა მთვარე,
ცისკარი ღრუბლებს, მოფარფატეს ნელ-ნელა ფანტავს

და მობრუნებულ ფებუსს გაშლილ ეთერს უმზადებს.
კარდაკარ რაზმი დაწანწალებს ბეოტიური,
მძებნელი ღამის სიმშვიდისა, დადგა ღრმა ძილის
დრო ომის შემდეგ, მშვიდობა კი განაწამები
აფრთხობს სიწყნარეს და გამარჯვებას – მოგონება
მძიმე ბრძოლების. ძლივს მიინევენ წინ და სანგრებს
ანგრევენ ფრთხილად, კარიბჭეებს აღებენ ზანტად,
ძველი საფრთხენი თვალწინ უდგათ. . .

თებაიდა XII, 1 – 11

"თებაიდაში" ბევრია ასეთი ადგილი, მხატვრული ღირსებებით გამორჩეული, მწყობრი, პოეტური სტრიქონებით აღწერილი საბრძოლო ეპიზოდები, მაგრამ პოემა არ არის კომპოზიციურად შეკრული. იგი სავსეა პათეტიზმით, რიტორიკული შტამპებით, გმირთა მონოლოგებით, რაც ძალიან ტვირთავს პოემას. პოეტი მთელს ყურადღებას უთმობს ცალკეული პასაჟების მხატვრულად დამუშავებას, რაც დიდი სიამოვნებით იკითხება.

იქნებ იმპერატორის მეხოტბე პოეტმა დომიციანუსის გასაფრთხილებლად, მისი დესპოტური პოლიტიკის წინააღმდეგ შექმნა ეს ვრცელი პოემა სამოქალაქო ომის, მოქალაქეთა დაპირისპირების შესახებ, რომელსაც მუდამ სავალალო შედეგი მოაქვს ქვეყნისათვის.

სილიუს იტალიკუსი

სილიუს იტალიკუსი ახ. წ. I საუკუნის პოეტია. მისმა პოემა "პუნიკურმა ომმა" სრული სახით მოაღწია ჩვენამდე. იგი ეძღვნება II პუნიკურ ომს, რომაელთა ბრწყინვალე გამარჯვებას კართაგენელებზე. სილიუსის დროს, ე. ი. იმპერატორების: დომიციანუსისა და ტრაიანუსის მმართველობის პერიოდში, კართაგენური ომები მოგონება იყო რომის შორეული წარსულისა. ეს პოემა მხარდაჭერა იყო იმ დაპყრობითი პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდნენ სილიუსის დროის რომაელი პოლი-

ტიკოსები. ამ პოემის წყაროდ სილიუსს გამოყენებული აქვს ლივიუსის "ისტორია". პოემის დასაწყისშივე ნათლად არის გაცხადებული ნაწარმოების შექმნის მიზანი.

გიამბობთ ომზე, ცამდე აზიდულ ენეადთა
დიდ სიქველეზე, როცა მშფოთვარე კართაგენმა
ცნო რომაელთა კანონები და სამართალი.
პუნიკური ომი, I, 1 – 3

ამ სტრიქონებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რომისათვის კართაგენის ომში გამარჯვებას. ჰანიბალის დამარცხება იყო უდიდესი სიამაყის მიზეზი რომაელთათვის. ამ უძლიერესი მტრის დამორჩილებით რომმა ფართოდ გაშალა საზღვრები და დაეპატრონა ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე ქვეყნებს.

სილიუსი დოკუმენტური სიზუსტით აღწერს ამ ხანგრძლივი ომის მსვლელობას, რომაელთა მარცხსა და გამარჯვებებს, სიგუნტის ბრძოლას, რომლითაც დაიწყო კართაგენთან დაპირისპირება, კანესთან გამართულ რომაელთა უმოწყალო ხოცვა – ჟლეტას, სირაკუზის აღებას რომაელების მიერ, ცნობილ რომაელ მხედართმთავართა თავგამოდებას და სხვ. სილიუსი ცდილობს არ გააყალბოს ისტორიული მოვლენები, ფაქტები. იგი რეალისტური ფერებით აღწერს რომაელ სარდალთა ბრძოლებს, მათ საბრძოლო ტაქტიკას. ასე ხატავს იგი ცნობილი მხედართმთავრის ფაბიუსის სახეს. როგორც ცნობილია, იგი იყო ფრთხილი პოლიტიკოსი, რომელმაც კართაგენელებთან პირდაპირ შეტაკებებს ამჯობინა პარტიზანული ბრძოლებით ძალა გამოეცლია მტრის ლაშქრისათვის.

ფაბიუსმა კი მომავალი განჭვრიტა დინჯად
განსაჯა საფრთხის ძალა, ჯიქურ მტერთან შეტევას
მან ამჯობინა შეერყია იგი ზურგიდან -
ასეთი საქმე მოითხოვდა ღრმა დაფიქრებას.
პუნიკური ომი I, 679 – 682.

ფაბიუსის ტაქტიკის სისწორე დადასტურდა პუნიკური ომების მსვლელობაში. ფაბიუსის სამხედრო გეგმის მომხრე იყო კონსული, ემილიუს პაულუსი. იგი თავის კოლეგასთან, ტერენციუს ვარონთან ერთად (რომელიც სწრაფ შეტევას მოითხოვდა) მონაწილეობდა ცნობილ კანეს ბრძოლაში. სწორედ აქ იგემეს რომაელებმა დიდი დამარცხება, რომლის ერთ-ერთი მიზეზი მხედართმთავართა დაპირისპირება და არაშეთანხმებული მოქმედება იყო. ამ ბრძოლაში დაიღუპა მამაცურად მებრძოლი ემილიუს პაულუსი, მეორე კონსულმა, ვარონმა კი გაქცევით უშველა თავს.

თვალი შეავლო პაულუსმა ამ ხოცვა-ჟლეტას,
კიცხვით მიმართა ვარონს: "ჩვენს მტერს რად არ შევბოჭავთ,
რომ შენს ეტლის წინ ტყვე სარდალი იდგეს მორჩილი,
რომის ქუჩებში მას, ჯაჭვშებმულს დავატარებდეთ,
ვაი, სამშობლოვ, ბრბოვ, მოკეთის ვერ გამრჩეველო,
ასეთ მწარე ხვედრს არასოდეს არ შესწრებიხართ,
რას ინატრებდი – ქვეყნად ვარონის არგაჩენას
თუ ჰანიბალის?" – ეს თქვა თუ არა, პაულუსი . . .
გაშმაგებული მტრის რიგებში შევარდა ჯიქურ.
პუნიკური ომი IX, 632 – 639, 643

მესამე მთავარსარდალი, რომლის სახეს სითბოთი და მადლიერებით ძერწავს სილიუსი, არის მარკელუსი, რომელმაც 213 წ. ქ. სირაკუზის კედლებს ლაშქარი მიაყენა და 211 წ. აიღო იგი. 216 წ. კანესთან დამარცხების შემდეგ იოლი როდი იყო სასომიხდილ რომაელ მეომართა კვლავ შემართება საომრად.

ლაშქარს დახედავს მარკელუსი, იარაღს აწვდის
მებრძოლებს და ბრძანებას გასცემს, ბუკის ნიშანზე
აღგ ზნებული უმალ მტრისაკენ დაიძრა ჯარი,
მზადმყოფი სიკვდილს შეხვედროდა უშიშრად ომში.
თანამებრძოლთა ხვედრზე სწუხან, ვინც პირუტყვივით
სამარცხვინოდ დალია სული გაშლილ მინდორზე,
სამარხთ უცქერენ, უპატიოდ მიყრილებს ბორცვზე,
ზოგი საფლავსაც ვერ ეღირსა, სენით ძლეული.

მთავარსარდალმა კარიბჭისკენ დაძრა ლაშქარი,
ფერმკრთალ მებრძოლებს ჩამოემხოთ ჩაფხუტი თავზე,
ხოცვის და ულეტის შემსწრე თვალებს ზუჩით მალავდნენ,
არ გამხდარიყო მათი შიში მტრისთვის იმედი.
პუნიკური ომი XIV, 627 – 637

მხედართმთავრის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული დამარცხებაგამოვლილ.მებრძოლთა გამხნევება და მათი ხელახლა საბრძოლველად დარაზმვა. სირაკუზის აღებით გამოწვეული სიხარული იყო ის დიდი ჯილდო, რასაც ლაშქარმა სარდლის სიმამაცისა და თავისი თავდადებით მიაღწია. ამის სანაცვლოდ მეომრები მატერიალურ საზღაურსაც ითხოვენ სარდლისაგან, ნებართვას – დაეუფლონ მტრის ავლა-დიდებას.

როს დაეუფლა მთელს სიმდიდრეს, შენობებს, სახლებს,
ავ ზონიელმა დამფრთხალ ქალაქს მთიდან ამაყად
მოავლო თვალი, სარდლის ხელთ იყო ქვეყნის ბედი,
იარსებებდა ეს სამეფო, თუ ვერ ნახავდა
მზის შუქს ხვალინდელს. არ ეთანხმება ამ მწარე ხვედრს
ლაშქარი, ფიქრობს, გადარჩეს უნდა ქალაქი და
ტაძრად ღმერთები ბინადრობდნენ. ეს შეწყალება
დამარცხებულთ წილად ხვდა მხოლოდ . . . ნადავლის გამო.
პუნიკური ომი XIV, 665 – 672

დაპყრობილი ქალაქის აოხრება, დამარცხებული მტრის გაძარცვა ომის თანმდევი წესია, მაგრამ ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა. რომაელთათვის არ იყო უცხო დამარცხებული მტრის სიმდიდრის მითვისება. თუმცა სირაკუზის მოქალაქეთა უმოწყალო ძარცვის გამართლებას პოეტი ვერ ახერხებს, მაგრამ უმამაცესი სარდლის, მარკელუსის საქციელს იმით ხსნის, რომ იგი უარს ვერ ეუბნება მებრძოლებს, რომელთაც ნადავლის ხელში ჩაგდება არ ეთაკილებათ გაწეული ჯაფის სანაცვლოდ.

სილიუსის "პუნიკური ომი", შეიძლება ითქვას, ავსებს ძველი რომაელი პოეტის, ნევიუსის ამავე თემაზე შექმნილ პოემას. სილიუსმა დასახულ მიზანს თავი გაართვა, პოეტურ ფერებში ასა-

ხა რომის გმირული ისტორია, მოაგონა რომაელებს თავისი დიდებული წარსული. პოეტმა ამით გაიზიარა თავისი თანამედროვე რომაელ ისტორიკოსთა იდეოლოგია საგარეო პოლიტიკაში, რომლის მიზანი იყო რომის დიდების შენარჩუნება.

იუვენალისი

დეციმუს იუნიუს იუვენალისი მოღვაწეობდა იმპერატორების – დომიციანუსისა და ტრაიანუსის დროს. მას ეკუთვნის სატირების ხუთი წიგნი, სადაც პოეტი რომაული ყოფის სხვადასხვა საკითხს ეხება. ომის თემისადმი მიძღვნილი სატირა იუვენალისს არა აქვს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას.

ჰორაციუსისა და ვერგილიუსის მსგავსად, იუვენალისი მოტრფიალეა რომის წარსულისა, როცა რომაელებში ფასობდა უბრალოება, შრომა და სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლა, გმირობა.

ძალზე მნიშვნელოვანია პოეტის ერთი თვალსაზრისი, რომ მანკიერების სათავედ მას მიაჩნია ხანგრძლივი მშვიდობა (Pax longa). ამდაგვარად აფასებდნენ ავგუსტუსის ოპოზიციონერები მის მიერ დამყარებულ მონარქიულ რეჟიმს, მაგრამ ასეთი პირდაპირი განცხადება, რომ მშვიდობიანობა შობს მანკიერებას, მხოლოდ იუვენალისს აქვს გამოთქმული.

საიდან მოდის ეს სიბილწე, იკითხავ ალბათ,
ლათინთა მორალს დარაჯობდა ბედი ოდესღაც,
მანკიერებას ვერ ითმენდა სახლი უბრალო,
ფასობდა შრომა, ეტრუსკული ძაფის ნართისგან
დაკოჟრებული ხელები და ფხიზელი ძილი,
იგერიებდნენ ჰანიბალს და იცავდნენ ქალაქს,

ახლა კი ხანგრძლივ ზავისაგან გვჭირს ჩვენ სიავე,
შური იძია ოქრომ ჩვენზე მტრების მაგივრად.
სატირა II, 6, 286 – 293

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იუვენალისი ომის მაქებარია. იგი ეძებს მიზეზებს მანკიერებისა და მის წყაროდ, ერთ შემთხვევაში, ხანგრძლივი უმოქმედობა (ე. ი.არა საბრძოლო ცხოვრება) მიაჩნია, მეორეს მხრივ, თვლის, რომ ადამიანს ღუპავს დიდებისაკენ სწრაფვის სურვილი. იუვენალისს აღიზიანებს, რომ მეომარს მშვიდობიანი ცხოვრების დროს მეტი პრივილეგია აქვს, ვიდრე ნებისმიერ მოქალაქეს, რომ იარაღასხმულ კაცს ყველგან ხსნილი აქვს გზა, რომ ხელისუფლება ზრუნავს მეომრის კეთილდღეობისათვის (სატირა V, XVI, 49 – 60). ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს.

იარაღასხმული მეომარი, სამშობლოს დამცველი, ქებასა და ხოტბას იმსახურებს ბრძოლის ველზე. სულ სხვა განწყობილებას იწვევს შეიარაღებული კაცი არასაომარ პირობებში, როცა მის იარაღს ფუნქცია აღარა აქვს, ამიტომ ის ვერ იმსახურებს იმ თაყვანისცემასა და პატივისცემას, რასაც სამშობლოს განსაცდელის ჟამს თავგანწირულ მეომარს მიაგებენ თანამოქალაქენი, მით უფრო, თუ არ არის ცნობილი, როგორ იბრძოდა იგი, უანგაროდ, თუ მხოლოდ ალაფისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეომარი პროტესტს იწვევს მშვიდობიან მოსახლეობაში. ეს განწყობილება პლავტუსის კომედიებშიც არის დაფიქსირებული, ჰორაციუსის ლირიკაში და ოვიდიუსის ელეგიებში. იუვენალისს არ ერიდება დაასახელოს ცნობილი რომაელი პოლიტიკოსები, რომლებიც, მისი აზრით, სახელის მოსაპოვებლად უფრო იბრძოდნენ, ვიდრე სამშობლოსათვის.

რამ დაამარცხა პომპეუსი, კრასუსი და ის,
ვინც დამონებულთ უთავა ზა კვირიტებს რო ზგი,
დიდებისაკენ ლტოლვამ მხოლოდ, არა სიქველემ,
ბოროტ ღმერთებმა წააქეზეს ავი წადილით.
სატირა IV, X, 108 – 111

იუვენალისის ეს მამხილებელი სტრიქონები ცნობილ რომაელ მხედართმთავართა მიმართ არ არის საფუძველს მოკლებული. ეს ბადებს კითხვას: არის კი ამ რომაელ სარდალთა მიერ მოპოვებული ყველა გამარჯვება ჭეშმარიტი გმირობის ტოლფასი? ასეთი სკეპსისი, როგორც ვნახეთ, სხვა პოეტებთანაც არის გამოთქმული.

კლავდიუს კლავდიანუსი

კლავდიუს კლავდიანუსი IV – V საუკუნეების პოეტია. ის თავის შემოქმედებას უძღვნის თანამედროვე რომაელ მხედართმთავრებსა და იმპერატორებს. იგი სახოტბო ლექსებით მიმართავს იმპერატორ ჰონორიუსს და იმპერიის მაშინდელ ფაქტიურ მმართველს –სტილიქონს. პოეტი მას ახასიათებს როგორც ნიჭიერ მხედართმთავარს. პოემაში "გეტებთან ომი" კლავდიანუსი იგონებს რომაელ სარდალთა მიერ ნარმოებულ წარმატებულ ლაშქრობებს და ადარებს მას სტილიქონის გმირობას.

უწინარესად ფაბიუსმა ხანგრძლივ ბრძოლებით
დღე გაუმწარა ფინიკიელს, მარკელუსმა კი
გაშლილ მინდორზე დაამარცხა შმაგი სარდალი,
ხოლო მესამის – სციპიონის გაბედულებამ
აოტა მტერი იტალიის სანაპიროდან,
სტილიქონი კი სამივეს სჯობს ბრძოლის ხერხებით,
მტერს დინჯად უტევს, ხოლო ძლეულს შემდეგ აოტებს.
გეტებთან ომი 138 – 144

კლავდიუსი ხაზგასმით აღნიშნავს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიურ ნიჭს სტილიქონისა, რომელიც ხშირად ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა პრობლემები მტერთან. კლავდიუსი სიამაყით იგონებს კიმბრებზე და გეტებზე გამარჯვებულ მარიუსსა და სტილიქონს.

აქ იტალიის მიწა ფარავს კიმბრებს და გეტებს,
მარიუსის და სტილიქონის მიერ გაჟლეტილთ,
ბრიყვო ტომებო, რომის ძალას ნუ ეხუმრებით.
გეტებთან ომი 446 – 448

მტრების მიმართ წარმოთქმული ეს მედიდური გაფრთხილება უფრო პოეტის თვითდამშვიდებად მეჩვენება, რომელიც ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ დადგა დასასრული რომის დიდებისა.

გარდა ამ პანეგირიკული ლექსებისა, კლავდიანუსს დაწერილი აქვს ინვეკტივა აფრიკის გამგებელ გილდონზე, რომელიც პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო სტილიქონისა და ხელს უშლიდა რომში ხორბლის შეზიდვას. პოემაში "ომი გილდონთან" კლავდიანუსი რომაელთა ლაშქრობებსა და ცნობილ მხედართმთავრებზე საუბრობს, უპირისპირებს მათ გილდონს და ანტითეზების ფონზე წარმოაჩენს ამ უკანასკნელის გაუმაძღრობასა და სულმდაბლობას.

რისთვის დაინგრა კართაგენი? გილდონისათვის?
რამდენ ომს, ხოცვას შესწრებია აქ იტალია,
რისთვის იომეს ფაბიუსმა და მარკელუსმა,
რომ მოიხვეჭოს მან, გილდონმა სიმდიდრე ამით?
ომი გილდონთან 87 – 90

ფაბიუსის, მარკელუსისა და მარიუსის სახელებს კლავდიანუსი მრავალგზის მოიხსენიებს სიამაყითა და პატივისცემით: პოეტი რომაელთა ძველ და ახალ ლაშქრობებს ხშირად ერთად ასახელებს, მისთვის რომის ახალი ისტორია ბუნებრივი გაგრძელებაა ძველი წარსული დიდებისა, რომელიც კლავდიანუსს მარადიულად ესახება.

კლავდიანუსის შემოქმედებიდან ყურადღებას იქცევს პოემა "პროზერპინას მოტაცება" ლექსის სიმსუბუქით, დახვეწილობით, ფრაზის სისადავით. ამ პოემაში საუბარია სატურნუსის საუკუნეზე, რომელსაც თითქმის ყველა პოეტი, ვინც ამ თემას შე-

ხებია, ნანატრ ხანად წარმოაჩენს. მათგან განსხვავებით კლავდიანუსი სულ სხვა ინტერპრეტაციას იძლევა ამ გაცვეთილი თემისა. რატომ იწვევდა სატურნუსის ხანა ნოსტალგიას რომაელებში? იყო კი იგი ჭეშმარიტად ნეტარი დრო? იუპიტერი ასე ახასიათებს ამ ოქროს ხანას.

ასე დაიწყო ოლიმპოდან ღმერთების მამამ:
"დროა მივხედო მოკვდავთ, ჩემგან დავიწყებულებს,
დამთავრდა ხანა სატურნუსის, დრო უ ზრუნველი,
როს კაცთა მოდგმა მცონარობის სენმა შეიპყრო,
ხანგრძლივ უქმობას შეჩვეული მთვლემარე ხალხი
გაცოცხლდეს უნდა და მიეცეს ცხოვრების ჟინი,
არ ღალანებდეს უმარგლავად ყანა – ბაღჩები,
არ წვეთდეს ტყეში თაფლი ხიდან და არ მოჩქეფდეს
მდინარე ღვინის, ნაპირებთან არ ჩუხჩუხებდეს.
მალაპარაკებს არა შური! ღმერთთ არ სჩვევიათ
შური ან მტრობა. მაგრამ ვიტყვი, რომ ფუფუნება
ღირსებას ვნებს და რყვნის სიმდიდრე კაცის ბუნებას,
გამოაფხიზლებს გაჭირვება დუნე და ზანტ სულს,
გონება ეძებს გ ზას, შეიცნოს საგანთა არსი,
თუ ხელოსნობას ნიჭი ბადებს, ჩვევა მას კვებავს,
პროზერპინას მოტაცება III,18 – 32

იუპიტერი შემდეგნაირად ასაბუთებს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას სატურნუსის ხანის მიმართ. უქნარობა ადუნებს ადამიანს, სიუხვე, შრომის გარეშე, ადამიანის ბუნებას რყვნის.

იუპიტერს ადამიანთა საზოგადოების პროგრესისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნია შრომის ჩვევები, გამომგონებლობა, გონების განვითარება.

მაგრამ ბუნება წინ აღმიდგა დიდი წუხილით,
ვითომც ტირანი უმოწყალო ვებრძვი კაცთ მოდგმას,
მოიგონებენ მამაჩემის მეფობის ხანას,
ამბობენ, თითქოს ძუნწი ვიყო იუპიტერი,
გავერანება ვითომც მსურდეს ბაღ-ვენახების

ეკალ-ბარდებით ავსება მათი, წყაროს დაშრეტა,
ბუნება იყო უწინ კაცთა დედა, მშობელი
და ვითომც ახლა მყის ქცეულა ავ დედინაცვლად.
რისთვის მიეცათ აზრი, ფიქრი, თავაწეულებს
ემზირათ ცისთვის? როცა ტყე-ღრეში წანწალებდნენ
პირუტყვთა მსგავსად, საზრდოობდნენ მათსავით რკოთი.
პროზერპინას მოტაცება III, 33 – 43

იუპიტერი იწონებს ადამიანთა სწრაფვას, დაეუფლონ ბუნებას, შეიცნონ მისი საიდუმლოებანი და განავითარონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

ის, ვინც პირველად გაშლილ ზღვაში შევიდა ნავით
და ააქაფა ხოფებით ტალღა,
ვინც გემი ანდო ქარებს მაცდურს, გზა გაიკვლია
ნიჭით, ბუნებამ რაც დაგვიმალა,
თუმცა პირველად ძლივს გაბედა მშვიდ ზღვაში შესვლა
და მიცურავდა ნაპირთან ახლოს.
შემდეგ შორეულ ყურეს მიწვდა, მოშორდა ხმელეთს
და იალქნები გაშალა ქარში,
გაბედულება დაეუფლა თანდათანობით
და გულში მშვიდად ჩაიკლა შიში.
ახლა არც ზამთარს უშინდება, არც ეგეოსის,
იონიის ზღვას, მიჰყვება მნათობთ.
პროზერპინას მოტაცება III, 1 – 12

ეს არის ფაქტობრივად ჰიმნი შრომისა, რომელიც ადამიანებს კულტურულ არსებებად აქცევს.

კლავდიანუსი ძველი რომაული პოეზიის, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი წარმომადგენელია, რომელიც ხატოვნად განადიდებს რომის წარსულს და სწამს მისი საუკუნო მომავალი.

რომაელ პოეტთა კონცეფცია ომისა და მშვიდობის თემაზე

(ზოგადი დებულებანი)

ომისა და მშვიდობის თემას თითქმის ყველა ცნობილი რომაელი პოეტი ეხება მეტ-ნაკლებად, ზოგი – ვრცლად, ზოგიც – ფრაგმენტულად. როცა ვიხილავთ საკითხს, თუ როგორ არის ეს თემა წარმოდგენილი რომაულ პოეზიაში, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ასპექტებზე:

1. როგორი ომებია აღწერილი რომაულ პოეზიაში (სამოქალაქო, გარეშე . . .)
2. კონკრეტულად რომელი ომებია გამოყენებული ნაწარმოებების სიუჟეტებად;
3. ისტორიული მასალაა აღებული თუ მითოლოგიური, რომაული თუ ბერძნული სინამდვილიდან.
4. მთლიანად ეძღვნება ომის (მშვიდობის) თემას ნაწარმოები, თუ ნაწილობრივ.
5. პოეზიის რა ჟანრებია გამოყენებული ამ თემისათვის.
6. როგორია რომაელ პოეტთა კონცეფცია ომისა და მშვიდობის თემასთან დაკავშირებით.

ჩვენამდე მოღწეული რომაული პოეზიის ნიმუშები საფუძველს იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

რომაელ პოეტთა შემოქმედებაში ასახვა პოვა როგორც დიდმა ლაშქრობებმა უცხო ქვეყნებთან, ასევე – შინაომებმა. ძირითადად კი – რომის ბრძოლამ კართაგენთან, ასევე – სხვა ექსპანსიებმა აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქვეყნებში და სამოქალაქო ომებმა. თემად გამოყენებულია როგორც რომის ისტორია, ასევე – ბერძნულ-რომაული მითები.

ომის თემას ეძღვნება ვრცელი პოემები: ვერგილიუსის "ენეიდა", ლუკანუსის "ფარსალია," სტაციუსის "თებაიდა," სილიუს იტალიკუსის "პუნიკური ომი," კლავდიუს კლავდიანუსის "გეტებთან ომი."

გარდა ამ პოემებისა, ომის თემას ნაწილობრივ ეხებიან რომაელი პოეტები სხვადასახვა ნაწარმოებებში: ლუკრეციუსი პოემაში "საგანთა ბუნებისათვის," ჰორაციუსი "ოდებსა" და "ეპოდებში," პროპერციუსი და ტიბულუსი ელეგიებში, ოვიდიუსი პოემებში: "მეტამორფოზებსა" და "ფასტებში," ელეგიებში, სენეკა ტრაგედიებში, პეტრონიუსი "სატირიკონში," ვალერიუს ფლაკუსი პოემა "არგონავტიკაში," იუვენალისი სატირებში. როგორც ვხედავთ, პოეზიის თითქმის ყველა ჟანრია გამოყენებული ამ პრობლემის გასაშუქებლად.

საინტერესოა, როგორ შეხედულებებს გამოთქვამენ თავიანთ თხზულებებში რომაელი პოეტები ამ საკითხთან დაკავშირებით. რა იწვევს ომებს, არის თუ არა ომები აუცილებელი, რას ნიშნავს მშვიდობა და რა სიკეთე მოაქვს მას.

ძველი რომაელი პოეტის, კვინტუს ენიუსის პოემის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ პოეტი მხარს უჭერს რომის ექსპანსიას, მაგრამ ომი მაინც საშინელებად მიაჩნია. მისი აზრით, ძალადობა მართავს ყველაფერს.

ლუკრეციუსი პოემაში "საგანთა ბუნებისათვის" ზოგადად მსჯელობს ომების თაობაზე, მას იგი მიაჩნია ყველაზე დიდ საშინელებად. პოეტი ფიქრობს, რომ განუზომელი სწრაფვა ძალაუფლებისა და სიმდიდრისაკენ იწვევს ომებს. მას ამ საშინელებიდან თავის დახსნის საშუალებად მიაჩნია სულიერი სიმშვიდის მოპოვება.

ვერგილიუსი, ავგუსტუსის მეხოტბე პოეტი, რომლის დაკვეთითაც შეიქმნა გენიალური "ენეიდა," ცხადია, მხარს უჭერს ექსპანსიურ ომებს, რომლითაც გაძლიერდა რომი. არის თუ არა აუცილებელი ომი? ვერგილიუსს ასე აქვს გადაჭრილი ეს პრობლემა: ომი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაშია გამართლებული, როცა მშვიდობიანი გზით ვერ გადაწყდება დავა, ომებს ღმერთები ახვევენ თავს ადამიანებს, ღმერთთა ნების წინააღმდეგ წასვლა გმირის მარცხს იწვევს. ჭეშმარიტი მებრძოლი პატივს უნდა მიაგებდეს ღმერთებს, წინაპრებს, თავის ხალხს. იგი უნდა იცავდეს იმ ეთიკურ ნორმებს, რისი გამოვლენა ბრძოლის დროს არის აუცილებელი: დაღუპულ მეომართა გვამების გაპატიოსნება, დამარცხებული მტრის შებრალება, ღმერთთა პატი-

ვისცემა, ნადავლს დაუხარბებლობა, ღირსეული მტრისადმი თანაგრძნობის გამოვლენა, მტერთან მხოლოდ პირისპირ ბრძოლა. ვერგილიუსი გმობს სამოქალაქო ომებს, მაგრამ თუ იგი თავისუფლებას იცავს, მაშინ ასეთი ომი გამართლებულად მიაჩნია. უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო თვალსაზრისიც— რომის ექსპანსიური ომი არის სამართლიანი, რადგანაც მისი მიზანი არის მსოფლიო ხალხთა მშვიდობის დაცვა. ეს სავსებით ესადაგებოდა იმ დაპყრობით პოლიტიკას, რასაც რომაელი იმპერატორები ახორციელებდნენ, რაც იყო რომაელთა სიამაყის საფუძველი. ამრიგად, რომაელთა ომი გარეშე ქვეყნებთან იყო "ომი მშვიდობისათვის."

ავგუსტუსის ხანის პოეზიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჰორაციუსი სამოქალაქო ომს უდიდეს ცოდვას და უგუნურებას უწოდებს, რადგან ძმათაომებით დაუძლურებულ ქვეყანას გარეშე მტერი იოლად მოერევა. მართალია, ავგუსტუსის ბრძოლას ანტონიუსთან ჰორაციუსი დიდი ქებით მოიხსენიებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ სამოქალაქო ომი არ იყო, ეს იყო ომი ეგვიპტის წინააღმდეგ. ჰორაციუსი ხოტბას ასხამს ავგუსტუსის წარმატებულ ლაშქრობებს, რადგან მათი წყალობით რომი მსოფლიოს ბატონი გახდა, მან მოუტანა რომს მშვიდობა, კანონიერება, სამართლიანობა.

ამავე ხანის ცნობილი ელეგიკოსის, ტიბულუსისათვის ომი არის ბოროტებათა სათავე. მას იწვევს სიმდიდრისაკენ ლტოლვა. თუმცა, პოეტს დიდად აღაფრთოვანებს მესალას გმირობა და სიმამაცე. ტიბულუსი მაინც მშვიდობის მოტრფიალე პოეტია. იგი გვიხატავს მშვიდობიანი ყოფის იდილიურ სურათს, აქებს მშვიდობას, რომელიც თოხსა და სახნისს ლესავს, ამასთანავე პოეტი ხოტბას უძღვნის მშვიდობიან შრომას.

ტიბულუსის თანამედროვე პროპერციუსი პირველ ხანებში აშკარად ომის საწინააღმდეგო იდეების მქადაგებელი იყო. მისთვის უცხო იყო პატრიოტული გრძნობაც და სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლა. დროთა განმავლობაში პროპერციუსი რომაული ლაშქრობების მაქებარი გახდა, რომელთა წყალობით რომი კიდევ უფრო გაძლიერდა, გაიზარდა და გამდიდრდა, თუმცა, თავისივე დებულების საწინააღმდეგო შეხედულებასაც

ავითარებს პოეტი – ოქრომ გარყვნა მორალი, გათელა კანონები. პოეტის წინასწარმეტყველებით, რომს სიმდიდრე დაღუპავს.

ვერგილიუსისა და ჰორაციუსის უმცროსი თანამედროვე, ოვიდიუსი არ იჩენს ამ თემისადმი დიდ ყურადღებას. მას აღიზიანებს მეომრის ხილვა რომში, რადგან თვლის, რომ იგი ნადავლით გამდიდრებული, გაყოყოჩებული ადამიანია, რომელიც პოეტთან შედარებით ყველა პრივილეგიით უსამართლოდ სარგებლობს. ამგვარი დამოკიდებულება უცხო არაა რომაულ პოეზიაში. იგი ჯერ კიდევ პლავტუსის კომედიებში არის შენიშნული. ოვიდიუსი "მეტამორფოზებში" აღწერს მითოლოგიურ პერსონაჟთა საბრძოლო ეპიზოდებს, ავგუსტუსის ლაშქრობებს კი გაკვრით მოიხსენიებს. ოვიდიუსი მშვიდობის მოტრფიალეა, იგი უმღერის საატურნუსის "ოქროს ხანას" და უპირისპირებს მას ავგუსტუსის "ოქროს ხანას," სადაც ადამიანებს გაუმაძღრობის სენი შეჰყრიათ. მაგრამ ავგუსტუსის მიერ მოპოვებულ მშვიდობას პოეტი ხოტბას ასხამს. ოვიდიუსი, სხვა პოეტების მსგავსად, სიამაყით აღიარებს რომის სიძლიერეს, რისი წყალობითაც ქვეყანაში სიმშვიდე დამკვიდრდა, რაც საშუალებას აძლევს მას, დატკბეს ცხოვრებითა და კულტურით, რაც რკინის საუკუნის მონაპოვარია.

ნერონის ეპოქის პოეტები უფრო მტკივნეულად აღიქვამენ რკინის ეპოქის სისასტიკეს, სამოქალაქო ომების საშინელ შედეგებს. ნერონის ეპოქის პოეტს, დრამატურგსა და ფილოსოფოსს, სენეკას საატურნუსის ნეტარი ხანის დაცემის მიზეზად მიაჩნია სიმდიდრისაკენ ლტოლვა, სიშმაგე, რისხვა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება მკვლელობებითა და რეპრესიებით. ერთადერთი გზა ამ საშინელებებისაგან თავის დაღწევისა არის მშფოთვარე ცხოვრებისაგან გაქცევა და სოფლის სიმყუდროვეში თავის შეფარება. პოემა "ოქტავიას" მიხედვით, "ოქროს საუკუნის"დაკარგვის მიზეზი არის ახლის შეცნობის წადილი, რასაც მოსდევს ნაკლოვანებათა მთელი ჯაჭვი. რკინის ეპოქა უკანასკნელი საფეხურია, რის შემდეგ კვლავ ქაოსი დაისადგურებს, რასაც ისევ ოქროს საუკუნე მოჰყვება. ეს აზრი, რომელიც "ოქტავიაშია" გადმოცემული, ეფუძნება ანტიკურ წარ-

მოდგენებს კოსმოსის განვითარების ციკლური ხასიათის თაობაზე.

სამოქალაქო ომის თემას ეხება სენეკას თანამედროვე პოეტის ლუკანუსის პოემა "ფარსალია," რომელშიც ასახულია პომპეუსისა და კეისრის დაპირისპირება. პოეტი ამ ომს დანაშაულებრივს უწოდებს. სხვა პოეტების მსგავსად, ლუკანუსიც თვლის, რომ ომს იწვევს სიმდიდრის დაგროვების სურვილი, ამასთანავე – ღმერთთა ნება. ერთადერთი გზა ასეთი ომის შეწყვეტისა, ლუკანუსის აზრით, არის უცხო მტერთა შემოსევა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი სამოქალაქო ომს დიდ უბედურებად მიიჩნევს, თვლის, რომ მოქალაქემ თავი არ უნდა აარიდოს ასეთ ომს, მის ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ გულგრილი არ უნდა დარჩეს, არამედ მხარი უნდა დაუჭიროს მას, ვინც ნაკლებ "დამნაშავეა" ასეთ ომში. სამოქალაქო ომების ძირითად მიზეზად პოეტს ამბიციები და პირველობისათვის ბრძოლა მიაჩნია.

ამავე თემას ეხება პეტრონიუსის "სამოქალაქო ომი," რომელიც "სატირიკონშია" ჩართული. აქ პოეტი ყურადღებას ამახვილებს რომაელთა გაუმაძღრობაზე. რომმა, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო დაიმორჩილა, სიხარბე ვერ დაიოკა. ასეთი მკვეთრად ნეგატიური შეფასება რომაელთა დაპყრობითი ომებისა მხოლოდ ამ პაროდიული ხასიათის პოემაშია მოცემული. პეტრონიუსის აზრით, რომაელთათვის ბრძოლა ხელობად და სიმდიდრის მოპოვების საშუალებად ქცეულა.

ვალერიუს ფლაკუსი პოემა "არგონავტიკით" პროპაგანდას უწევს რომის სამხედრო პოლიტიკას აღმოსავლეთის ქვეყნებში. მითოლოგიური გმირის, იაზონის ლაშქრობა კოლხეთში და იქ აიეტისა და მისი ძმის, პერსევსის სამოქალაქო ომში ჩარევა თავისებური ასახვა იყო რომაული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც თავისუფლად ერეოდა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში. ეს პოემა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ აქ გადმოცემულია მცირე აზიისა და პონტოს სანაპიროზე მოსახლე ტომების საბრძოლო წეს-ჩვეულებანი, რომლებიც უცხო იყო რომაელთათვის.

ახ. წ. I საუკუნის ეპიკოსი პოეტი სტაციუსი "თებაიდაში" ავითარებს იმ აზრს, რომ "დამღუპველი სამეფო კვერთხის" გამო ატეხილი ძმათაშორისი ომების ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ მან არ იცის გამარჯვებული, ასეთი ომის ბოლოს ჩამოვარდნილი ზავი არ არის სიხარულის მომტანი, რადგან მას სიმშვიდე არ მოაქვს არც ერთი მხარისათვის.

ცნობილ სატირიკოსს, იუვენალისს გამოთქმული აქვს განსხვავებული და საინტერესო მოსაზრება მშვიდობასთან (Pax) დაკავშირებით. მას მიაჩნია,რომ ხანგრძლივი მშვიდობა არის მანკიერებათა წყარო, რადგან შრომა და საომარი ხელოვნება აფხიზლებს ადამიანებს. თუმცა იუვენალისს, ისევე როგორც ოვიდიუსს, აღიზიანებს მშვიდობიანობის დროს მეომრის პრივილეგიები, ხელისუფალთა განსაკუთრებული ზრუნვა მებრძოლთა კეთილდღეობისათვის.

რომაული პოეზიის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი, კლავდიუს კლავდიანუსი აღფრთოვანებულია რომაელთა საბრძოლო დიდებით, იგი აფრთხილებს გარეშე ქვეყნებს, ნუ დაივიწყებენ, რომ რომი უძლიერესი ქვეყანაა. კლავდიანუსი "პროზერპინას მოტაცებაში" სკეპსისს გამოთქვამს სატურნუსის საუკუნის ნეტარ ხანად მიჩნევის თაობაზე. იუპიტერის პოზიციიდან გამომდინარე, უქნარობა ადუნებს ადამიანებს, უზრუნველი სიმდიდრე რყვნის კაცის ბუნებას, ამიტომ შრომა, გამომგონებლობა ადამიანთა საზოგადოების პროგრესისათვის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული.

ამრიგად, პოეტების უმრავლესობა ხოტბას ასხამს რომაულ ლაშქრობებს, სამხედრო წარმატებებს, რადგან ძლიერი რომი მსოფლიო ქვეყნებისა და მათი მშვიდობის მცველია. ასე რომ, რომის აგრესიული პოლიტიკა კეთილშობილური მიზნებითაა არგუმენტირებული. "ომი მშვიდობისათვის," ასე არის ფორმულირებული რომის ექსპანსია. რაც შეეხება სამოქალაქო ომებს, იგი ყველა რომაელ პოეტში მწუხარებას და ტკივილს იწვევს.

მშვიდობისა და ომის თაობაზე გაცილებით მეტს საუბრობენ ავგუსტუსის ხანის პოეტები, რადგან Pax Augusta – სათვის ხოტბის შესხმა ამ ეპოქის პოეტებისათვის სავალდებულოც კი იყო.

ამ პერიოდში ნიშანდობლივია სატურნუსისა და ავგუსტუსის "ოქროს ხანის" შეპირისპირება.

თითქმის ყველა პოეტში სატურნუსის "ოქროს ხანა" სასიამოვნო მოგონებას ინვევს (გამონაკლისია კლავდიანუსი), რომლის დაცემის შემდეგ კაცობრიობა თანდათანობით რკინის ეპოქაში შევიდა. ერთადერთი გამოსავალი – თავი დააღწიონ ამ მანკიერ საუკუნეს, არის ის, რომ ბუნების წიაღში სასიამოვნო შრომით ეძებონ "ოქროს ხანა." გარდა ამისა, ადამიანებს აქვთ იმედი, რომ ეს მძიმე საუკუნე დასრულდება. . . კიდევ უფრო საშინელი ქაოსით, რის შემდეგ კაცობრიობა დაიბრუნებს ნეტარ "ოქროს ხანას".

გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურის ისტორიები

1. ანტიკური ლიტერატურის ისტორია, საუნივერსიტეტო კურსი, რ. გორდეზიანისა და ნ. ტონიას საერთო რედაქციით, პროგრამა "ლოგოსი, თბ., 2005.
2. M. v. Albrecht, Geschichte der römischen Literatur, 2 Bd., München, 1994.

თარგმანები და გამოცემები

3. ვერგილიუსი, ენეიდა, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რ. მიმინოშვილმა, თბ., 1976.
4. ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, თარგმანი ლათინურიდან პ. ბერაძისა, თბ., 1956.
5. ოვიდიუსი, მეტამორფოზები, ლათინურიდან თარგმნეს ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ, რედაქცია, შესავალი წერილი და კომენტარები აკ. ურუშაძისა, თბ., 1980.
6. ოვიდიუსი, ტრფობანი, ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ღარიბაშვილმა, თბ., 1987.
7. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურო აკ. ურუშაძემ, თბ., 1975.
8. ჰორაციუსი, ოდები, ლათინურიდან თარგმნა მ. ინაძემ, თბ., 1982.
9. Claudianus, Opera, Lipsiae, 1759.
10. Catullus, Tibullus, Pervigilium Veneris. Translated by F. W. Cornish, J. P. Postgate, J. W. N. Nackail, Revised by G. P. Goold, 1913 (Loeb Class. Library).
11. C. Valerius Flaccus, Argonauticon, recensuit E. Courtney, BT, 1970.
12. Horace, Odes and Epodes, Edited and Translated by N. Rudd, 2004.
13. Lucan, The Civil War (Pharsalia), Translated by J. D. Duff, 1928 (Loeb Classical Library)

14. Lucretius, On the Nature of Things, Translated by W. H. Rouse, Revised by Martin F. Smith, 1924(Loeb Classical Library).
15. Juvenalis and Persius, Edited and Translated by S. Morton Braund, 2004 (Loeb Classical Library).
16. Ovid, Metamorphoses, Translated by Frank J. Miller, 1916 (Loeb Class. library), 1916.
17. Petronius, Seneca. Satyricon. Apocolocyntosis, Translated by M. Heseltine, W. H. D. Rouse, Revised by E. H Warmington, 1913(Loeb Class. Library).
18. Propertius, Elegies, Translated by G. P. Goold, 1990 (Loeb Class. Library).
19. Seneca, Tragedies, Enited and Translated by J. G. Fith, 2004 (Loeb Class. Library).
20. Silvius Italicus, Punica, Edidit I. Delz, TB,1987.
21. P. Papini Stati Silvae, Rec. A. Marastoni, TB,1970.
22. Quintilian, The Orator,s Education, Books 6-8: 11-12, Enited and Translated by D. A. Russell (Loeb Class. Library).

სამეცნიერო ლიტერატურა

23. Binder, G. Aeneas und Augustus (Beiträge zur klassischen Philologie), 38, Meisenheim am Glan, 1971.
24. Gärtner, U. Gehalt und Funktion der Gleichnisşe bei Valerius Flaccus, Hermes, 67, Stuttgart, 1994.
25. Гигаури Ц., Колхида в римской литературе, Тб., 1990.
26. Lèfevre, E. Die unausgusteischen Züge der augusteischen Literatur (Saeculum Augustum II), Darmstadt, 1988.
27. Reinhold F. Glei, Der Vater der Dinge, Interpretationen zur politischen, literarischen und kulturellen Dimension des Krieges bei Vergil,Trier, 1991.
28. Rozelaar, M. Seneca, Eine Gesamtdartsellung, Amsterdam, 1976.
29. Syme, R. The Roman Revolution, Oxford, 1939.